

ვილენ
მარჯალეიშვილი

კეფაქციიდან
განუხებით ...



თბილისი „მეჩანა“ 1988

„რედაქციიდან გაწუხებთ!“... — ვრეკავთ საწარმო-დაწესებულუბებსა და ორგანიზაციებში. „რედაქციიდან გაწუხებთ!“ — ვუკავშირდებით ტელეფონით ამა თუ იმ პიროვნებას. ეს მხოლოდ შესავალია, მთავარი მერე იწყება — შეხვედრები და საუბრები სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებთან, და იქმნება ინტერვიუ, ჩანახატი, ნარკვევი, რეპორტაჟი, პორტრეტი... იქმნება სწრაფად, ოპერატიულად... მოგეხსენებათ: ჟურნალისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ოპერატიულობაა.

არ დაგიშალავთ, ბედმა გამიღიმა იმთავითვე შეხვედრები მომიწია ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებთან. აბა, წარმოიდგინეთ, რა საინტერესო იქნებოდა დიალოგი კონსტანტინე გამსახურდიასთან, მიხეილ ჭიაურელთან, ეროსი მანუგალაძესთან, სანდრო ჟორჟოლიანთან, აკაკი ვასაძესთან, იპოლიტე ხვიჩიასთან, აკაკი გაწერელიასთან... ვერ გეტყვით, გამომივიდა თუ არა, მაგრამ მერე და მერე, გაზეთ „კომუნისტში“ სხვადასხვა ჟურნალისტური ფორმის მოშველიებით ვეცადე დიალოგებისათვის ისეთი სახე მიმეცა, რომ პიროვნების პორტრეტი დახატულიყო.

გაზედზე და 1976, 1981 წლებში ორი მომცრო კრებული გამოვეცი. კრებულში „რედაქციიდან გაწუხებთ!“... თქვენ შეხვედრებით ჩვენი ეროვნული კულტურის ამაგდარ ადამიანებს, პიროვნებებს, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება მისაბაძი და სამაგალითოა. სწორედ ოპერატიულობისა და სიჩქარის გამო, რაზედაც ზემოთ მოგახსენებთ, ამ პორტრეტებს, რა თქმა უნდა, ზოგი შტრიხი დააკლდა და ამდენად სრულყოფილების პრეტენზია არა აქვთ, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ იმ წუთების, იმ შეხვედრების უშუალოებას მაინც გაგრძნობინებთ...

ავტორი.

4702017200—77

მ ————— 9—88.

M 604(08)—88

© გამომცემლობა „მერანი“

სათაყვანო

იცით, რომ სესილია თაყაიშვილი სათოფეზე არ იკარებს ჟურნალისტებს? ასეა, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს რაიმე ახირებაა. იგი, დიახაც რომ, დიდად აფასებს ჩვენს შრომას, მაგრამ ზეკლამას, დითირამბებსა და პანეგირიკებს ერიდება. როგორ არ ვთხოვე, როგორ არ ვუტრიალე, სამოცდაათი წლის რომ გახდა, გაზეთისათვის თქვენთან საუბარს გავაქეთებ-მეთქი, არაფერი გამოვიდა (სხვათა შორის, მაშინ არც საიუბილეო საღამო გადაუხდია!).

ახლაც უარზე იდგა და ბოლოს, იმაზე დავითანხმე, კითხვები დამიტოვეთ და გავცემ პასუხს, თუ შევძელიო. მეტი რა ჩარა იყო, დავუტოვე რამდენიმე კითხვა, წამოვედი და მომდევნო დღეებში ერთი-ორჯერ ფრთხილად შევახსენე... ჯერ ვერ შევძელიო, ოჯახური მდგომარეობაც ისეთი მაქვსო... და ასე, კვირაზე მეტი გავიდა... ბოლოს ვიფიქრეთ ტრადიციული შემოქმედებითი პორტრეტი დაგვეხატა.

და აი, მისეული „უცნაურება“ ჩვენი სათაყვანო მსახიობისა: ერთ დღეს წერილი მივიღე სესილია თაყაიშვილისაგან, რომელსაც აქვემოთ გთავაზობთ.

„თქვენ მთხოვდით, პასუხი გამეცა რამდენიმე კითხვაზე, რომლებშიც, ბუნებრივია, გამოჩნდებოდა ჩემი ცხოვრების გზა, მოღვაწეობა ქართულ თეატრსა და კინოში. ახლა შუალამეა, თავთავიანთვის გაიკრიბნენ ჩემი შვილები, შვილი-შვილები და ბაღიშიშვილები, ძილი არ მეკარება, ასეთ ღროს, ხშირად, დედაჩემს ვწერ ხოლმე წერილებს. დედა კარგა ხანია აღარ არის ამ ქვეყანაზედ, მაგრამ რაიმე დიდ სიხარულს ან ტკივილს, უპირველესად, მას ვუმხელ ხოლმე, შემდეგ ჩემთვის ვინახავ ამ წერილებს. ეს მემუარები არ გეგონოთ, ანდა ათასნაირი გამონაგონის დომხალი. უბრალო წერილებია, მშობლისადმი მიწერილი, რომლებსაც ჯერჯერობით ვერავის წავაკითხებ.

ახლაც დედას გავუზიარე ჩემი სიხარული, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატობის კანდიდატი რომ ვარ, მერე გამახსენდა, რომ თქვენ სწორედ ამ მოვლენის გამო გსურდათ ჩემთან შეხვედრა, ჩავათვალიერე კითხვები და ვიფიქრე, მომეწერა თქვენთვის წერილი, რომელიც, ალბათ, ამ კითხვებზე პასუხი იქნება, ოღონდ — ერთიანი.

თავიდანვე გითხარით, რომ არავითარი ინტერვიუ ანდა შემოქმედებითი პორტრეტი საჭირო არ არის-მეთქი. ახალგაზრდა რომ ვიყავი და აკაკი ფალავას სტუდიაში ვსწავლობდი, ზედმეტ ქებას მაშინ ვერ ვიტანდი და ახლა, მიმავალს, რაღად მინდა გუნდრუკის კმევა. ჩვენი დიდი მასწავლებელი კოტე მარჯანიშვილი გვეუბნებოდა, თუ როგორ უკარგავს მსახიობს თვითკრიტიკის გრძნობას გადამლაშებული რეცენ-

ზიები. ყველას და ყველაფრის ქება არ შეიძლება, ნუ ვუძღვრებთ ხმამაღლა იმას, „ვინც არ არის კახაბერი“. ამით დათურ სამსახურს ვუწვევთ, მეტადრე ახალგაზრდობას.

ყოველი ახალი როლი მე ახლაც ისე მაშინებს, თითქოს პირველად გავდიოდე სცენაზე, პრემიერის შემდეგ ყოველთვის მეგონა, რომ ვერ შევძელი, რაც უნდა გამეკეთებია. დედაშვილობას, პოზად არ ჩამითვალთ: ახლა იმას ვფიქრობ, რუსთაველის პრემიის ღირსი არა ვარ-მეთქი. ეს თვითკონტროლი, შიში და ეჭვი ძალზე მშველოდა ხელოვნებაში. ამიტომ, ყოველთვის უთანხმოება მქონდა რეჟისორებთან, ძნელად ვიღებდი როლს, ჭირვეულს მეძახდნენ (თუმცა ერთი სიამოვნება იყო კოტე მარჯანიშვილთან, სანდრო ახმეტელთან, ვასო ყუშიტაშვილთან, ვახტანგ ტაბლიაშვილთან, გიგა ლორთქიფანიძესთან მუშაობა. სამწუხაროდ, თემურ ჩხეიძესთან აღარ მომიხდა მუშაობა).

კიდევ — იუმორი მშველოდა. ეს — ცხოვრებაში, ალბათ, მამაჩემისგან დამყვა, ხუმარა, კვიმატი კაცი იყო. მეც, მოგვიანებით, იუმორით და ხალისით ვძლევიდი შიმშილსა და ათასგვარ გაჭირვებას (ნუ დამძრახავთ — უფულობასაც. აბა, ესტრადა რა ჩემი საქმე იყო, სანდრო ჟორჯოლიანთან ერთად რომ გამოვდიოდი).

იქნებ, არც დაიჯეროთ, ყვავილები არასოდეს მიმიღია სცენაზე. გიკვირთ, არა? მეც მიკვირს, მაგრამ ხალხის სიყვარულს მაინც ძალიან ვგრძნობ. განსაკუთრებით ბაზარში. ჩემი დღე და მოსწრება უმეტესად გლეხის ქალებს ვთამაშობ, და ბაზარშიც, სოფლელებს მეტი რა უნდათ, კიდევ — ტაქსის მძღოლები მცემენ დიდ პატივს. ერთხელ ერთმა მითხრა, მ-

ნამ არ წაგიყვანთ, ვიდრე ჩემთან არ ამოხვალთ სახლში, ცოლ-შვილს თქვენი გაცნობა უნდაო. მეც რაღას ვიზამდი, ავედით და მოვილხინეთ ხინკლით. მძღოლს ვუთხარი: თუ კაცი ხარ, ჩემი სიკვდილი რომ გაიგო, შეკრიბე ტაქსისტები და ერთი მაგარი საყვირი მიეცი ერთხმად-მეთქი. რა ვიცი, შეასრულებენ?

თქვენ რეცენზიებიც მთხოვეთ ჩემს შესახებ. ვეძებე, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე. არაფერი შემინახავს და, რას ვიპოვიდი. ისე, წერილები კი მაქვს ზოგიერთი მაყურებლისაგან. ამას წინათ ერთი ქალი მწერდა: ქალბატონო სესილია, ავად ვიყავი ძალიან და შვილებს ვთხოვე, ერთი, სარკე მომიტანეთ, უკანასკნელად ჩავიხედო შიგ-მეთქი. მომიტანეს სარკე და ჩემი თავი რომ დავინახე, სულ თქვენს ასინეთას ვგავდი, გამეცინა სულელივით, გავმხიარულდი, მერე სულ კარგ ხასიათზე ვიყავი და თანდათან გამოვკეთდიო.

თქვენ აქ მეკითხებით, თუ როგორ მოვედი ქართულ თეატრში. ბათუმში ვცხოვრობდი, ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ მიშა გელოვანი, შალვა დადიანი და სხვები. მათი დიდი გავლენა იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ მსახიობად უნდა დაიბადო. აქ კი გენებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემი ბიძა-შვილები იყვნენ ცეცილია და ალექსანდრე წუწუნავეები, ალექსანდრე თაყაიშვილი და, ალბათ, რაღაც გადმომედო იმათი.

კიდევ, გსურთ, რომ ჩემს შემოქმედებაზე ვისაუბრო, უფრო, ქართულ კინოფილმებში ბოლო დროს შესრულებულ როლებზე, მაგრამ ეგ საქმე არ გამოვა. ერთ სიტყვას ვერ დამაცდენინებთ. თუ ეს აუცილებელია, უმჯობესია სხვებს

ჰკითხვით, მიამატოთ ამ წერილს და მეტი, ალბათ, არც იქნება საჭირო.

ბევრი სისულელე ვჩხაპნე და, აბა, თქვენ იცით, როგორ ჩამისწორებთ“.

სესილია თაყაიშვილის შემოქმედებაზე გვესაუბრება სსრ კავშირის სახალხო არტიისტი, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე:

— როდესაც რეჟისორი ფიქრობს თავისი შემოქმედებითი კრედოს გამომნატველ მსახიობზე, აქ იმდენი თვისება გროვდება, შეუძლებელია, ერთ ადამიანში იყოს ყოველივე. არის ხოლმე ბედნიერი გამონაკლისი. ასეთი გამონაკლისია სესილია თაყაიშვილი, რომელიც ჩემთვის ყველა აქტიორული თვისების მატარებელ იდეალს წარმოადგენს.

ჩემი აზრით, სესილია თაყაიშვილმა შეძლო ქართული ხელოვნებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისებების გამომჟღავნება თავის შემოქმედებაში. იგი მსოფლიოს ნებისმიერ დასს დამაშვენებდა.

სესილია თაყაიშვილის უპირველესი თვისებაა უდიდესი რეალურობა, უზუსტესი ცხოვრებისეულობა. ორმოცი წელიწადია ვხედავ სცენაზე თუ ეკრანზე და არასოდეს ოდნავი სიყალბეც კი არ შემიმჩნევია. იგი ჰუმანარტად ხალხის სათაყვანო მსახიობია, რადგან ხალხურია, მისი ყოველი ინტონაცია, ექსტი საოცრად ეროვნული და განუმეორებელია, ეროვნული კი ყოველთვის ყველა ერისთვის მისაწვდომი და გასაგებია.

მე არასოდეს დამავიწყდება სცენა, რომელიც მოხდა მარჯანიშვილის თეატრში: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“ ესწრებოდა ცნობილი ფრანგი რეჟისორი, პარიზის თეატრების გენერალური დირექტორი ჟან დარკანტი. იგი აღაფრთო-

ვანა სესილია თაყაიშვილის „ბებია“ და განუწყვეტლივ გაი-
ძახოდა: ეს არავითარი ქართველი ბებია არ არის, საოცრად
ჰგავს ბებიაჩემს, რომელიც ახლა პროვანსში ცხოვრობსო.
შემდეგ გვთხოვა, გამაცანითო და აი, ჩემს ოთახში შემოვიდა
ქალბატონი სესილია, ახალგაზრდული გამომეტყველებით,
მხნე ნაბიჯით და ენერგიული ექსტიკულაციით. ჟან დარკანტი
თვალს არ უჯერებდა, რომ ეს იყო ის მსახიობი, რომელიც
სულ რამდენიმე წუთის წინ ღრმად მოხუცებულს განასახიე-
რებდა. არასოდეს დამავიწყდება ფრანგი სტუმრის პათეტი-
კური შეძახილები. შემდეგ მან დაიჩოქა, ხელები მოხვია ქალ-
ბატონ სესილიას და მუხლებზე დაუწყო კოცნა. ჟან დარ-
კანტიმ თეატრის შთაბეჭდილებათა წიგნში მრავალი ქათინაუ-
რი ჩაწერა ჩვენი სპექტაკლის შესახებ, მაგრამ განსაკუთრე-
ბით ხაზს უსვამდა იმ უდიდეს შთაბეჭდილებას, რომელიც
მასზე მოახდინა, მისი თქმით, ამ მსოფლიო მასშტაბის მსა-
ხიობმა.

სესილია თაყაიშვილს უბადლო გარდასახვის უნარი აქვს.
მე არასოდეს მინახავს იგი განმეორებული რომელიმე როლ-
ში, გარდასახვის შედეგად შეიძლება ჩაითვალოს მისი ასი-
ნეთა, ფილმში „დათა თუთაშხია“. ამ შვიდსერიან და რვა-
საათიან სურათში სესილია თაყაიშვილს სულ ათიოდე წუთი
აქვს დათმობილი ეკრანზე და არ მეგულება მაყურებელი,
რომელსაც ერთ-ერთ უდიდეს შთაბეჭდილებად არ რჩებო-
დეს ასინეთას — ამ გველადუას სახე, ასე ოსტატურად რომ
ჩამოძერწა მსახიობმა. მართლაც და, საოცარია, რომ თითქმის
ერთდროულად იღებდა იგი ორ სურათში — „დათა თუთაშ-
ხიასა“ და „ნატვრის ხეში“ — და როგორ მოახერხა მსახიობ-

მა ასეთი კონტრასტული სხვაობა, თანაც გრიმის უძუნწესი გამოყენებით.

სესილიაზე ამბობენ, მეტად ჭირვეული, ძნელად მოსავლელი მსახიობიაო, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად მოჩანს ასე. სინამდვილეში ეს უდიდესი მომთხროვნელობაა საკუთარი თავის, შემოქმედების მიმართ.

რეპეტიციებზე სესილია თაყაიშვილი არასოდეს არ ამბობს ყველაფერს ბოლომდე, ამიტომ მეტად ძუნწი მონახაზებით შეიძლება მიხვდე, რის თამაშს აპირებს საბოლოოდ. მისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ასე ვთქვათ, „საშინაო მუშაობას“.

იგი არის უსპეტაკესი ადამიანი, უერთგულესი მეგობარი, ბრწყინვალე დედა და თავდადებული ბებია. ბევრი ისეთი ადამიანური თვისება შეიძლება განასახიეროს მსახიობმა სცენაზე, რომელიც მას პირადად არ გააჩნია, მაგრამ შეუძლებელია შექმნა განუმეორებელი სახე ბებიასი, და ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები მისსავე ბუნებაში არ იყოს გამჯდარი.

სამწუხაროდ, სესილია თაყაიშვილმა ძალზე ადრე დატოვა ქართული თეატრი, მაგრამ ესეც გამოწვეულია მისი მოკრძალებით, პასუხისმგებლობით თეატრის წინაშე. სესილიას გამოჩენა სცენაზე უდიდესი ხელოვნების დღესასწაული იყო. და ბედნიერნი ვართ, რომ ეს დღესასწაული დღეს კინოეკრანზე მისი გამოჩენით გრძელდება.



რალა უნდა დავუმატო ჩვენი თეატრისა და კინოს ცნობილი რეჟისორის ნათქვამს? ვგონებ ზედმეტი იქნება დაწვრილებით ვილაპარაკოთ იმ სახეებზე, ამ ბოლო დროს ქართულ კინემატოგრაფს რომ შემატა მსახიობმა. დაუვიწყარია ეს სახეები და ჭეშმარიტად ბედნიერია ეროვნული კინოს ხვალისდელი მაცურებელი, რომელსაც შეუძლია თავისი თვალით ნახოს, თუ როგორ ბრწყინავს სესილია თაყაიშვილის ტალანტი სამსახიობო ხელოვნების ქართველ ოსტატთა თანავარსკვლავედში. ჩვენ კი ერთი ვისურვოთ: სიმხნევე და ჯანი მისცეს ქალბატონ სესილიას, რომ კვლავაც გავიხაროთ მისი უზადო შემოქმედებით.

და ბოლოს, ასე დავამთავროთ: რამდენი დალოცვილი, საუკუნეებგამოვლილი სიტყვა გვაქვს ქართველებს. მშვენიერია, მე მგონი, მათ შორის — სათაყვანოც, და რაკი ერთი წუთითაც არ მეეჭვება, რომ სესილია თაყაიშვილი ხალხის სათაყვანო მსახიობია, დავარქვათ ამ წერილს სათაყვანო!

1983 წ.

სავსე ქართული პატიოსნებით

„კეთილად აღორძინდი, შატბერდო... სულითა
მარადის შენ თანა ვარ შეწვენად შენდა“

გიორგი მერჩულე.

რამდენჯერ გადაგვახედა საქართველოს შორეულ საუკუნეებში ჩვენმა ისტორიის მასწავლებელმა, რამდენჯერ მოგვატარა მოწამეთა, ბაგრატი თუ გელათი, რამდენჯერ ჩაგვაჩოქა დავით აღმაშენებლის საფლავთან... ერთხელ კი, გაქვეთილზე, მახსოვს, ასეთი რამ გვითხრა: ყმაწვილებო, ერისკაცები საქართველოს არასოდეს დაღევია, ერისკაცები გვაფხიზლებდნენ, რაინდულ სულს გვინერგავდნენ... ასე იყო და ღღესაც ასეა... ერისკაცები კვლავაც გვყავს და თქვენ მათგან უნდა ისწავლოთ ხვალ-ზეგ სამშობლოს სამსახური... მერე რამდენიმე გვარი დაასახელა და მათ შორის პავლე ინგოროყვაც ახსენა.

მაშინ ცოტა რამ თუ გაგვეგო მასზე. მოგვიანებით კი, კატუდენტობისას, როცა მისი წიგნები და ნაშრომები წავიკითხეთ და მკვლევარის შემოქმედებით სამყაროს ახლოს გავვეცანით, ჩვენთვის გასაგები გახდა პავლე ინგოროყვას ფასი, მივხვდით, რატომ სცემდა პატივს მთელი საქართველო. მის

მოწამებრივ შრომას და იობის მოთმინებას დიდად აფასებდნენ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები, ისინიც კი, ვისთანაც ჭეშმარიტების დასადგენად რა კამათი არ ჰქონია მკვლევარს. მაგრამ განა სხვაგვარად შეიძლებოდა იმ საკითხებზე მუშაობა, რომელსაც სიჭაბუკიდანვე შეეჭიდა?..

სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ კი შრომა, დაუღალავი შრომა და ძიება... ხოლო, თუ რა გააკეთა მშობელი ერისთვის, ამის შეფასება ერთ ადამიანს დიახსაც გაუჭირდება (მით უმეტეს ამ სტრიქონების ავტორს). არც გავკადნიერდები.

**სიტყვა კონსტანტინე გამსახურდიასი, წარმოთქმული
ამ ოცდაათიოდე წლის წინათ**

ჩვენ ქართველებს, მრავალ ღირსებასა და ნაკლთან ერთად ერთი სენიც გვჭირს. მიცვალებულების წინაშე ვიხრით ქედს, ხანდახან უნიჭო მიცვალებულებს უფრო ვაფასებთ, ვიდრე ნიჭიერ თანამედროვეს.

...ამას წინათ გამოქვეყნდა პავლე ინგოროყვას დიდი შრომა „გიორგი მერჩულე“, რომელშიაც გაშუქებულია მრავალი საკვანძო საკითხი ქართული მწერლობისა და პოლიტიკური ისტორიისა, პროექტორივით ნათელი მზერა მიპყრობილია მრავალ დაბურღულ საკითხისადმი... ამ უზარმაზარმა შრომამ

ისეთი პოპულარობა მოიხვეჭა ორიოდე თვის მანძილზე, ბევრ რომანს არ რგებია ასეთი.

ყოველ ცოცხალ ადამიანს, ყოველ დიდ მკვლევარს და დიდ მწერალს ოპოზიცია ჰყოლია და ეყოლება მუდამ. ეს საგანთა ბუნების შეუცვლელი კანონია, პავლე ინგოროყვასაც ჰყავს ასეთი ოპოზიცია, ისინი უჩივიან ჰიპოთეზებს, სითამამეს. ერთი ვიკითხოთ, განა ედუარდ მაიერს, მამზენს და მიშელს არ ჰქონიათ გადაჭარბებული ჰიპოთეზები?

ქართული ლიტერატურის ისტორია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, ეს მეცნიერება არც ევროპასა და რუსეთშია დიდი ხნისა. პროფესორი ა. ხახანაშვილი, აკადემიკოსები კ. კეკელიძე და ე. თაყაიშვილი და ნაწილობრივ აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი უყრიდნენ მას საფუძველს. ახალ დროში პავლე ინგოროყვამ უდიდესი ღვაწლი დასდო ამ მეცნიერებას. ეს ღვაწლი, ვიმეორებ, ჯერ არც შესწავლილია და არც შეფასებული.

1913 წელს სავსებით ახალგაზრდა მკვლევარმა გამოსცა „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“ — 477-გვერდიანი ფუნდამენტური შრომა. ერთი წლის შემდეგ „ეფრემ მცირე“, შესავალი „ფსალმუნთა კატენებისა“, ამას მოჰყვა „იოანე შავთელის საგალობელნი 1206 წლისა“, მერმე ზედიზედ გამოაქვეყნა: „ჩახრუხახე — პოეტი მოგზაური“, დიდი შრომა, შთაგონებული ჰიპოთეზებით გამთბარი „რუსთველიანა“, დიდად საინტერესო ნარკვევი „ძველქართული წარმართული კალენდარი“, რომელსაც ქართული ისტორიის ხელახალმა ფუძემდებელმა ივანე ჯავახიშვილმა უწოდა „გზის გამკვლევი ნაშრომი ქართულ მეტყველებაში“, „შოთა რუსთაველი და

მისი პოემა“, „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეშ-
კვიდრეობა“ და სხვ.

დიდად საინტერესოა მისი „თამარ მეფის იამბიკონი“
„ლუონტი მროველი“, „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, კარ-
დინალური შრომა: „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე,
მიმოხილვა“.

პავლე ინგოროყვა იცნობს არა მარტო ქართული კულტუ-
რის სამყაროს, იგი სომხური ძველი მწერლობისა, მითოლო-
გიისა და ისტორიის დიდი მცოდნეა.

მკვლევარს სავსებით უანგარო და მძიმე შრომა აქვს ჩა-
ტარებული არა მარტო ძველი საქართველოს მწერლობის სა-
კვლევად, ჯერ კიდევ ისეთ დროს, როცა კლასიკოსებისადმი
ყურადღება სასახელო საქმედ არ ითვლებოდა, მან გამოსცა
ი. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, გრ. ორბელია-
ნის, ვ. ორბელიანის ტომები. იგი იყო მათი კომენტატორი,
ბიოგრაფი, მათი შემკვიდრეობის გულმოდგინე მკვლევარი.

მწერალთა ახალი თაობის საგულისხმოდ მე მინდა ხაზი
გავუსვა პ. ინგოროყვას არა მარტო განსაცვიფრებელი შრო-
მის უნარს და მის დიდ ნიჭს, მის ადამიანურ ღირსებებსაც,
დიდი მორალური სიფაქიზით ცნობილია იგი ჩვენს მწერალურ
ოჯახში, პატიოსნებით სავსე, უებრო რაინდი, გაჭირვების
ჟამს ერთგული ამხანაგი.

ეგეც დაიხსომონ ჩვენმა ახალგაზრდებმა, რომელთაც ჯერ
არ იციან, რომ მხოლოდ ის რჩება მომავალი თაობების მეხ-
სიერებაში, რაც გულის სიახლის საფასურით და თავგამე-
ტებული შრომით შექმნილა.



პავლე ინგოროყვა სიჭაბუკეში ცისფერყანწელთა დასინჯ აქტიური წევრი იყო. მეგობრები დიდად აფასებდნენ მის გემოვნებას, ანალიტიკურ ნიჭს.

იგი იყო ქართველ მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რედაქტორობდა ჟურნალებს „კავკასიონსა“ და „ახალ კავკასიონს“. 1928 წელს დააარსა გამომცემლობა „ქართული წიგნი“, პოეტებმა მშვენიერი ლექსები უძღვნეს თავის ძმას და მეგობარს. გახსოვთ პაოლო იაშვილი?.. ანდა კოლაუ ნადირაძე: „ო, მეგობარო უსპეტაკესო, ცად თუ აკურთხეს აკვანი შენი, რომ ჩვენი სულის სიღრმეში თესო სიტყვა ქართული მერჩულეს ენით“. მურმან ლებანიძე კი ასე ეუბნება: „ბერო! მარტვილო! ერის მუშავ, გშვენის მხნე გული“.

კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ახლა მეცნიერს მივცეთ სიტყვა:

საქართველოს სსრ მაცნიერებათა აკადემიის

წევრ-კორესპონდენტის საზღის დაიხვილის ნაუზაკი:

— პავლე ინგოროყვა გამოჩენილი ფიგურაა ქართველ მწერალთა და ლიტერატურის მკვლევართა შორის. სხვა ღირსებებთან ერთად განსაკუთრებულია მის გამოკვლევებში ჩაქსოვილი მძაფრი ეროვნული სულისკვეთება და თბრობის დიდი ოსტატობა. პავლე ინგოროყვა, მართლაც, დიდი არტიზიმით ფლობს ლიტერატურის მკვლევარისადმი ესოდენსაჭირო „საიდუმლოებას“.

ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან იგი ქართული კულტურის კვლევის წინა ხაზზე იდგა ყოველთვის და როგორც მისი ტემპერამენტის მქონე შემოქმედისაგან იყო მოსალოდნელი, არაერთხელ დაუგზნია პოლემიკის მწვავე ხანძარი.

ძნელია იმის მტკიცება, რომ მკვლევარის მიერ წამოყენებული ყველა დებულება შეუვალია და ურყევი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათ გარშემო გაღვივებულმა მძაფრმა პოლემიკამ ჩვენი მეცნიერებისათვის გარკვეულად დადებითი როლი ითამაშა (რითაც უეჭველად საქმემაც მოიგო და მკითხველმაც).

მაინც, ჩემის აზრით, სხვაზე მნიშვნელოვანია მეცნიერის ბიოგრაფიული ნარკვევები და ტექსტოლოგიური ძიებანი, რომლებიც მე-19 საუკუნის გამოჩენილ ქართველ მწერლებს ეძღვნება. საგულისხმოა მკვლევარის ცალკეული მიგნებები რუსთველოლოგიის, კერძოდ კი, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის სფეროდან.

ხოლო რაც შეეხება მის ღვაწლს ზღვასავით უნაპირო ძველი ქართული სასულიერო პოეზიის შესწავლაში, აქ ვალდობდილ მეცნიერს სრული უფლებით შეუძლია გაიმეოროს მისთვის ყველაზე სათაყვანებელი პოეტის სიტყვები: „ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს“.



რომელი ქართველი ჟურნალისტის ოცნება არ იქნება შეზღვეს და ესაუბროს ამ ვალდობდილ მამულიშვილს, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ კაცს. საამბობი სწორედ მასა აქვს,

თუ აქვს. როდესაც დავალემა მივიღე, მეც ეგ გადავწყვიტე—
შევხვედროდი პავლე ინგოროყვას. მაგრამ, სამწუხაროდ, თა-
ვის ოთხმოცდამეათე შემოდგომას ლოგინად ჩავარდნილი
ხვდება, საუბარი ვერ მოხერხდა...

„რწმენა ღვთიური ნიჭია“, ამბობს ბლენ პასკალი. სწორედ
უსაზღვრო რწმენა ახლდა თან დიდ ქართველ მეცნიერს არქი-
ვებსა და საცავეებში ძველთაძველ ხელნაწერთა ჩხრეკისას. ამ
ხელნაწერებში ხომ მისი სწორუპოვარი წინაპრები ილანდე-
ბოდნენ, საქართველოს გმირული წარსული ჭიატობდა, წარ-
სული აცოცხლებდა, მერჩულესა და რუსთაველს ძილშიაც
ეჩურჩულებოდა.

ისინი აცოცხლებენ დღესაც.

1983 წ.

ნეტავი ვიყო პატარა გავშვი!..

ხუთი წლის წინათ სწორედ ნიკა აგიაშვილმა დამოძღვრა რუბრიკა „დღევანდელი ნომრის სტუმარი“. პირველი თვითონ „გვესტუმრა“ და ჩვენც ვეცადეთ, გულის სითბო არ დაგვეკლო სამოცდათხუთმეტი წლის მწერლისათვის.

— ახლა ოთხმოცი წლისთავს გილოცავთ, ბატონო ნიკა, გეფიცებით, თითქოს არც მოგკლებიათ სიმხნევე და ყმაწვილური სიკასკასე. იქნებ ყველა პირველ სექტემბერს დაბადებული ასეა?

— მოლოცვისათვის დიდი მადლობა, ჩემო ბატონო... ვცდილობ მხნედ ვიყო, მაგრამ წლებს მაინც თავისი მიაქვს... როცა 1973 წლის პირველ სექტემბერს დაბადების სამოცდაათი წელიწადი მისრულდებოდა, რასაკვირველია, ხუმრობით ვინატრე: ნეტავი ამ სამოცდაათ წელს ეს ერთი არაფრისმაქნისი ნოლი ჩამოაკლდეს და შვიდი წლის ბალდი გავხდეთ-მეთქი. საზეიმოდ გამომაწყობდნენ, სასწავლ ნივთებსა და წითელყდიან „დედაენას“ ჩამიწყობდნენ დედის ტკბილი და თბილი ხელით შეკერილ ჩანთაში და „სასწავლებელში წასაყვანად“ მომამზადებდნენ...

კარგად არ ვიცი, და ვერც გავიგე, საიდან და როგორ შეიტყვეს ეს ჩემი ნატვრა-ხუმრობა ჩემმა ძველმა ზუგდიდელმა მეგობრებმა — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ერთ-ერთ-

მა პირველმა თანამშრომელმა ქალმა — ელპიტე გეგენაგამ და მისმა ქმარმა — ახლო წარსულში ყველასათვის ცნობილმა პარტიულმა მუშაკმა და საზოგადო მოღვაწემ — გრიშა ჩაჩიბაიამ, მაგრამ ისე მოხდა, რომ იმ ჩემი სამოცდაათი წლისთვის გამო საჩუქრად ერთი კარგი და ლამაზად გამოცემული „დედაენა“ არ გამომიგზავნეს!.. კეთილ სურვილებთან და მეგობრულად გამოთქმულ მოსალოც სიტყვებთან ერთად იმ „დედაენის“ ტიტულზე ლექსად ჩაეწერათ: „გადაშალე თავ-ფურცელი, წაიკითხე: აი ჭიქა, წერას, კითხვას და ანგარიშს სწავლა უნდა, ჩვენო ნიკა. უკვე დიდი ბიჭი გვყავხარ, სწავლას მიყევ, ძმაო, ხელი, ფორმა კობტად ჩაიცი და სკოლისაკენ ჰერი, ჰერა!“ ცხადია, ეს ხუმრობა იყო. კარგ ხუმრობას კი, აბა, რა სჯობია. ოღონდ სამოცდაათი და თანამოცი წელი არც ისე სახუმარო ასაკია. იგი ძალზე ხანგრძლივი დრო და უამია. რამდენი რამ მოხდა ამ ხნის მანძილზე, რამდენი გვაქვს მოსაგონებელი და გასახსენებელ-საამბობელი...

— გასახსენებელ-საამბობელს, ზოგ-ზოგს, იმედია, არც ჩვენ დაგვიმალავთ, ბატონო ნიკა, მაგრამ ჯერ ის ბრძანეთ, ამ ხუთი წლის მანძალზე რა სახლზე იყო თქვენს ცხოვრებაში, შემოქმედებაში?

— დავწერე ჩემი „მოგონებების“ — უმთავრესი ნაწილი, ვთარგმნე მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედეგრი — ჟან ჟაკ რუსოს „უიული ანუ ახალი ელოინა“... ჰოდა, რაც მთავარია, შემემატა ორი შვილიშვილი — თამუნია და ნიკა, სამსახური არ გამომიცვლია. გამომცემლობა „მერანის“ ერთგული ვარ და ისევ იქ ვმუშაობ თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგედ... ასეა ჯერჯერობით...

**უფროს მებობაზე მოგვითხრობს მისი ავტობიოგრაფიული
„უფროსი“, გამომცემლობა „მეჩანის“ ღირსშესანიშნო
კომპი კავაზ მარკიანი:**

— ამ ბოლო ხანებში ხშირად მიხდება მილოცვა ჩვენს ამაგ-
დარ უფროს მეგობრებზე. ჯერი ახლა ნიკა აგიაშვილზე დად-
გა, რომელსაც დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

მე და ნიკა ერთ ჭერქვეშ ვმსახურობთ. ჩვენ თითქმის ყო-
ველდღე ვხვდებით ერთმანეთს. ყოველი შეხვედრისას ჩემს
სიჭაბუკეში აღმოვჩნდები ხოლმე. მაგონდება ნიკასთან ერთად
გატარებული სიჭაბუკის წლები, ახალგაზრდული სალიტერა-
ტურო უურნალი „ჩვენი თაობა“ („ცისკრის“ წინამორბედი)
და მის ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდობა. ამ ახალგაზრ-
დებიდან მხოლოდ რამდენიმე შემოვრჩით ჩვენს ნიკა აგია-
შვილს. მაშინ ნიკა უურნალის პასუხისმგებელ მდივნად მუ-
შაობდა და ბევრი სიკეთე გვახსოვს მისგან. იმ წლების ამბები
თვით ნიკას აქვს მშვენივრად მოთხრობილი შესანიშნავ პო-
პულარულ წიგნში „ჭაბუკები დარჩნენ მარად“. ჩემი აწ გარ-
დაცვლილი მეგობრები ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ (მ. გე-
ლოვანი, ლ. ასათიანი, ალ. საჯაია, ლ. უბილავა, გ. ნაფეტვა-
რიძე, ა. შენგელია, ი. ნონეშვილი, გ. ჯაბუშანური, შ. ამისუ-
ლაშვილი და სხვ.) ალბათ ჩემსავით სიყვარულით მიულო-
ცავდნენ ძვირფას ნიკას ემ ღირსსახსოვარ დღეს.

მე და ნიკა ხშირად ვიგონებთ ხოლმე იმ დაუვიწყარ სი-
ჭაბუკის წლებს. მაშინ ნიკა ჩვენზე ბევრად ხნიერი და უფ-
როსი გვეჩვენებოდა, დრო სწრაფად მიდის, მხოლოდ იგი
დარჩა ისეთივე, როგორც იყო ამ ორმოციოდე და უფრო

მეტი ხნის წინათ — საქმისათვის თავდადებული და ენერგიული, დაულაღვი და რაც მთავარია, ახალგაზრდული აღტყინებითა და შემართებით. იგი ჩვენს გამომცემლობა „მერანში“ თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგეა და შესანიშნავად უძღვება ამ საქმეს. ნიკა თავს არ გვაფიწყებს და ჩვენს სალიტერატურო ეურნალ-გაზეთებში ხშირად ბეჭდავს მეტად საინტერესო წერილებს, მოგონებებს, რომელსაც ეწაფება ჩვენი მკითხველი. ასე რომ, ეს ჭარმაგი ლიტერატორი დღესაც ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და კვლავ, როგორც მას ჩვეოდა ძველად, მამობრივად მზრუნველობს ჩვენს ახალგაზრდობას.

* * *

სანატრელია, ოთხმოცი წლის მოიყაროს კაცმა, ცხოვრების ოკრობოკრო გზა-შარა გაიაროს, ათას ჭარტეხილს გაუძლოს, მილეთის ხალხს შეხვდეს, გაიცნოს, დაიმეგობროს და მაინც თაფლის სანთელივით სუფთად ჩამოლვენთილი, უზინჯო მიადგეს აგერ, ა, საუკუნის კარიბჭეს. თანაც ამ გრძელ გზაზე დღენიადაგ სწამდეს: „ვინც არ არის კახაბერი, მას ვერ ვიტყვი კახაბერად“. სანატრელია, მაგრამ შეძლებაც ხომ უნდა. ნიკა აგიაშვილმა შეძლო. თუ როგორ უყვარდათ იგი მის თანატოლებს, ანდა უფრო უმცროსებს — ლადოსა და მირზას თაობას, ამაზე ბევრი გვსმენია და წაგვიკითხავს. თაობები იცვლება, ხდება ფასეულობათა გადაფასება, ნიკა ნიკად რჩება. ახალგაზრდობა დიდად აფასებს მის ნამუსიანად გა-

მოვლილ ცხოვრების გზას, უზადო, გაუცვეთელ ლიტერატურულ გემოვნებას, პრაპირმოთნობას.

— მე და ჩემი ტოლები, უმრავლეს შემთხვევაში, ძალიან ცნობისმოყვარენი ვიყავით. მე ახლაც ასეთი ვარ. რომელიმე დარგის სპეციალისტი (ვთქვათ — მკვლევარი, მეცნიერი, რაიმე პროფესიას დაუფლებული) არ ვყოფილვარ და არც მაინტერესებდა ეს. გამოტეხილად რომ ვთქვა, ყველაფრის მოყვარული გახლდით, ასე ვთქვათ — დილეტანტი, რომელსაც ბევრი საინტერესო საინტერესოდ კი მეჩვენება, მაგრამ ახლა მეორეჯერ ველარ მივუბრუნდები. ყოველმხრივ განსაზღვრული და დაკანონებული თავიდანვე არ მიყვარდა.

მე, ჩვენი სახელოვანი პოეტის ალექსანდრე აბაშელის ერთ-ერთ ლექსში, თავის ბებიანზე რომ წერს, ისეთი ვარ: „ოთხმოცი წელი გავატარე უთეორიოდ“. ყველაფერი პრაქტიკული, თვალით დანახული და ყურით ნასმენი მირჩევნია.

— ხომ არასდროს გიცდიათ პოეზიაში, ან პროზაში კალამი? თქვენ ხომ სულ ისეთ ხალხში ტრიალებდით...

— ტრიალი რას შველის... მე ჩვენი პრესის ჯარისკაცი ვიყავი, 1925 წლის 8 დეკემბრიდან, ყოველდღიური რომ გახდა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, აი, იმ დღიდან, პრესაში ვმუშაობდი. მერე, 30-იან წლებში ქუთაისის საქალაქო გაზეთში გადაგვიყვანეს თბილისიდან რამდენიმე კაცი, მერე ისევ თბილისი, ყურნალ „მნათობისა“ და „ჩვენი თაობის“ რედაქციებში ვმოდგაწეობდი...

— თქვენ არა მარტო ჩვენს თაობას, მომავალსაც მშვენიერ საჩუქარს უტოვებთ, ბატონო ნიკა — მოგონებას იმ, მართ-

ლაც „მარად ჭაბუკ“ მეგობრებზე. რამ მოგაფიქრათ ამ წიგნის შექმნა?

— ეეჰ... თუ სადმე სამართალია, მოგონება იმათ უნდა დაეწერათ ჩემზე, 10-15 წლით უმცროსები იყვნენ. მაგრამ რახან ასე მოხდა, მე სხვაგვარად არ შემიძლო. ზემოთ გითხარი, რომ ცნობისმოყვარე ვიყავი, ბევრ რამეს ვიწერდი, მეხსიერება ახლაც არ მღალატობს და ზოგი საინტერესო მომენტი ზუსტად აღვადგინე. რაც მთავარია, მასალები მქონდა ბლომად. ვეცადე ცოტა უფრო გამომეჩინა ის ჩვენგან ადრე წასული ბიჭები, თორემ ისე, ლალო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალიოშა საჯაიას, გიორგი ნაფეტვარიძის სახელებს ვინ დაივიწყებდა. ვგონებ, მე უფრო გამომაჩინეს ჩემმა მეგობრებმა.



დღეს უკვე ლეგენდები დადის ომისწინა წლების ლიტერატურული თაობის შემოქმედებით ცხოვრებაზე, შესაშურ მეგობრობასა და ერთიანობაზე. როგორ უყვარდათ ერთმანეთი, როგორ უხაროდათ მეგობრის სინარული, როგორ ეფერებოდნენ ერთმანეთს უწყინარი ხუმრობა-შექილიკებითაც, ყოველივე ამით კი დღემდე განუმეორებელ საკუთარ სამყაროს ქმნიდნენ.

ნიკა აგიაშვილისგან ჩვენი თაობები იმითაც იქნება დავალებული, რომ იმ ბიჭების არც ერთი სიტყვა, არც ერთი ენამოსწრებული ფრთიანი გამონათქვამი არ დაუჟარგავს, „ეპიგრამა — ფუნაგორიებად“ აკინძა, რომელთაც მეტ-ნაკლებად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა.

ჩემი თანამოსაუბრე ღიმილით მიაშობს თუ როგორ ეხუმრებოდნენ მას „ძმანი მისნი“. „ომის წინა წლებში (1939-41), ერთსა და იმავე დროს — უურნალების „მნათობისა“ და „ჩვენი თაობის“ რედაქციათა პასუხისმგებელი მდივანი ვიყავი. ახალგაზრდა პოეტმა ალიოშა საჩაიამ „ჩვენი მდივანიკა“ შემარქვა და ასე გამიღექსა: „მდივანი გვყავდა ნიკოლა, ვაქებდით — არა იყო რა“. გრიგოლ აბაშიძემ ციგანიკა დამარქვა, რევაზ მარგიანმა — კლიაოზნიკა; თითო წკიპურტი ყველამ წამკრა, და ჩემს სახელ ნიკას ათასნაირად აბრუნებდნენ და ატრიალებდნენ. ასე მაგალითად, ლიტრაბოტნიკა, ნასლედნიკა, რაზბონიკა, კლუბნიკა (ეს ნიკას სახელობის კლუბი იყო!), პონედელნიკა და ა. შ. გალაკტიონი ოქრონიკას მეძახდა. ერთხელ, ქუთაისში ყოფნისას, კარლო კალაძემ გამომითქვა: „აგიაშვილი ნიკაო, ნე პრიზნაიოტ ნიკაო“... ბოლოს, ლადო ასათიანმა ასე ჩამოაყალიბა: „ნიკა, ნიკა, მდივანიკა, სეკრეტარო მესიაჩნიკა, ოქრონიკა, ი პანიკა, შე საბრალო ციგანიკა. მუდამ იყავ ბიჭო ნიკა, ცინიკა და რაზბონიკა, ახლა გახდი კლაუზნიკა და ცოტათი დგურუშნიკა“. ასე რომ ხელი არავის დაუკლია და ეს ამბავი დღესაც გრძელდება, მეც ვიფერებ და მიხარია კიდევც, კარგ ხუმრობას რა სჯობია.

— ერთი ასეთი რამაც არის, ბატონო ნიკა: „აგიაშვილსა ნიკასო, არ ნაყვარება პიკასო, გედეირია პიკასო, რა დაუშავე ნიკასო“, ყოველთვის ვფიქრობ ეს შეხუმრება მარტო რითმების გამო არ უნდა ჰქონდეს გამოთქმული ავტორს და, ალბათ, თქვენი ხასიათიც ჩანს, რომ ყველაფერს და ყველას ასე იოლად ვერ ეგუებით...

— შეიძლება, დღესაც ყველაზე უფრო სუსტი და უგემოვ-

ნო ნაწარმოებები (ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში) მიშლიან ნერვებს. ამ შემთხვევაში კი ჩემი სახელის (ნიკასო) და მისი გვარის (პიკასო) ბრალია ყველაფერი, ასე შესართმავად რომ მიესადაგა ერთმანეთს, თორემ ვინ მე დიხაშხოელი კაცი და სად ეს გენიალური შემოქმედი. ჩვენ შორის აბა რა იყო საერთო, ანდა სადავო რა უნდა გვქონოდა. პირველი ორი სტრიქონი, სახუმაროდ, ოთარ ჭელიძის შეთხზულია, დანარჩენი ორი, როგორც ამბობენ (აქამდე ვერ შევამოწმე) ნოდარ გურეშიძეს დაუმატებია, სჯობს, ეს საქმე თავსატეხად და უფრო ახლოს განსაჩხრეკად ფოლკლორისტებს მივანდოთ. ყოველი ეპიგრამა — ფუნაგორია თუ კალამბური, ბოლოს და ბოლოს, ხომ ფოლკლორისტიკის არეში ექცევა და მისი საკბილო ხდება.

— ბატონო ნიკა, თქვენ ზემოთ დიხაშხო ახსენეთ...

— დიახ, ალბათ იცით, არის ასეთი სოფელი ვანის რაიონში. იქ დავიბადე. ძველი ოჯახი იყო, 22 სული ვცხოვრობდით ერთად. თუ ყოფილხართ, საოცარი ხედები ჩანს ჩემი სოფლიდან: რიონის ჭალები, კავკასიონი, სამეგრელო და გურია. მიწაც განსაკუთრებულია ამ სოფელში, ალბათ ამიტომაც დაერქვა დიხაშხო (მეგრულად — „სხვანაირი მიწა“).

ოჯახში ყველანი ჩემზე უფროსები იყვნენ. წიგნებს უმეტესად მამიდაჩემი მიკითხავდა. ეს იყო „დედაენა“, „ბუნების კარი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „სურამის ციხე“, ყრმათათვის მოთხრობილი „ვეფხისტყაოსანი“ (გიორგი იოსელიანისა) და ა. შ. ერთი სიტყვით, ბავშვობიდანვე „წიგნის კაცად“ გავიზარდე.

დიხაშხოში მაშინ სკოლა არ იყო და დაწყებით სკოლაში

ზალხინოში დავდიოდი სამ კილომეტრზე. მასწავლებლებიდან რუსული ენის მასწავლებელი გალაკტიონ ნამიჭეიშვილი დამამახსოვრდა ყველაზე უფრო. სხვათაშორის იგი იყო გალაკტიონ ტაბიძის დეიდაშვილი. უფროსი იყო პოეტზე. სწორედ დისშვილის სიყვარულით დაურქმევია გალაკტიონ ტაბიძისათვის დედას — მაკრინეს — გალაკტიონი. ეს — მოგვიანებით თვითონ პოეტისაგან გავიგე.

— ბატონო ნიკა, ცნობილია თქვენი თარგმანები: გორკის „შევარდნის სიმღერა“, ლევ ტოლსტოის „ფენმარდი“, საბავშვო მოთხრობები და ზღაპრები, კორნეი ჩუკოვსკის „ექიმში აიბოლიტი“, სერვანტესის „პერსილესისა და სიგიზმუნდას ყარიბობა“ ჟან ჟაკ რუსოს „ჟიული, ანუ ახალი ელოიზა“ და სხვა. ამდენად, რა თქმა უნდა, თქვენი აზრი გექნებათ დღევანდელი მხატვრული თარგმანის დონეზე საქართველოში.

— უკვე მაღალი დონეა. შედარება არ შეიძლება ძველ წლებთან. ეს კი სასიხარულოა. ოღონდ, ხშირ შემთხვევაში მაინც ურიგოა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების სხვა ენებზე თარგმანი. აქ უპირატესად პოეზია მაქვს მხედველობაში. ზოგ პოეტს რომ უხარია, ოღონდ მთარგმნონ და არას დავეძებო, ასე არ უნდა იყოს. ეს კიდევ არაფერია, მაგრამ რა ვუყოთ კლასიკოსებს? შებღალულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონისა და სხვა ჩვენი სახელოვანი პოეტების პირველწყარო.

არადა, სასიამოვნოა, როცა სხვა ერი შენს შემოქმედებას ეცნობა. გალაკტიონს, მაგალითად, ბავშვივით უხაროდა. ერთ ადგილას გულდაწყვეტით ჩაუწერია: „ამბობენ, გალაკტიონი რუსულად არ ითარგმნება, არ გამოდისო. რუსთაველი ითარ-

გმნა მრავალჯერ, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი და ვაჟა თარგმნეს. მე რა დავაშავე; ან ვინა ვარ ასეთი, რომ ვერ ჩამწვდნენ? სხვები თავიანთ ლექსებს ხომ კარგად ათარგმნინებენ კაი-კაი პოეტებს. მე მათებრ ჩალიჩობა არ შემძიძლია, ამის ძალა და მონერბება არ შემწევს“...

— ბატონო ნიკა, თქვენთან საუბარს რა სჯობია, მაგრამ როგორც იტყვიან: „ჩვენი დრო ამოიწურა“: კარგა მოზრდილი მასალა გამოგვივიდა და იმედს ვიტოვებ, რომ ხუთი წლის შემდეგ, 85 წლისთავზე ასევე მხნედ იქნებით და კიდევ ბევრ რამეს მიამბობთ. ახლა კი ის გვითხარით. რას გვპირდებით უახლეს ხანში?

— ალბათ მოვესწრები — 1984 წელს „საბჭოთა საქართველო“ სცემს 25-თაბახიან წიგნს: მას ეწოდება „პირად-პირადი“. ეს იქნება იმ სხვადასხვაფეროვან წერილთა, მოგონებათა და სხვადასხვა ნაწარმოებთა კრებული, რაც დაიბეჭდა ჩვენს პერიოდულ პრესაში უკანასკნელი 25 წლის მანძილზე. აქ შევა მოგონებები ჩვენს მწერლებზე (გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, იოსებ გრიშაშვილი, ნინო თარიშვილი, ანა კალანდაძე, იოსებ ნონეშვილი, გიორგი შატბერაშვილი და სხვ.). ნაწყვეტი მოგონებათა წიგნიდან „ზვირთი წუთისოფლისა“, რამდენიმე თავი „ჭაბუკებიდან“ და ა. შ. ეს იქნება, ასე ვთქვათ, ძალზე ფერად-ფერადი შინაარსისა და რაობის შემცველი წიგნი; ამიტომაც მას „პირად-პირადი“ ერქმევა, რადგან, როგორც სულხან-საბა ორბელიანი ამბობს, გვაუწყებს და განმარტავს: „პირად-პირადი... ესე არს სხვადასხვაგვარი, თუ სხვადასხვა ფერად-ფერადი“.

ამგვარადვე მიმართავენ და იყენებენ ამ სიტყვას ჩვენი მწერლობის დიდოსტატებიც. მაგალითად, ვასილ ბარნოვი: „ცხენები იყვნენ პირად-პირადი ფერისა და აგებულების...“ იგივე ავტორი: „ხომალდი იდგა მოკაზმული პირად-პირადი...“

ამასთან, მკითხველმა ისიც უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს, რომ ყოველივე აქ ნათქვამი და მოთხრობილი, სწორედაც რომ თავად ავტორის მიერ პირადად განცდილ, მისგან ნასმენ-ნანახსა და სარწმუნო ამბებს ემყარება. ამის გამო, ასეთი სათაური საჩოთიროდ და უცნაურად მგონი არავის მოეჩვენება.



საუბრისას ხშირად იხსენებდა ბავშვობის დღეებს, გაფრენილ სიყმაწვილეს. — მე კი არა, ვინ არ შენატროდა იმ დღეებს, გახსოვთ გალაკტიონი? „ნეტავი ვიყო პატარა ბავშვი, მხოლოდ დღევანდელ გამოცდილებით“.

მართლაც ვინ არ შენატრის, ბატონო ნიკა, იმ პირველყოფილ სიწმინდეს, მაგრამ როგორ დაიწყებდა ცხოვრებას თავიდან მავან-მავანი? ერთი მჯერა: თქვენ ისევ ასეთი ნიკა ავიაშვილი იქნებოდით, რომელსაც სული მისცა განგებამ „უსპეტაკეს თოვლისა“, მეგობრებისათვის თავდადება და ზრუნვა, ქვეყნის სამსახური ასწავლა მშობელმა მიწამ და ახალი საუკუნის კარიბჭესთან პირნათელი მიიყვანა.

1983 წ.

მამამთავარი „მერვე სასწაულისა“

ანუ ბალეტმეისტერის პორტრეტი
პროლოგითა და ეპილოგით

...ვწერ ილიკო სუხიშვილზე. იგი სამოცდათხუთმეტი წლი-
შაა — დამაშვრალი, ვალმოხდილი, ერის გენიის სამზეოზე
გამომტანი, დიდოსტატი ქართული ცეკვისა.

ჩემს თაობას არ უნახავს სცენაზე მისი არწივეული შემარ-
თება, მხოლოდ კინოფირმა შემოგვინახა ერთადერთი ფრაგ-
მენტი — ცეკვა „ქართული“ ფილმში „ქეთო და კოტე“,
ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი რომ ასრულებენ და
ჩვენც თვალეზგაფართოებულნი მივჩერებივართ: არ გასრულ-
დეს, ოღნავ კიდევ გაგრძელდეს ეს „ღმერთების ცეკვა“.

„ილიკოს ცეკვა არ გინახავს და წერას ბედავ? კარგი რამე
გკლებია, მე და ჩემმა ღმერთმა!“ — იტყვის მავანი, მისი
ოსტატობის მხილველი, თაყვანისმცემელი სუხიშვილის ტა-
ლანტისა და მართალიც იქნება.

თუმცა ამ წერილში არც ვაპირებთ ილიკო სუხიშვილის შე-
მოქმედების ანალიზს. რაოდენ შთაგონებითაც უნდა გადმოე-
ცა მას ქართული ცეკვის სიდიადე, ჩვენი ღრმა რწმენით,
მთავარი შემოქმედება ღვაწლმოსილი ხელოვანისა, აქვეა,
თვალწინაა, ასე რომ გვატკობს ოცდათექვსმეტი წელიწადია

და ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურადამსახურებული ანსამბლი რომ ჰქვია სახელად.

ეს იქნება სამოცდათხუთმეტი წლის კაცის მიბრუნება. გარდასულ დღეებთან, საუბარი ანსამბლზე, ქართული ცეკვის დღევანდელ პრობლემებზე, ზოგი ისეთი რამ, რაც, შეიძლება, დღემდე თქვენთვის უცნობიც კი იყოს, ძვირფასო მკითხველო.

* * *

შინ სამნი დამხვდნენ: ქალბატონი ნინო, დიდი და პატარა ილიკო. დიდი — იუბილარი ოდნავ შეუძლოდ გახლავთ. „გაციებულისა, ბატონო, ლოგინშიც არ ჩერდება, არ იცით, ქართულელების სიჯიუტის ამბავი?“ (ეს ქალბატონ ნინოს სიტყვებია). პატარა, 6-7 წლის ილიკო ტელევიზორთან მულტფილმის ცქერით არის გართული.

ჩვენ რატომღაც ფეხბურთით ვიწყებთ, ქალბატონი ნინო, ეტყობა, დიდი გულშემატკივარია. ვსაუბრობთ თბილისის „დინამოზე“, მის წლევანდელ ამოცანებზე.

— ქართული ცეკვის ილეთები ფეხბურთშიც კი ჩანს, — ვამბობ მე.

— ზედმიწევნით! — კვერს მიკრავენ მასპინძლები. — ცეკვა იყო, აბა, რა, პაიჭაძის, ჯეჯელავას, მესხის, მეტრეველის მოძრაობები, ეს — განგებამ მოგვამადლა.

როცა „საქმეზე“ გადავდივართ, წინაპრებით იწყებს ილიკო სუხიშვილი, პედაგოგს, ქართული ცეკვის ამაგდარ მოღვაწეს ალექსი ალექსიძეს იხსენებს, რომელსაც 1924-26 წლებში თბილისში ქართული ცეკვის სკოლა ჰქონია გახსნილი-

— ორ წელიწადს ვიყავი მასთან, შემდეგ, ორი წელიც ასისტენტად ამიყვანა...

— ერთი ის გაიხსენე, „კალოშები“ როგორ გაყიდე, „კალოშები“, — ელიმება ქალბატონ ნინოს.

— ეს ფოთში იყო. რატომღაც იქ ჩავედი ბედის საძებრად. რამდენიმე დღე დავყავი, მუშათა ცენტრალური კლუბის დარაჯთან მეძინა, წულა-მესტებზე „ოზურგეთის კალოშები“ მეცვა.

— რატომ ერქვა ოზურგეთისა? — ვეკითხები.

— წვერებიან „კალოშებს“ ეძახდნენ ოზურგეთისას, არ ვიცი, რატომ...

— ჰოდა, უკვე ფულიც აღარა მაქვს, ორი დღის მშვიერი ვარ, წავიძვრე ეს ჩემი „კალოშები“ და გავყიდე ფოთის ბაზარზე, დავრჩი მარტის თოვლ-ჰყავში წულა-მესტებით. შევედი ჩაიხანაში და ვზივარ მარტო. ამ დროს ფოთელები შემოვიდნენ, ახალგაზრდები. ასე რომ დამინახეს, დაინტერესდნენ. მეც ვუთხარი, რომ მოცეკვავე ვარ-მეთქი თბილისიდან.

— აბა, ხვალ კლუბში ქართული ცეკვების კონკურსი იმართება და სცადე ბედიო. მართლაც გავედი, ვიცეკვე „შამილი,“ ახლა რომ დაღესტნურს ეძახიან, ვიცეკვე და პირველი პრემიაც მერგო. მეორე დღეს გამომიძახეს ქალაქის ხელმძღვანელებმა და თვითონ შემომთავაზეს ფოთში მუშაობა და გავხსენი კიდევ ქართული ცეკვების პირველი სტუდია... ასე იყო ეს ამბავი...

— რამდენადაც ვიცი, შემდეგ ოპერის თეატრში მიხვედით, ხომ, ბატონო ილიკო?

— კი, ოციანი წლების ბოლოს, იქ გავიცანი კიდევ ეს ჩე-

მი ქალბატონი და აგერ, 52 წელიწადია, მივდივართ ერთად.

ჯერ სოლო პარტიებს არ ვცეკვავდი. ერთხელაც „დაისში“, „ქართულის“ შემსრულებელი ვაჟი ავად შეიქნა და მე მომანდეს ცეკვა. გამოვედი კიდეც თამარ ჭაბუკიანთან ერთად. შემდეგ უკვე ქართულ ოპერებში მე ვასრულებდი სოლო პარტიებს. იმ დროს რატომღაც ცეკვა „ქართულს“ ყველა „ლექურს“ ეძახდა. უფრო გვიან, როდესაც ანსამბლი შევქმენით, ჩვენ დავარქვით „ქართული“.

— ლონდონის ამბები არ დაგავიწყდეს, ილიკო! — ეშველება ქალბატონი ნინო.



თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე რესპუბლიკურ კონკურსს, პირველი დიდი გამარჯვება ილიკო სუხიშვილისა იყო 1935 წელს და ისიც საზღვარგარეთ, ლონდონში. იქ გაიმართა ხალხური ცეკვების მსოფლიო კონკურსი-ფესტივალი. საქართველოდან ექვსი მოცეკვავე მონაწილეობდა. ილიკო სუხიშვილს ოქროს მედალი ჰხდა, თვითონ ინგლისის დედოფალმა გადასცა.

— წარმოიდგინეთ, კოსტიუმებისთვისაც კი პირველი პრემია მივიღეთ, ქართულმა ჩოხამ ყველას აჯობა. ამდენი ანსამბლი რომ ვნახე, სწორედ მაშინ დამებადა იდეა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის შექმნისა.

მაგრამ სად იყო ამდენი მოცეკვავე, თითზე შეიძლებოდა დაგეთვალა, ვინც რაიმედ ღირდა, თანაც ომის პერიოდი იყო, შიმშილი, სიცივე... რახან განვიზრახეთ, მაინც ვმუშაობდით,

დოლი რომ არ გვექონდა, სკამზე ვუკრავდით. გვეუბნებოდნენ: დაიშალეთ, საქმეს მიხედეთ, ორსაათიან ცეკვას რომელმა მაყურებელმა უნდა გაუძლოსო... გასინჯვაზე ნაცნობმა მედუდუკეებმა პატივი მცეს, ფული არ აიღეს, ანკი სად მქონდა... მთავრობის კომისიას, რაც მართალი მართალია, მოეწონა ცეკვები და ანსამბლის ჩამოყალიბების ნება დაგვართო. ეს 1945 წელს იყო. მას შემდეგ რასაც ვაკეთებდით, სად ვიყავით და როგორ ვიყავით, ბევრისთვის ცნობილია.

აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ჩვენი დიდებული მხატვარი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სსრკავშირის სახალხო მხატვარი სოლომონ ვირსალაძე. იგი ამ 36 წლის მანძილზე ჩვენთვის ხატავს ესკიზებს, ბრწყინვალე კოსტიუმებს, მანამდე აჭარულ ცეკვაში ქალის კოსტიუმები არ არსებობდა. სწორედ სოლიკომ შექმნა პირველად მისი ესკიზი.

ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი 1948 წელს პირველად გამგზავრა საზღვარგარეთ საგასტროლოდ, ეს იყო ფინეთში. მანამდე ანსამბლი უკვე გაიცნეს ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში.

— მატარებელი იყო ჩვენი ბინა თვეობით, თანაც არა ისეთი კუპირებული და კომფორტული, დღეს რომ არის. ფინეთში გამგზავრება უფრო იმით არის საინტერესო, რომ ჩვენ ვიყავით, ასე ვთქვათ, პირველი მერცხლები კაპიტალისტურ ქვეყნებში — საბჭოთა კავშირიდან. წარმატებაც დიდი იყო. დარბაზში ერთხელ ისიც კი გავიგონეთ: „როგორ შეიძლება, ამათ ომი მოუგოს ვინმემო“.

ანსამბლის შემდგომ გამოსვლებზე საზღვარგარეთ, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ძვირფასო მკითხველო. იცით, რომ ანსამბლს მსოფლიოს „მერვე სასწაული“ უწოდეს უცხოურმა გაზეთებმა, ისიც იცით, თუ რა ეპითეტებით შეამკეს ქართული ცეკვები.

ილიკო სუხიშვილის, ნინო რამიშვილის და მათი რჩეული ქალ-ვაჟების მთავარი დამსახურება ის არის, რომ მათ პირველებმა გააცნეს უცხოეთს, ბევრ ისეთ ქვეყანას, სადაც საქართველოზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, ჩვენი ეროვნული ხელოვნების მადლი და ლაზათი.

— ინგლისში ფეხბურთში მსოფლიო პირველობის დროს მოგვიწია გასტროლებმა... ქალაქ სანდერლენდში გამოვდიოდით, იმ დღეს ჩვენი და იტალიის ნაკრები ხვდებოდა ერთმანეთს და მით უმეტეს, არ გვეგონა, თუ კონცერტზე ვინმე მოვიდოდა. 2500-კაციანი დარბაზი ისე გაიჟედა, ჩემპიონატზე ჩამოსულ ქართველობას ბორის პაიჭაძეს, გურამ ფანჯიკიძეს, მიხეილ კაკაბაძეს, ვახტანგ რამიშვილს და სხვებს ძლივს ჩავუდგით სკამები, რომ ჩვენი გამოსვლა ენახათ. კონცერტის შემდეგ ქალაქის მერმა მოგვილოცა დიდი წარმატება და შემდეგ, ალბათ, იცით, ჩვენს პატივსაცემად ერთ-ერთ ქუჩას „ჯორჯიენ სტრიტი“ („საქართველოს ქუჩა“) უწოდეს.

— მაინც რა განასხვავებს, რა გამოარჩევს ჩვენს ცეკვებს აგრერიგად, ბატონო ილიკო?

— უპირველესად, მრავალფეროვნება, აქ ქალაქური ფოლკლორით დაწყებული, საქართველოს ყველა კუთხის ცეკვა წარმოდგენილი. და ყველა თავისებურია. ამიტომ ორი გან-

ყოფილება ისე ილევა, ვერც გრძნობს მაყურებელი: დიდძალ კონტრასტია მამაკაცთა და ქალთა ცეკვას შორის და ა. შ.

— ვიცით, რომ ბევრი ცეკვა პირადად თქვენი შექმნილია...

— კი, ბატონო. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილთან წავიკითხე, რომ არსებობდა ცეკვა „სამაია“, მაგრამ ვინ ცეკვავდა, ქალი თუ კაცი, ეს არ იყო ცნობილი, ერთხელაც სვეტიცხოველში, ფრესკები რომ არის ქალების, ულამაზესი, თითქოს იმათ მიკარნახეს, ვის უნდა ეცეკვა „სამაია“, შემდეგ სოლიკო ვირსალაძემ ძველქართული კოსტიუმებით შემოსა გოგონები, და აი, 35 წელია არსებობს ეს ცეკვა. ასევე შეიძლება ითქვას „მხედრულზე“, „ხანჯლურზე“, „საკოლმეურნეო ცეკვაზე“, „შეჯიბრებაზე“ და კიდევ სხვაზე...

— ბატონო ილიკო, თქვენ დაიწყეთ და ახლა უკვე მრავალი ანსამბლი ეწევა ქართული ცეკვის პროპაგანდას. რას გეცხოდით ამის თაობაზე, საერთოდ, დღევანდელ ქართულ ცეკვაზე?

— მე რომ ახლა აქ კრიტიკა დავიწყო, ვინ იცის, როგორ გამიგებენ, არადა, ბევრი ანსამბლი ერთმანეთს ჰგავს, ქორეოგრაფები თითქოს ერთ წყაროდან სვამენ წყალს, არ ეძებენ ახალს, ჩვენი ეროვნული ქორეოგრაფია კი ამოუწურავია, თვითონ გთავაზობს სიახლეებს...



ეპილოგი დამშვიდობებისას შეიქმნა: ზარის ხმაზე ქალ-ბატონმა ნინომ კარი გამოაღო და სუხიშვილებს უახლოესი მეგობარი ესტუმრა — მხატვარი სოლომონ ვირსალაძე. აბა, როგორ არ მეთხოვა მისთვის ინტერვიუ?

— მე ერთ-ერთი ვარ იმ „შეთხელებული“ მაყურებლებიდან, ვისაც სცენაზე უნახავს ილიკო. ხომ ბევრი კარგი სოლისტია, შესანიშნავი მოცეკვავეებია დღეს, მაგრამ როდესაც მათ ვუყურებ, სწორედ ის არ მყოფნის, რითაც ილიკო ასე გვამდიდრებდა. ის ცხოვრობდა სცენაზე დიდი ტემპერამენტით, შინაგანი მგზნებარებით და დარბაზსაც გადასდებდა ხოლმე ამას. მე ანსამბლის დაარსების დღიდან დიდი სიამოვნებით ვმუშაობ მასთან და ვფიქრობ, ვაკეთებ იმას, რასაც უნდა ვაკეთებდე.

ილიკო ნამდვილი მამამთავარია ანსამბლისა, რომელიც ერთი ინგლისელი იმპრესარიოს თქმისა არ იყოს, „ერთადერთია მსოფლიოში, მხოლოდ ქება-დიდებას რომ იმკის“. მეტი რა გითხრათ, ჯანმრთელობა მინდა ვუსურვო!

ჩვენც ეგ გვინდა!

1982 წ.

ისევ ის ბიჭი ვარ...

— მეტი შენ რა გითხრა! — გაივლებს გულში სამოცდა-თხუთმეტი წლის ხელოვანი და, ალბათ, მართალიც იქნება, მაგრამ, რა ვქნა, ბატონო კორნელი? როდესაც კიდევ ერთ-ხელ დავათვალიერე თქვენი სახელოსნო-სალონი და ბოლო დროს შექმნილი ფერწერული ტილოები, მათში ისევ ისეთი ახალგაზრდული სიხასხასე გამოკრთის, როგორც ამ 50-40 წლის წინანდელ ნამუშევრებში, ამიტომ სწორედ მაშინ გავიაზრე სათაურიც ასეთი ჰქონოდა ამ ჩანახატს — თქვენივე სტრიქონი, ერთი ბწყარი თქვენივე ლექსისა, მშვენიერი სიმღერა რომ შექმნა სანდრო მირიანაშვილმა და ჯერაც არ განელებულა მისი ნაღველგარეული სიტბო და მელოდიურობა: „მივდივარ, მივყვები და ასე მგონია, ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა, პატარა“.

გული, ფუნჯი და კალამი ხომ ისევ ახალგაზრდული გაქვთ და, მთავარი მაინც ეს არის.

* * *

სახელოსნო-სალონს კი გუშინწინ ვეწვიე, საქართველოს სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი კორნელი სანაძე მუშაობით იყო გართული, ოღონდ

არა პალიტრასთან, თაბახის ქათქათა ფურცლებთან მოფუს-
ფუსეს შევესწარი.

— ახალი ლექსების წიგნს ვამზადებ გამომცემლობისათ-
ვის, მერე წავიკითხოთ რამდენიმე, ჯერ კი სალონი დაათვა-
ლიერეთ...

თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, ძვირფასო მკითხველო, რომ
ქართული ფერწერის აღიარებული ოსტატი კორნელი სანაძე
შესანიშნავი პოეტიც გახლავთ. პირველი წიგნი ლექსებისა
ოციან წლებში გამოვიდა, ბოლო ორს კი, მოგვიანებით გავე-
ცანით, ეს ლექსები გულთბილად მიიღო მკითხველმა, ლიტე-
რატურულმა კრიტიკამ, მაგრამ კორნელი სანაძე ჩვენთვის
მანც ფუნჯის ოსტატია, იმ ქართველ მხატვართა რიგებშია,
რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და შემოქმედებით ჩვენს
მომავალს — ახალგაზრდობას, უპირველესად, მამულის სამსა-
ხურს რომ ასწავლიან.

— მანდ არ დაგავიწყდეთ. რომ სამხატვრო აკადემიის დამ-
თავრების შემდეგ კონსერვატორიაში შევედი, დავით გამრე-
კელთან, ბათუ კრავეიშვილთან, ნადეჟდა ხარაძესთან ერთად
ვსწავლობდი, მაგრამ ბედს სად წაუხვალ? ეტყობა, მანც
მხატვრობა იყო ჩემი საქმე და კონსერვატორია აღარ დამიმ-
თავრებია.

სახელოსნოში უპირველესად ტრიპტიქი „შოთა რუსთა-
ველი“ მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. აქ ოქროსფერი მშვე-
ნივრად ერწყმის კომპოზიციას.

— ჩემთვის, პირადად, თქვენ მანც პორტრეტული ფერ-
მწერი ბრძანდებით, ბატონო კორნელი...

— ალბათ, ასეა, ძირითადად, თუმცა პეიზაჟიც მიყვარს...

როგორ შეიძლება მხატვარი იყო და არ მოგხიბლოს ქართული ლანდშაფტის სიდიადემ...

აი, ევგენი მიქელაძის პორტრეტი. თვალს იტაცებს მწვანის, წითელისა და ვარდისფერის ფაქიზი მონაცვლეობა. ნატიფია, ჰაეროვანია მქრქალი ვერცხლისფრით ამეტყველებული ლატავრა, დასრულებული პოემა ქართველ მოცეკვავე ქალიშვილზე, ვაჟა-ფშაველას პორტრეტში კი მხატვარი უარყოფს ზედმეტ დეტალებს და ყველაზე მთავარს, დამახასიათებელს გადმოსცემს. დინამიკურია ქართული თეატრის რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის პორტრეტი, აქ უაღრესად ენერგიულია სახე, უესტი დიდი რეჟისორისა, ილია, აკაკი, სანდრო ახმეტელი, პოლიკარპე კაკაბაძე, სერგო კლდიაშვილი, ჩვენი თანამედროვეებისადმი მიძღვნილი გრაფიკული ნაწარმოებები, — სხვადასხვა ეპოქა, ადამიანები მოხვედრილა მხატვრის თვალსაწიერში და ყოველ მათგანში იგრძნობა მასალის დღევანდელი ხედვა, დიდ რეალისტურ ტრადიციებზე აღზრდილი შემოქმედის დამოკიდებულება ცხოვრებასთან.

* * *

...დაბადებული ხონში ვარ, მერე თბილისში გადმოვედი და მამამ, რაკი მხატვრობის ნიჭი დაინახა ჩემში, მოსე თოიძის სტუდიაში შემეყვანა 1922 წელს, შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი. გაბაშვილის, ნიკოლაძის, თოიძის, ლანსერეს, შარლემანისა და თათევოსიანის ხელმძღვანელობით.

— ლექსებს უფრო ადრე წერდით?

— ამავე პერიოდში დავიწყე ლექსების წერაც. პირველი წიგნი 1927 წელს გამოვიდა. ბედნიერი ვარ, რომ თავიდანვე ახლო ურთიერთობა მქონდა ბევრ გამოჩენილ ქართველ მწერალთან. ჩემი სახელოსნოს ხშირი სტუმრები იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, გაორგი ლეონიძე, ტერენტო გრანელი...

შთაბეჭდილებათა წიგნიდან:

ექსპრომტი კორნელი სანაძეს

ნიავ-ნიავში, ჰარმონიაში,
სიმის იალქნით მივაპობ
სიერცეს,
მე მინდა გული საქართველოს
მზეს,
და პოეზიას უკლებლივ მივცე!
გ ი ო რ გ ი ლ ე ო ნ ი ძ ე .

17. III. 66.

— საბედისწერო ავადმყოფობამდე ცოტა ხნით ადრე მესტუმრა, მხიარულად იყო, ბუხუნებდა მისებურად...

შთაბეჭდილებათა ოთხტომეულში კი ვის ჩანაწერს არ შეხვდებით, გამოჩენილი საბჭოთა და უცხოელი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი ქებას არ იშურებენ კორნელი სანაძის ხელოვნებისადმი და აქ, ერთ სტრიქონშიც ვერ იგრძნობთ ქებას — ვალის მოსახდელად. აი, რას წერს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი ი. კოლპინსკი: „დიდად

მხატვრებს უშუალოდ მხატვრის სულისა, რომელიც შერწყმულია ფერწერულ ნიჭიერებასთან“.

— გვითხარით, ბატონო კორნელი, თუ „გეხმარებათ“ პოეზია ხატვის პროცესში?

— როდესაც უცხოელები ნახულობენ ჩემს ნახატებს, ხშირად მეუბნებიან: პოეტი ხომ არ ხართო...

— პოეზია რომ მართო სიყვარული არაა თქვენთვის, ეს ცხადია. მაინც რომელი ქართველი პოეტი გიყვართ გამორჩეულად?

— აქ ძნელია რომელიმე ერთი პოეტის დასახელება, თვითონ ჩემი პოეზია ქართული კლასიკური ლექსით საზრდოობს. ჩემთვის სათაყვანებელია რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, გალაკტიონი... ცოცხლებიდან — კოლაუ ნადირაძე.

— რას ურჩევდით თქვენს ახალგაზრდა კოლეგებს — მხატვრებს?

— მხატვრისათვის ყველაზე დიდი მასწავლებელია ცხოვრება, ბუნება, არ გვინდა სხვაგან ყურება — ჩვენი ყინწვისი, ალავერდი, ბერთუბანი... ასწავლის მათ, რა არის მხატვრობა.

კორნელი სანაძე ოცდაათ წელზე მეტია თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორია, აღზარდა ბევრი ნიჭიერი ფერმწერი, დღეს რომ სახელდიდებით მოსავენ ქართულ სახვითს ხელოვნებას.

ღვაწლმოსილი მხატვრის შემოქმედებაზე საუბრისას, აუცილებელია გავიხსენოთ მისი ნამუშევრები ქართულ თეატრსა და კინოში, სხვადასხვა დროს კორნელი სანაძემ გააფორმა სპექტაკლები „დაისი“, „კარმენი“, „ოტელო“, „კოლმეურნის

ქორწინება“, „გუშინდელნი“, კინოფილმი „დარიკო“... და მაინც ფერწერით ფასობს მისი მდიდარი შემოქმედება. 1977 წელს კორნელი სანაძეს 1975-76 წლებში შესრულებული ნამუშევრებისთვის შოთა რუსთაველის პრემია მიენიჭა.

...მოვიარე ეს მშვენიერი სამყარო, ასურათხატებული ისტორია და დღევანდლობა საქართველოსი. რა თქმა უნდა, ყველაფრის ნახვა შეუძლებელი იყო, ორი ათასზე მეტი დიდი და მცირე ფორმის ნახატი აქვს დღემდე შესრულებული ხელოვანს.

...შემდეგ, თითქოს თავის ფიქრებს ამხელსო, ხმამაღლა მიკითხავს ძველი წიგნიდან:

ნეტავ შემეძლოს, რომ ჩემი
ფუნჯით
დავხატო ფიქრის გასხივოსნება,
ავამეტყველო მათათა
სილურჯე, —

აი, ოცნება!

მომავალი წიგნიდან კი: „ღმერთო, მატარე, დიდხანს მატარე, რომ სილამაზე დარჩეს ტილოზე!“
ქეშმარიტად!

1982 წ.

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

მინც რა უსიამო გაზაფხული დაგვიდგა იმ წელს, რა ხალხი მიიბარა მიწამ — გალაკტიონი, შალვა დადიანი... დავიტირეთ, გულ-სგული გავაყოლეთ. მინც ის როგორ წავიდა.

...ამბობენ, მკლოლმა როდესაც გაიგო, თუ რა უბედურება არგუნა ბედმა, თავპირში წაიშინა და ხალხს შეჰბლავლა: „ნუ შაცოცხლებთ, ჩამქოლეთ, მე მოვკალი ის კაცი, ვისთვისაც თეატრში დავდიოდით“. გაშოტილიყო პლეხანოვის პროსპექტზე ორმოცდაცხრა წლის გიორგი შავგულიძე, აპრილის მზე ველარ შველოდა უსიცოცხლო, გაყინულ სხეულს.

გაივლის დრო, და მისი მეგობარი პოეტი მიხეილ ქვლივიძე ასე იტყვის ადრე წასული იშვიათი ნიჭის მსახიობზე: „რამდენი ჩვენგან წასული კაცის ვერ გადავიხდით ვერასდროს ამავს, მაგრამ ის ერთი სხვა იყო მინც — კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“.

ჭეშმარიტად! იგი სხვა იყო, პეწითა და ლაზათით, ნაქანდაკარი, სწორუპოვარი ტანის მოქნილობითა და მიხრა-მოხრით. მის გამორჩეულ მანერებს ბაძავდნენ, მასთან ნაცნობობასა და სიახლოვეს ნატრობდნენ...

ახლა მსახიობი? სასიამოვნო ლეგენდად დადის: გიორგი შავგულიძე რომ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გამოდიოდა, მაყურებელთა ტაში „ზემელზე“ ამოაღწევდაო, რამდენი ასეთი ლეგენდა შეუთხზა ხალხმა...

— ქალბატონო ვერიკო, ბევრმა იცის, მაგრამ იქნებ ერთ-ხელ კიდევ გავიხსენოთ, თქვენთან, თეატრში როგორ მოხვდა?

— იმხანად ქუთაისში იყო თეატრი, ხშირად ვხედავდით, როგორც იდგა ხოლმე შორიახლოს, კედელს მიყრდნობილი, მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდა და თვალს არ აცილებდა მარჯანიშვილს. ერთ დღეს კოტემ შეამჩნია იგი, თავისთან მოიხმო და ჰკითხა — გინდა გახდე მსახიობი? იმუშავებ ჩვენს თეატრში?! არ დამავიწყდება, როგორ გაფითრდა ყმაწვილი, სახე გაუთეთრდა და თვალებში ცრემლი მოერია, არაფერი უთქვამს, თუმცა ისედაც ნათლად ჩანდა, თუ რას განიცდიდა იმ წუთში... მარჯანიშვილი მიხვდა მის განსაცდელს, დაუძახა რეჟისორის თანაშემწეს და დაავალა, ამ ყმაწვილს ტომასის როლი მიეცითო (ტომასი ერთ-ერთი მთავარი გმირია პიესისა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“) ყველას გაგვიკვირდა, ასე უცებ ნდობის გამოცხადება, მაგრამ მარჯანიშვილი იმით იყო ჩვენზე დიდი, რომ მიგნების, დანახვის საოცარი უნარი ჰქონდა. აკი გაუმართლა კიდევ მისმა „ნაპოვნმა“ — გიორგი შავგულიძემ.

— თანაც თეატრალური განათლება არ ჰქონია, ხომ?

— აი, ეს იყო საოცარი... მაგრამ, ეტყობა, უდიდეს ნიჭს რა არ შეუძლია! ნიჭით და შრომისმოყვარეობით იმას მიაღწია, რომ ერთ-ერთ საინტერესო მსახიობად დარჩენილიყო თანამედროვე ქართულ თეატრში. შავგულიძეს ჰქონდა უადრესად გამოკვეთილი ხასიათი, შინაგანი განცდის უნარი.

— ხომ არ გახსოვთ, როგორ მუშაობდა?

— ფანტიკურად უყვარდა თავისი საქმე. ცხოვრებაში არცთუ ისე მოწესრიგებული, თეატრში შემოსვლისთანავე სულ სხვა პიროვნებად გარდაიქმნებოდა, ატყვევებდა ეს კედლები, აჯადოებდა და მისთვის აღარაფერი არსებობდა თეატრის გარდა, ერთ ხანს დროებით თეატრის ხელმძღვანელად დამნიშნეს. ამის გამო გვიანობამდე დარჩენაც მიწევდა. რამდენჯერ მინახავს დაცარიელებულ თეატრში შავგულიძე მარტო დაბორილობს დარბაზიდან დარბაზში, დიდხანს ჩერდება მარჯანიშვილის პორტრეტთან. ვგრძნობდი, რომ იგი ამ დროს მთლიანად ახალი როლით იყო დამუხტული...

არ დამავიწყდება „იულიუს კეისარში“ რა ოსტატურად ალაგებდა ნოჰებს ტანსაცმელზე, რომელიც ეცვა. იფიქრებდით, ზეპირად იცოდა რომაული ტანსაცმლის დაკეცილობა. ერთხელ დამჭირდა მისი ნახვა და თვითონ ავედი ზევით, საგრიმიორო ოთახებისკენ. შევედი მასთან. იჯდა თითქმის შიშველი, სულ პატარა ოთახში, სადაც მეორე მსახიობი ველარ დაეტეოდა და გრიმს იკეთებდა. საშინლად დაიბნა, მერე მი-თხრა, არ შემიძლია ჩაცმის დროს სხვასთან ერთად ვიყო, ამიტომ ავირჩიე ეს ოთახი, პატარაა, სამაგიეროდ, მარტო ვარო.

სცენაზე შავგულიძე სხვა მსახიობებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ კი არ თამაშობდა, კი არ აკეთებდა როლს, არამედ ცხოვრობდა თავისი გმირით, უკიდურესად კვეთდა ხასიათს და ხანდახან ისეთ შტრიხს მიამატებდა, რასაც სხვა ვერასოდეს გაბედავდა. აი, ეს მოულოდნელობა მიყვარდა მე პირადად შავგულიძის თამაშში. იგი რომ სცენაზე იყო, კულისები გაივსებოდა ხოლმე მსახიობებით, ყველას უნდოდა

ენახა: — აბა, დღეს რას მოიმოქმედებს შავგულიძე, ახალს რას მოიგონებსო...

რა დღეში ჰყავდა ელისაბედ ჩერქეზიშვილი „მზის დაბნელებაში“... დარბაზობის სცენაში ყორა წერილებს უგზავნიდა ჩერქეზიშვილს. რას ხარხარებდა ლიზა, რა ამბავი იყო... მერე ვნახულობდით ამ წერილებს, რა არ ეწერა შიგ... ხარიტონს — „კოლმეურნის ქორწინებაში“ — ყოველ საღამოს სულ ახალ-ახალ საღებავებს მატებდა... რა სახე იყო... მე მგონია, გიორგი შავგულიძის ხარიტონი და ვასო გოძიაშვილის — ლუარსაბი ქართული თეატრის საუკეთესო სახეებია.

ამხელა მსახიობი იყო და მისგან არასდროს არავის უგრძობია გაყოყოჩება, ქედმაღლობა. ერთხელ მეუბნება, ნეტავ, თქვენს სიმაღლეს რაუ მივალწევ ოდესმეო?

— შე „დურაკო“, არც გესმის, უკვე რამოდენა მსახიობი ხარ!.. — ვითომ დავტუქსე იგი. არაფერი უთქვამს, შეიძლება მართლა არ სჯეროდა თავისი სიდიდე, ისეთ დროს და ისეთი მსახიობების გვერდით მოუწია მუშაობა...

* * *

ახლა სამოცდაათი წლისა იქნებოდა. იგი ყველაზე უმცროსი იყო იმ ბრწყინვალე თანავარსკვლავედში, მარჯანიშვილის თეატრის სცენას რომ ამშვენებდა 40-50-იან წლებში და რა მირონცხებული უნდა ყოფილიყავი, რომ ნიჭსა და კაცურ-კაცობას მათგან გამოერჩიე.

ვასო გოძიაშვილის წერილიდან:

— მომავალში ჩვენი თეატრის მატყანის ფურცლებზე თაობები ამოიკითხავენ მისი ორიგინალური შემოქმედების სრულყოფილ დახასიათებას, კეისარი — რომაული ტოგით, თუ გუდიაშვილის ტილოებიდან გაცოცხლებული ძველი თბილისელი, არდაზიანის ჩოხოსანი ლუარსაბი თუ ცაგარელის გულდამწვარი სასიძო — ვინ მოთვლის, რამდენი მის მიერ შექმნილი მხატვრული სახე ჩაიწერება ქართველ მსახიობთა შემოქმედების ოქროს ფონდში...

* * *

მე მშურს იმ თაობისა, რომელსაც სცენაზე უნახავს გიორგი შავგულიძის საიათნოვა „მეფე ერეკლეში“, ხარცტონი — „კოლმეურნის ქორწინებაში“. ჭყონდიდელი — „დავით აღმაშენებელში“, ნიკიფორე — „მის ვარსკვლავში“, კეისარი — „ანტონიოს და კლეოპატრაში“, დათიკო შევარდნაძე — „დაჭრილ არწივში“ და ასე რამდენი. მხოლოდ კინემატოგრაფმა შემოგვინახა მისი ნიჭის ელვარება:

...სცენის სიღრმეში კოსტიუმები ჩანს. ოცდამეორე წელია, აღარ მოუტრია ისინი ტანზე გიორგი შავგულიძეს, ოცდამეორე წელია, ეს კოსტიუმები უძვირფასესი რელიკვიაა მარჯანიშვილის თეატრისათვის.

დარბაზს ეფინება დები იშხნელების „მხოლოდ შენ ერთს“ და მარჯანიშვილის თეატრში იწყება დიდი ქართველი მსახიობის მოსაგონარი საღამო, რომელმაც, რა თქმა უნდა, ყველა მსურველი ვერ დაიტია.

ამ სალამოზე არ წაკითხულა მოხსენება გიორგი შავგულიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. უბრალოდ იგონებდნენ მეგობრები, კოლეგები — ზოგჯერ ცრემლით, ზოგჯერ ღიმილით...

— ალბათ დროა, — ამბობს გიგა ლორთქიფანიძე, — რომ ამ მარად ახალგაზრდა ხელოვანს თავისი სახელი ეწოდოს და ვთქვათ, რომ დღეს ვიხდით გენიალური ქართველი მსახიობის დაბადების 70-ე წლისთავს. გენიალობა კი დრომ დაამტკიცა, ყორას განუმეორებელმა ტალანტმა ცხადყო. მისი ყოველი როლი — ეს იყო დიდი ხელოვნებით მოგვრილი სიხარული.

ჩვენი ბრწყინვალე დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე ძალზე განიცდიდა პიესებში ტექსტის ოდნავ შეცვლასაც კი, საგულისხმოა, რომ შავგულიძის მიერ „კოლმეურნის ქორწინებაში“ იმპროვიზებული სიტყვები დრამატურგმა შეიტანა თავისი პიესის ბოლო გამოცემაში.

...გადაჭედილი დარბაზის წინა რიგში მსახიობის სახლეულობას ცეროდენა ბიჭი ახლავს, იაკობ ტრიპოლსკის სცენაზე აჰყავს პატარა გიორგი შავგულიძე — შეილიშვილი, სისხლი და ხორცი დიდი პაპისა. „რამდენი ახალგაზრდა მოვიდა თეატრში, ყველას ვაკვირდები, რაიმეთი ხომ არ ჰგვანან ყორას-მეთქი, მაგრამ ჯერ არავინ ჩანს. იქნებ შენ მაინც, შვილო“... .

...სხვაგვარი ცხოვრებით იცხოვრა. ისე რომ იცხოვრო, გიორგი შავგულიძე უნდა იყო. მაინც დაგვრჩენია ნატვრად: „და ღმერთს ვთხოვთ: ღმერთო გვაცხოვრე ისე, რომ ჩვენც ოდესმე დაგაკლდეთ ქალაქს“.

ჰანგი — სიყვარულზე წმინდა

I.

ჩვენ ხომ კერის ანგელოზს „მრავალყამიერით“ ვლოცავთ ყოველ ახალ წელიწადს. აგუგუნდება ეს დალოცვილი ჭერ-ქვეშ, ჩაიწნება, ჩაიხლართება ყოველ კუთხე-კუნჭულში და ხვალის იმედს ჩაგვისახავს, ახალ ოცნებებს ააფერადებს...

მოდით, ამჯერად ჰამლეტ გონაშვილმა დაგვილოცოს ახლად ფეხადგმული წელიწადი „კახური მრავალყამიერით“. დაგვილოცოს, ოღონდ ჯერ ახლოს გავიცნოთ ჩვენი სახალხო მომღერალი, მის დიდ ხელოვნებაზე ვისაუბროთ.

II.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენი ხალხური მუსიკის დიდმა მოამბაემ, ვოკალური ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა ჭარბული ხალხური სიმღერების ანთოლოგია მისახსოვრა, მშვენიერ ყუთში მოთავსებულ ხუთ ფირფიტაზე სამოცი სიმღერაა — ჩვენი განძი და სიამაყე, საუკუნეებგამოვლილი და დღემდე სულის სინათლედ მოღწეული სამოცი მარგალიტი. რა ჰანგები არ გაყურსულა აქ. ტკივილი და სევდა, სიმხნევე და ვაჟკაცობა, ტრფია-

ლი და სიკისკასე ერთად შეკრულა, მთლად საქართველო შეკონილა ნაირფერყვაფილიანი თაიგულივით. მეგრულ „ოდონას“ ქართლური „წინწყარო“ მოსდევს, სვანურ „ლილეს“ ლეჩხუმური „მაყრული“ ენაცვლება, იმერულ „მგზავრულს“ გურული „ხასანბეგურა“ აფერადებს... და როგორ მღერიან ანზორ ერქომაიშვილი და ბადრი თოიძე, ტარიელ ონაშვილი და ჯუმბერ ყოლბაია, სალივერ ვადაჭკორია, ლადო წივწივაძე, რომან მიქაბერიძე, ირაკლი მათიკაშვილი, ნუგზარ გელაშვილი... ერთი შვეიცარიული გაზეთისა არ იყოს, მათი „სიმღერები იბადებიან ჩუმად, ამოსუნთქვასთან ერთად და თანდათან აღწევენ მქუხარებას. ეს სიმღერები უნიკალურია, შემსრულებელთა ხმები და ყღერადობა — განუმეორებელი“.

და მაინც, ამათ შორის სულ სხვაა ჰამლეტ გონაშვილი, კაცი — თითქოს გარდასულ საუკუნეთა, სალოცავ წინაპართა ალიკვალის, წუთით რომ მოუცილებია მუზარადი, ჯაჭვის პერანგი და გადარჩენილ ციხე-ტაძრებს უგალობს, მათ საღიდებელს ადავლენს.

საქართველოში კარგი ხმა და სიმღერა ვის გაჰკვირვებია? ჰამლეტ გონაშვილისა — უკვირთ. საიდან მოდის ეს ჰანგი, რა ბადებს ამ უბადლო ტემბრს, მის სისპეტაკესა და ოდნავ ნადვლიან შეფერილობას?

იქნებ, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ანზორ ერქომაიშვილი დაგვეხმაროს?

— ჰამლეტ გონაშვილი ქართულ ხალხურ სასიმღერო ხელოვნებაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. ადრე თუ გვიყავდნენ გამოჩენილი კოლორიტული მომღერლები სანდრო კავსაძე, დედას ლევანა (ლევან ასაბაშვილი), მიხა ჯილაური,

მარო თარხნიშვილი და სხვები, რომლებიც დიდებულად ასრულებდნენ ქართლ-კახურ სიმღერებს, ღღეს ჩვენ გვყავს ჰამლეტ გონაშვილი. უფრო მეტსაც ვიტყვოდი: მისი თბილი, ფერადოვანი, ყველასაგან გამორჩეული ხმის ტემბრი შეიძლება საუკუნეების განმავლობაშიც არ განმეორდეს. დიახ, ჰამლეტ გონაშვილი „წინწყაროს“, „ოროველას“, „ურმულის“, „დაიგვიანეს“ და სხვა ბევრი ხალხური სიმღერის სწორუპოვარი შემსრულებელია.

მისი სიმღერა მარტო ყელიდან არ ამოდის, თითოეულ ფრაზას გულის სიღრმეში ხარშავს, აფერადებს, ალამაზებს, მის სიმღერაში ერის სული ჩანს, ერის ისტორია. ამიტომაც ჰამლეტის სიმღერა ყველასათვის საყვარელი და გასაგები.

მერამდენედ ვუსმენთ მის სიმღერას და ისე განვიცდით, თითქოს პირველად ვისმენდეთ. ჰამლეტის ხმის სილამაზე მარტო ობერტონებით არ განისაზღვრება, მას ფერადოვნება ახასიათებს, ფერთა ჰარმონია კი, ობერტონებთან ერთად შეზავებული, ქმნის იმ საოცარ ტემბრს, რომლითაც ჰამლეტ გონაშვილი ასე გამოირჩევა ყველასაგან.

მახსოვს, ბელგიის გაზეთი წერდა: „გონაშვილის ხმა საოცარი სითბოთი და სილამაზით გამოირჩევა. იგი კი არ მიფრინავს, ზღვის ტალღასავით მიგორავს, რომ შემდეგ ისევ უკან დაუბრუნდეს მომღერალს“...

აქ შეუძლებელია არ აღვნიშნო ჰამლეტის შესაშური პატრიოტიზმი, სიყვარული მშობელი მიწისა. საზღვარგარეთ ყოფნის დროს იგი სწავლობს ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციას და ცდილობს იქიდან საუკეთესო შეარჩიოს, საქართველოში დაწერგოს.

ჩვენთვის იგი არა მარტო სიმღერის, არამედ კაცურკაცობის მისაბაძი მაგალითია.

III.

— ახლა ზოგი თქვენ გვიამბეთ, ჰამლეტ ბატონო...

— მამა მირზაანელი იყო. მე დედულეთში, ანაგაში დავიბადე და გავიზარდე, დედა მშვენივრად მღეროდა და ჩემი პირველი მასწავლებელიც ის გახლდათ. თავიდან ვიოლინოზე დაკვრამ გამიტაცა, მერე ოჯახი ცხინვალში გადავიდა (იქ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდა მამაჩემი — დიმიტრი გონაშვილი) და ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე, ვსწავლობდი ასე. ერთ დღეს თბილისიდან დეპეშა მომივიდა. ჩამოდით, კონსერვატორიაში გამოცდები ჩააბარეთო. თვალებს არ დაუფერე, შეცდომა ხომ არაფერია-მეთქი. მაინც ჩავედი თბილისში, ომი ახალი დამთავრებული იყო. მივადექი დილით ადრე მამიდაშვილს. ამბავი რომ მოვუყევი, ბევრი იცინა, თურმე მისი მოწყობილი ყოფილა ყველაფერი, თვითონ შეეტანა ჩემს მაგივრად კონსერვატორიაში განცხადება. უფრო სწორად, ეს იყო კონსერვატორიასთან არსებული ნიჟიერთა ათწლელი. მხოლოდ ერთ ტურში გავედი. ჩამრიცხეს ულაპარაკოდ და ისე გამიმართლა, რომ სანდრო ინაშვილის ჯგუფში მოვხვდი. რა ზრუნვა, რა ყურადღება მახსოვს ჩვენი შესანიშნავი მომღერლისა! აქ კი ჩავირიცხე, მაგრამ ძირითად სპეციალობას ხომ არ მივატოვებდი. ამიტომ ცხინვალიდან საბუთები პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავიტანე და ვიყავი ასე, გაწამაწიაში. ზედ-

მეტმა დატვირთვამ იმოქმედა თუ რა იყო, ავად გავხდი და სწავლას ჩამოვცილდი... ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი რომ გაიშობოთ, შეიძლება არც მკითხველისთვის იყოს საინტერესო და...

— სწავლა აღარ გაგიგრძელებიათ?

— თავიდან ჩავაბარე, ამჯერად — თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობოზე, თუმცა, ბოლომდე ვერც იქ მივედი... ერთ დღეს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეპეტიციაზე მიმიყვანა ჩემმა მეგობარმა, და კირილე პაჭკორიამ ისე დამიჭირა, აი, როგორც ხედავთ, დღემდე სიმღერას გადავყევი... 1953 წლიდან მოვიარე ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭული, 1958 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე გახლდით მოსკოვში.

დიდი წარმატება ჰქონდა ანსამბლს. მე კი, მახსოვს, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში სამჯერ მამღერეს რუსული ხალხური სიმღერა „მწუხრის ზარები“...

ანსამბლში სიმღერის გარდა, პროგრამის წაყვანაც დამავალეს, ეს კი ნიშნავდა ყველა სიმღერის ანოტაციას ქართულიდან — რუსულად... დატვირთვა დიდი იყო. 1970 წლიდან უკვე ანსამბლ „რუსთავში“ ვარ. ბიჭებთან ერთად, რომ იტყვიან, სიმღერით მოვიარე მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, თუმცა ხშირად არ მემღერება... ეს არის და ეს...

— მკითხველმა იცის, რომ თქვენ რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები შეასრულეთ სიმფონიურ და საესტრადო ორკესტრებთან ერთად (კინოფილმი „ჩრდილი გზაზე“, ოპერა „მთვარის მოტაცების“ შესავალი, იაკობ ბობოხიძის „მზეო თიბა-

თვისა“ და ა. შ.). ხომ არ გქონიათ კამერულ უანრში მუშაობის სურვილი?

— სურვილი მართლაც მქონდა, ხალხური სიმღერების შემსრულებელი, როგორც გაიმბეთ, შემთხვევით გავხდი...

— ბევრი ეგეთი შემთხვევა მოგვცეს განგებამ...

— არ ვიცი... ის კია, რომ რაღაც მინდა შეეცვალო... სიამოვნებით მოვამზადებდი, მაგალითად, პროგრამას ძველ თბილისურ მელოდიებზე დუდუკების თანხლებით. ვნახოთ, დრო კი არ იცდის, უკვე გადავაბიჯე ორმოცდაათს...

IV.

ახლა ის უნდა იცოდეთ, როგორ წვრთნის და მოძღვრავს მამა თავის ორ ციციქნა ბიჭს — დიმიტრის და გიორგის. უნდა აქედანვე აზიაროს ქართული ჰანგის სურნელს. აი, გენები მითხარი — უმცროსი — გიორგი ფორტეპიანოს ჯერ კარგადაც ვერ სწვდება, მაინც მონდომებით კენკავს პატარა თითებით და მღერიან მამა-შვილნი: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა“.

ქართული ლექსის მადლსაც აჩვევს შვილებს მომღერალი.

ლექსმა მომაგონა: ალბათ ცოტაა საქართველოში სხვა ხელოვანი, რომლისთვისაც ამდენი პოეტური სტრიქონი ეძღვნათ. ესეც, უპირველესი ნიშანია ჰამლეტ გონაშვილის ზედმიწევნით ეროვნულობისა.

„გული, ო, გული როგორ მოითმენს ვიდრე ეგ თითბრის ხარი წკრიალებს, შენი ხმა ესმით, მოდგნენ, მოვიდნენ, მოვიდნენ, მაგრამ დაიგვიანეს“.

(ჯანსუღ ჩარკვიანი).

„დამდეგს შუალამის ბაღში ურვა-ოროველა ერის, როცა თმაქალარა ბავშვი — ჰამლეტ გონაშვილი მღერის. აღარც ჩამიჩუმი მესმის ბნელში შეყუჩებულ წყვილთა, საყდრულ სიჩუმეში კვნესის, ჰანგი — სიყვარულზე წმინდა“.

(ოთარ ჰელიძე).

„შენ რომ გალობ, ჰამლეტ ჩემო, მიბრუნდება სიყმაწვილე. მზე ჩამოგაქვს ჰანგით ციდან, ღვთის სინათლეს გვინაწილებ“.

(მორის ფოცხიშვილი).

V.

რა თქმა უნდა, ეს სრული პორტრეტი არ არის ჩვენი სახალხო მომღერლისა, უბრალოდ, სტუმარი გაგაცანით, ფიქრები გაგანდეთ მამულის სიყვარულით გულსავესე კაცისა. ახლა კი მრავალყამიერი ვთხოვოთ.

და აი, აზარფეშას იღებს გონაშვილი. დედასაქართველოს სადიდებელს ამბობს. შემდეგ კი „არ გაიხაროს მტერმა ჩვენ-ზედა, არც არა გაუხარია“... ყრუანტელად უვლის თბილისური ზამთრის შეჭირხლულ დილას.

1982 წ.

მე 'კიდევ დამრჩა შემოსანირი

თითქოს საკარცულში იჯდეს, მახვშივით — მორჭმულა და დამაშვრალი მოკალათებულა ძველებურ სავარძელში ირაკლი აბაშიძე და ნება-ნება მარცვლავს კრიალოსანს. ფანჯრიდან ნოემბრის ცრიატი ღამე იმზირება, ზამთარი კარზე მომდგარა.

იმარცვლება კრიალოსანი... ვიცი, ახლა რომ მივხედო, ფიქრს შევაწყვეტინებ... იქნებ წარსულს იხსენებს, იქნებ ამ სტრიქონებსაც იმეორებს; „არ მოვხუცდები, გულო, არასგზით, ლტოლვის, სიცოცხლის, სუნთქვის დასტურად... კუბოს კარამდის, კუბოს კარამდის, გულო, დადლილო, ახალგაზრდულად“.

შეცვლით ვერ შეუცვლია ამ ხუთ წელიწადს.

მოგონება. თქვენც კარგად გახსოვთ, მაშინაც ასეთი გვიანი შემოდგომის საღამო იყო. საქართველოში პოეტის დაბადების სამოცდაათი წლისთავი აღინიშნებოდა. სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ხალხით გაჰყვდილიყო. ყვავილებით მოჩითული სცენის ერთ კუთხეში ირაკლი აბაშიძე იჯდა, ულამაზეს ასულთა კრებული გარს შემოხვეოდა... იჯდა მგოსანი, — ბრძენი, კეთილი და მოკრძალებით ისმენდა მისი კაცობის, მისი პოეზიის სადიდებელს. ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი იყო. აი, სად გამოვლინდა ერის სიყვარული

პოეტისადმი. ისიც გახსოვთ, მერე, განა მარტო თბილისში, სათითაოდ საქართველოს ყოველმა კუთხემ, თუ როგორ სცა თაყვანი პოეტს.



წამოდგა, წამოიმართა, ოთახის კუთხეში კარადის თავზე დაწყობილი ვაშლებიდან რამდენიმე ამოარჩია, მომაწოდა, თვითონაც ჩაკბინა.

— გავისველოთ პირი, ჩემი ეზოს ვაშლია, წყნეთური, გაუთლელად უკეთესია... მე დავკრიფე...

— დასავლეთში თუ გაქვთ ეზო-გარემო, ბატონო ირაკლი?

— ხონში? არა, იქ აღარავინ მყავს. თოთხმეტი და-ძმიდან, ორილა დავრჩით, ყველაზე სუსტები რომ ვიყავით ბავშვობაში... დედაჩემის ორდენი ხომ არ გინდა გიჩვენო? ვინახავ... (მაგიდის უჯრა გამოსწია) ა, შეხედე „მატერინსკაია სლავა“, პირველად რომ გაიცა ასეთი ორდენები, მაშინ მიიღო დედამ, ცოცხალი იყო... ახლა მამის ხანჯალს განახვებ... შთამომავლობით დამრჩა (ეძებს), ნახე, როგორია... განათლებული კაცი იყო მამაჩემი, მერე, ბედი ხომ იცი, 1907 წელს თვალისჩინი დაკარგა საცოდავმა.

გონებაში წამოტივტივდა: „თუ იმერეთში სინათლით სავსე გინახავთ ჩვენი პატარა თემი და უსინათლო ვაჟკაცი გახსოვთ — მშობელი მამა ის იყო ჩემი“.

ვსაუბრობთ და იკვეთება ირაკლი აბაშიძის

პიროვნება

— ერთიანი, სრულქმნილი „მაღალი, უხვი, მდაბალი“... უბის წიგნაკიდან: აბა სხვამ ვინ უნდა მიულოცოს თავის

ერს დღესასწაულები და დღეობები, ვინ უნდა მოუთხროს ქვეყნის წარსულსა და დღევანდლობაზე თუ არა ასეთმა ადამიანებმა? ზოგი რომ ჭოჭმანობს, ბატონი ირაკლი ყოველთვის მზად არის რედაქციის სამსახურად. და ხომ არ გგონიათ, კიდევ ერთხელ, თავის გამოჩენისათვის აკეთებს ამას? რაში სჭირდება. უბრალოდ, მან სხვებზე უკეთ იცის, რომ მისი სიტყვა ხალხს და რესპუბლიკას სჭირდება.

და, რაც მთავარია:

ვინ გაცლის მიკითხვას ან სახლში, ან ენციკლოპედიაში; ეს ამოდენა კაცი, უურნალისტური ოპერატიულობით თვითონ მოიტანს ნაწერს რედაქციაში, ჩვენს ბოდინებს კიდევ ერთხელ მოისმენს, მოგვეფერება, რაიმე ახალ ხუმრობასაც იტყვის, გაგვახალისებს და თავის გზას გაუყვება. ამას კი დაგვიბარებს: „ნახეთ ერთი, მგონი რაღაცა გამომივიდა“...

თანამედროვე ქართულ პოეზიაში, ალბათ, ძნელად თუ იპოვის მკითხველი მეორე პოეტს, ამდენი ლექსი რომ მიეძღვნას გარდაცვლილი მეგობრებისათვის.

— როგორ არის, ბატონო ირაკლი? „მე ვცოცხლობ ახლა თქვენს ლანდებში, თქვენს აჩრდილებში“...

— ხო... წავიდა ხალხი... ახალგაზრდობაში მკვდარი რომ დამესიზმრებოდა, შეშინებული ვიღვიძებდი, ახლა მესიზმრებიან ჩემი მეგობრები, მაგრამ რილასი უნდა მეშინოდეს... „დავდივარ, როგორც პოეტური მემკვიდრეობა“... რა ხნის გავზნდი, ხედავ? როგორი საქმეა, დავით კლდიაშვილსა და ვახილ ბარნოვს მოვესწარი... 24-25 წლის ბიჭი მოსკოვში საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე მოვხვდი.

— რა დაგახსომდათ იქიდან ყველაზე უფრო?

— უპირველესად — გორკი. თვითონ ყრილობის შემადგენლობა. სულ ახალგაზრდები ვიყავით. ერთ-ერთი „უხუცესი“, — შალვა დადიანი სამოცი წლისა იყო, ვინღა დარჩა იმათგან, ზოგი უბედურად, ზოგიც ჩვეულებრივ წავიდა ამ ქვეყნიდან... რა ვიცი, მინდა ერთი „მოგონებებს“ გულდაგულ ჩავუჯდე... სამწუხაროდ, დღიურები არ მიწერია და ბევრი საწვალელებელია. უმდიდრესი არქივი მაქვს... წესრიგშია მოსაყვანი...

მოგონება. ერთხელ შემთხვევით ახალგაზრდების კამათს შევესწარი — პოეზიაზე ჰქონდათ საუბარი. ვისზე აღარ ილაპარაკეს, ერთის ნათქვამი დღემდე დამახსოვდა: თქვენი არ ვიცი და, მე, ძმაო, — „მთაწმინდის მთვარე“, „ნინოწმინდის ღამე“ და „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“... ქვეყანას მიჩვევნიო...

„ო, ენავ ჩემო“, ანუ უფრო სწორად „ხმა კატამონთან“ თქვენც იცით, მართლაც ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქმნილებაა დღევანდელი ქართული პოეზიისა, ხოლო საერთოდ „პალესტინის ციკლმა“ კიდევ უფრო აამაღლა

პოეზი

ირაკლი აბაშიძე, ახალი კუთხით დავინახეთ მისი ნიჭი და პოეტური თვალსაწიერი. მას შემდეგ ბევრი შესანიშნავი ლექსით გაგვახარა. ასეა დღესაც, სამოცდათხუთმეტი წლისა. ამ დღეებში გამოვიდა და თქვენ აღბათ მალე შეიძენთ „საბჭოთა საქართველოს“ მიერ დასტამბულ საყვარელი პოეტის მომც-

რო კრებულს „თუ ხარ ნამდვილი“, რომელშიც უმთავრესად სწორედ ბოლო წლებში შექმნილი და გამოქვეყნებული (ბევრი — გაზეთ „კომუნისტში“) ლექსებია შესული და თქვენ ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, რომ ჭეშმარიტი პოეზია არ იქმნება მარტო სიჭაბუკის ასაკში. აქი თვითონ ამბობს პოეტი: „ბოლოს და ბოლოს, თუ ხარ ნაღდი, თუ ხარ ნამდვილი, თუ ხარ პოეტი, ხარ და ცისკრის კარი გეღება, — შენ შიში ნუ გაქვს, სამთავ ჭირის — სამთავ ნადირის — არც დრო, არც სივრცე, არც ასაკი შენ არ გეხება“.

— ბატონო ირაკლი, როგორი უნდა იყოს პოეტის მოვალეობა დროის წინაშე?

— რასაკვირველია, პოეტი თანამედროვეობის შვილია; დიდებულად თქვა აქაკიმ, „გარემოების საყვირიაო“. ჩვენ განუწყვეტლივ გავიძახით: „ოსტატობისათვის ბრძოლა!“ ოსტატობისათვის ბრძოლა კი ნიშნავს ამალღებულ პოეტურ სიტყვით ეხმიანებოდნე შენი დროის ტკივილებსა თუ სიხარულს. მე მიხარია, რომ რაღაცით ვუპასუხე ყოველივე ამას.

— თქვენ ერთ ლექსში ასეთი სტრიქონები გაქვთ: „ქებაც, ყვედრებაც, კიცხვაც, მადლობაც, წყრომაც, ვარამიც — სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას, სხვას აღარავის“.

— აქ ყოველივე გაშიფრულია, დრო ცდის ყველაფერს; ესე იგი მომავალი. გამოგიტყდებით, მკითხველის სიყვარულს თავიდანვე ვგრძნობდი, მეტადრე, ბოლო სამი ათეული წელიწადი — სიჭარმაგეში.

— ბუნებრივია, კრიტიკოსიც ბლომად გყოლიათ ამ ხნის მანძილზე.

— იცოცხლე... ადრეც და ახლაც. გაკეთებულის განქიქება

ადვილია, ისე კი ჯანსაღი კრიტიკა საქმეს უხდება, თუ იგი სიყვარულით არის ნათქვამი...

— დღევანდელ ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაზე რას იტყვი?

— ნიჭიერი ხალხია, ოღონდ ცოტა ერთმანეთს ჰგვანან. ვისურვებდი, როგორც მაიაკოვსკი ამბობდა „პოეტები, ბევრი პოეტები, კარგები და სხვადასხვანაირნი“. საერთოდ, რამდენჯერმე ვიფიქრე ჩემი აზრი გამომეთქვა (თუნდაც „კომუნისტ-ში“) დღევანდელ ახალგაზრდულ პოეზიაზე, მაგრამ თავს ვიკავებ მანამ, სანამ ამ პოეზიაში მკაფიოდ გამოიკვეთებოდეს მრავალფეროვანი ხმები და სახეები.

ბევრის დამტევი სიტყვაა

საზოგადო მოღვაწე

და თუ დღევანდელ საქართველოში ვინმეზე უნდა ითქვას ეს სიტყვები, სიტყვები, რომლებიც ამ შემთხვევაში ერისკაცობის მძიმე და საპატიო გვირგვინს უტოლდება, უპირველესად ირაკლი აბაშიძეზე. საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე იგი — ახალგაზრდა პოეტი იჯდა, ხოლო 50 წლისაღმის მიძღვნილ საიუბილეო პლენუმზე, დაბრძენებული სოციალისტური შრომის გმირი. დროის ეს მონაკვეთი კი აღსავსე იყო ქართული მწერლობის, ქართული კულტურის სამსახურით. სწორედ სამოცდათხუთმეტი წლისთავის წინა დღეებში პოეტი „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით დაჯილ-

დოვდა. ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მის უდიდეს დამსახურებას ეროვნებათა დამძობილების საქმეშიც.

აქ აუცილებლად უნდა ითქვას იმაზე, თუ რა მოუღლელად უძღვება წლების მანძილზე ირაკლი აბაშიძე რესპუბლიკის პარლამენტს — უმაღლეს საბჭოს, როგორც მისი თავმჯდომარე. დეპუტატებთან მისი ყოველი შეხვედრა — ეს არის საქმიანი სჯა-ბაასი ათასგვარ სამომავლო საქმეებზე. პოეტიკადემიკოსი თვითონ საქართველოს სსრ სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

— ბატონო ირაკლი, თქვენ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მთავარი რედაქტორი ბრძანდებით. რა სიახლეა თქვენთან?

— მიხარია, რომ მკითხველი სულ მალე მიიღებს ენციკლოპედიის მერვე ტომს. ენციკლოპედიის გამოცემა რომ დიდი ეროვნული საქმეა, კარგად მოგეხსენებათ, და მიხარია, რომ ამ საქმეში წილი მიღევს. თორმეტივე ტომს რომ გამოვცემ, მერე, ჯლბათ, მეკუთვნის დასვენება.

* * *

სულ ახლახან გამოსულ პოეტურ კრებულს ვუბრუნდები. მასში ძალუმად მიმოხეულა იმედიანი, სიცოცხლის რწმენით აღსავსე სტრიქონები. აი ერთ-ერთი: „მაცოცხლე შენთვის, მამყოფე შენთან, მე კიდევ დამრჩა შემოსაწირი“.

ეს სიტყვები საყვარელ სამშობლოს ეკუთვნის, მისი უკეთესი მერმისისათვის კი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ზრუნვა

ყოველი ჰეშმარიტი მამულიშვილის ვალია, რაგინდ დამაშვ-
რალი და უკვე ვალმოხდილი უნდა იყოს იგი. და ამიტომ
პოეტის დაბადების დღეს მადლიერი ერი და მამულიც ამ
სიტყვებით ლოცავს მას: იცოცხლე ჩემთვის, იყავი ჩემთან,
ნუ მოგეშალოს შემოსაწირი!

1984 წ.

ღვან მეციხოვნეა...

რამდენჯერ მინახავს: სისხამ დილით აყრიამულეებულ ვერის უბანში ოდნავ თმაშევერცხლილი, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაციც გამოჩნდება ხოლმე. ციციქნა შვილიშვილს სკოლის კარამდე მიაცილებს, მერე კი ენერგიული ნაბიჯებით გამობრუნდება უკან.

ეს ირაკლი ციციშვილია.

ამ ყმაწვილებიდან, სკოლის გარშემო რომ ირევიან, არავინ იცის მისი ვინაობა, სმენით კი ზოგს სმენია: იმათ შორის, რომლებიც სამშობლოსა და მომავლის გადასარჩენად იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში, ერთ-ერთი სწორედ ირაკლი ციციშვილი იყო, საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით რომ დაუბრუნდა სახლსა და კერას.

ინფორმაცია, რომელიც ჩვენს პატარავს უნდა

წავუკითხოთ

1943 წლის 8 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში“ ა. ფალავანდიშვილი და ნ. ილოშვილი მოგვითხრობენ:

...„ომის პირველი დღეებიდანვე ირაკლი წითელ არმიშია, როგორც ინჟინერ-მშენებელი. იგი პირველად სამხედრო კვა-

ლიფიკაციის მისაღებად სპეციალურ კურსებზე იგზავნება ხოლო შემდეგ ფრონტის ერთ-ერთ პასუხსაგებ უბანზე სი- მაგრებისა და ზღუდეების ასაგებად.

ამხ. ციციშვილი სტალინგრადის გმირული დაცვის მონა- წილეთა. სამშობლომ მაღალი შუკრასება მისცა მის დამსახურე- ბას და 1943 წლის იანვარში სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დააჯილდოეთა.

გადის დღეები. წითელი არმია გადავიდა შეტევაზე და შე- უჩერებლად მიერეკეთა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს დასავლეთისაკენ. ირაკლი ციციშვილი უკვე ბრძოლებში ნა- ცადი ოფიცერთა.

საინტერესოდ იკითხეთა ირაკლის პატრიოტული წერილე- ბი დედისადმი. აი ზოგიერთი მათგანი.

„27. IX. გწერ და მართალი გითხრათ, სიხარულისაგან არ მესმის რას გწერ. საქმე იმაშია, რომ სწრაფი შეტევის შედე- გად ჩვენ უკვე დნეპრის პირას ვართ, იმ ქალაქის მახლობლად, რომელშიც შენ ოდესღაც ცხოვრობდი. ახლათ დავბრუნდი სა- ბრძოლო დავალებიდან, სადაც 2 დღე და ლამე დავყავი...

ახლათ ამოცანათ შესრულებულია. მოვედი დაღლილი, მაგ- ჩამ კმაყოფილი. აქეთ-იქიდან მეკითხებიან, მელაპარაკებიან, მილოცავენ, მე კი არაფერი არ მესმის, მხოლოდ სიამაყით შეეყუარებ ჩემს მიერ აგებულ რამდენიმე ასეულ მეტრ გადა- სასვლელს....

30. IX. ძალიან ბევრს ვმუშაობ. დაკავებული ვართ ისე, რომ დღეს პირველად დავიძინე მდინარეზე სამი დღის მუშაობის შემდეგ. მაგრამ ეს არაფერთა. წინ მიგველის დიდებათ, მალე

ვიქნებით დედაქალაქში. ახლა ის ჩემ წინ არის გაშლილი. მე უკვე ვიგემე დნეპრის წყლის გემო“...

ირაკლი ციციშვილმა წარმატებით შეასრულა სარდლობის დავალება. ბრძოლის უძნელეს პირობებში მისმა ნაწილმა მისი ხელმძღვანელობით უზრუნველყო ჯარისა და შეიარაღების შეუფერხებელი გადაყვანა დნეპრზე. მდინარე დნეპრის წარმატებით გადალახვისათვის, დნეპრის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმის მტკიცედ გამაგრებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებულებით კაპიტან ირაკლი ნიკოლოზის ძე ციციშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.



საბრძოლო გზას პრალაში დაამთავრებს შვიდჯერ მძიმედ დაჭრილი გმირი ოფიცერი, შეეგებება მშობლიური თბილისი ომიდან დაბრუნებულს, ხოლო მის სიმამაცეს ლექსში შეაქებს ახალგაზრდა ანა კალანდაძე: „გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია, ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს“.

დადგა დრო მშვიდობიან შრომაში ნიჭისა და უნარის გამოყენებისა, და ირაკლი ციციშვილი ისევ თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის არქიტექტურულ ფაკულტეტს მიაკითხავს, ფაკულტეტს, რომელიც 1941 წლის 24 ივნისს დაამთავრა და სამხედრო ფარაჯაც ჩაიცვა. იგი სამეცნიერო მუშაობაში ებმება. დღეს კი პროფესორი ირაკ-

ლი ციციშვილი ამ ფაქულტეტის — საქართველოს ვ. ნ. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაქულტეტის კათედრის გამგეა და ჩვენი ახალგაზრდობის — მომავალი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უსაყვარლესი პედაგოგი. მისი წიგნები — არქიტექტურის საკითხებზე, უმდიდრესი პრაქტიკისა და თეორიის ღრმააზრობრივი ნაჭერია და ცხოველ ინტერესს იწვევენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში.

ქართველმა საზოგადოებრიობამ, უფროსი თაობის ადამიანებმა, კარგად იციან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი თანამდებობები ეჭირა თავიხ დროზე ირაკლი ციციშვილს. ამ თანამდებობებზე კიდევ უფრო გამოიკვეთა მისი ორგანიზატორული ნიჭი და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა. ამ ექვსი წლის წინათ კი რაც ანდეს, ეს ალბათ, ყველა ნდობაზე დიდი იყო ჭეშმარიტად პატრიოტი კაცისათვის: იგი დაინიშნა უდიდეს ეროვნულ საქმეთა უწყების — საქართველომ ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსად, დაინიშნა და მას შემდეგ, როგორც დარაჯი, როგორც მეციხოვნე, ისე უღვას ძნელბედობას გადარჩენილ, ჩვენთვის აგრეერიგად სათაყვანო ციხეტაძერებს და მოუღლელად ხელმძღვანელობს მათ აღდგენარესტავრაციას. ხელმძღვანელობს კოლექტივს, რომლის თითოეულ წევრს ცხელი გული უძგერს და ზედმიწევნით ესმის, თუ რა საქმეს ემსახურება. ამ გულით იღვწიან ისინი საქართველოს მთასა და ბარში, ასე იყო წლებანდელი „თბილისობის“ წინ, აბანოთუბნის აღდგენისას. უხაროდა მთელ

კოლექტივს, მათმა წამუშავევმა რომ აგრერიგად გაიბრწყინა ამ თბილისობაზე. სიხარულს სიხარული დაემატა: მათი წინამძღოლი, კეთილი, ოლონდ მკაცრი და ზედმიწევნით მომთხოვნის უფროსი, თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.



„ეულოცავთ ბატონ ირაკლის საპატიო თბილისელობას“ — ეს სამმართველოს თანამშრომლებს გამოუკრავთ ფოიეში, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას. თვითონ ირაკლი ციციშვილის კაბინეტი კი მეორე სართულზეა. იგი მელოდება, გულლიად მესალმება, ხელს ღონივრად მართმევს და პირდაპირ საქმეზე გადავდივართ, რადგან ყოველი წუთი გამოზომილია აქვს.

— მე ის უფრო მესიამოვნა, აბანოთუბანი რომ განვაახლეთ და ყველა კმაყოფილი დარჩა, ვინც ნახა, — ამბობს და თან სიგარეტს უკიდებს, — ისე, კაცნი ვართ და, რა თქმა უნდა, გაგხარდება, შრომას რომ ასე დაგიფასებენ... თბილისის საპატიო მოქალაქეობა უკვე ბევრს ნიშნავს...

— რამდენადაც ვიცი, თქვენი სამმართველო ძველი თბილისის სხვა ობიექტებზეც მუშაობდა:..

— ჩვენი რესტავრირებულია სიონი, ანჩისხატი და კიდეც სხვა ობიექტები...

— საერთოდ, საქართველოში რამდენი ძეგლი აღადგინეთ?

— ექვს წელიწადში 600 ძეგლი შეკეთდა, და ეს, რა თქმა უნდა, მაინც არ არის ბევრი, რადგან 25000 ძეგლი გვაქვს აღრიცხვაზე.

— ბევრს ჰგონია, რომ ეს ამოდენა საქმე, ერთი ხელის დაკვრით უნდა გაკეთდეს, რამდენს მოუწერია საყვედური: ესა და ეს ძეგლი საპატრონოა, სამმართველო რას აკეთებსო...

— ჩვენთვისაც მოუწერიათ, ღვარძლიანი რალაც-რალაცებიც გამოუქვეყნებიათ სხვადასხვა ბექდვით ორგანოებში, აქედან ბევრი ნალდი გულშემატკივარია, ზოგი გაკეთებულზეც თვალს ხუჭავს, მაგრამ რას იზამ... ჩვენ, რაც შეგვიძლია ვაკეთებთ, ჭერ უმთავრეს ძეგლებს ვუვლით, რაც შეეხება გვიანდელ ეკლესიებს, მათ შეკეთებაში ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები უნდა დაგვეხმარონ, თვითონ ხალხმა უნდა გამოიღოს ხელი...

— ახალგაზრდობა დიდ საქმეს აკეთებს ამ მხრივ...

— ქეშმარიტად. ვინც ცოტა სხვაგვარად უყურებს დღევანდელ ახალგაზრდობას, შეუძლია წამობრძანდეს და საკუთარი თვალით ნახოს, რა ენთუზიაზმით შრომობენ ისინი ყოველ ზაფხულს ჩვენი ციხე-ტაძრების აღდგენაზე, როგორ ელოლიავენებიან თითოეულ ქვასა და ჩუქურთმას... ჩვენი სამმართველო დიდი მადლობელია მათი.

— იმ ახალგაზრდებზე რას იტყვით, თქვენ რომ ასწავლით და ხვალ-ზეგ ეროვნული არქიტექტურის განვითარების სამსახურში უნდა ჩადგნენ?

— ბევრი ნიჭიერი სტუდენტია, უყვართ არქიტექტურის ხელოვნება, ოღონდ შემდგომში, მათი შესაძლებლობების გამოსავლინებლად საჭიროა მეტი კონკურსები ეწყობოდეს. საერთოდ, არქიტექტურის განვითარებას კონკურსები, დაკვეთები უწყობს ხელს.

— ბატონო ირაკლი, მე იმ ბედნიერთა რიცხვში ვარ, რო-

მელთაც ახლახან ახალი ბინა მიიღეს. უნდა გითხრათ, რომ ვერაფერი არქიტექტურის „ნიმუშია“ ჩვენი კორპუსი და საფრთოდ, რა ეშველება ამ მასივების მშენებლობას?

— უპირველესად პროფესიონალ მუშა-მშენებლებზე უნდა ვიზრუნოთ, ისეთებზე, თავიანთი საქმე რომ იციან და შემთხვევით არ არიან მოკრებილი ახლომახლო რაიონებიდან. ჩვენს სამმართველოს უკვე ორი პროფტექნიკური სასწავლებელი უმზადებს მუშა-რესტავრატორების კადრებს. ისინი პრაქტიკას გადიან ციხე-ტაძრების აღდგენაზე და შემდეგ უკვე სპეციალისტებად მოვლენ ჩვენს დაქვემდებარებაში. აი, ეს უკვე სხვა საქმეა.

რაც შეეხება ახალ მასივებს, ჩემი აზრით, ისინი მაინც არ განსაზღვრავენ ქალაქის არქიტექტურულ სახეს. იცით თუ არა, რომ ლონდონს, ნიუ-იორკს, სან ფრანცისკოს... 150 წელია ერთი კვადრატული მეტრი „მასივი“ არ შემატებია და შიგა რეკონსტრუქციის ხარჯზე იზრდებიან? საქართველოში, ასეთ მცირემიწიან ქვეყანაში, მით უმეტეს გასაფრთხილებელია ყოველი მტკაველი ფართობი...

— გამოდის, რომ თქვენ ქალაქების ზრდის წინააღმდეგ ხართ...

— კატეგორიულად!

— დედაქალაქი რომ ყველას იზიდავს?

— ხომ მიიღეს დადგენილება, რომ თბილისში თითქმის აღარ შეიძლება ჩაწერა. მაგრამ იგი, მე მგონია, მაინც ირღვევა. მალე მილიონ-ნახევარს მიაღწევს დედაქალაქის მოსახლეობა, თქვენ კი კარგად იცით, სულ რამდენი მილიონი მცხოვრებია საქართველოში.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ახლა უხდება გამრუდებული საქმის გამოსწორება, რომ დაცარიელებულ რაჭახ, შატილს, ისევ დავუბრუნოთ მოსახლეობა, იქნებ სოფლად აგვეშენებინა მეტი საწარმოები, უკეთესი პირობები შეგვექმნა საიმისოდ, რომ ადგილზე დაგვემკვიდრებინა მოსახლეობა. ამ მხრივ სასიკეთო ძვრები მოხდა უკანასკნელ წლებში და ამას რა სჯობს.

— ბატონო ირაკლი, ფაშიზმზე ჩვენი ხალხის გამარჯვების 40 წელი სრულდება. მოსაგონარის მეტი რა გექნებათ. იქნებ დნებრის გადალახვის ოპერაციაზე მოგეთხროთ რამე?

— მოსაგონარი მაქვს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, არ მიყვარს იმ მძიმე წარსულის გახსენება. მე უფრო დღევანდლობა და მომავალი მაინტერესებს ჩემი ხალხისა და სამშობლოსი. აი, გუშინ უკვე შეეკრიბე თანამშრომლები და გეგმაც დავსახეთ, თბილისის რომელი უბნის რესტავრაცია დავიწყოთ.

დნებრის გადალახვაზე კი ბევრი დაწერილა. საინჟინრო ბატალიონის მეთაური ვიყავი. უმაღლესმა მთავარსარდლობამ ხუთი დღის ვადა მოგვცა დნებრზე ხიდის ასაშენებლად, ოთხდღენახევარში დავამთავრეთ 450-მეტრიანი ხიდი. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდით, მაგრამ რწმენა და პასუხისმგებლობის გრძნობა გვქონდა... ახლა ზოგიერთ ხიდს წლობით აშენებენ...

* * *

არ იყო დიდი საუბრის დრო. პოეზიაზე რომ ლაპარაკობდა, შევბედე: თქვენ ხომ არ „შეგიცოდავთ“-მეთქი ამ დარგ-

ში, — არა, ბატონო, დილექტანტობა საერთოდ არ მიყვარს, ისე კი არქიტექტურა და პოეზია რამ გაყო, ერთ რამედ ღირს მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშნიანიძის, ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის ლექსებიო, მითხრა. მერე კი თითქოს დადადებსო, ისე წარმოთქვა შოთა ნიშნიანიძის სტრიქონები: „ო, ციხის ნისლო — სუნთქეავ ჩემო და ფიქრო ჩემო, ციხის ნაეურო — ჩემო სისხლო და ჩემო ცრემლო. ო, ციხის ლოდო, ჩამოშლილო, ჩამომსხვრეულო — შენ, ძვალო ჩემო, გატანჯულო ჩემო სხეულო. ო, გოდოლ-ბურჯნო, გალავნებო, ნაგებო მკვრივად, ნაბზარი რაა, ყველა თქვენი ნაკაწრიც მტკივა“.

როგორ უხდება ირაკლი ციციშვილის საქმესა და პიროვნებას ეს სტრიქონები.

„საერთოდ, ჩემს ცხოვრებას, მგონი, არა უშავდა რა... თუმცა, როგორც იტყვიან, ასეც იყო და ისეც! და თუ რამ კარგი გადამხდენია, ძნელბედობის საზღაურად მხოლოდ და მხოლოდ“, — იქნებ ერთი ბრძენი მწერლის ეს სიტყვები ესადაგება ირაკლი ციციშვილის განვლილ გზას! ალბათ.

მე ერთი ვიცი, როდესაც გაისად, ვარდობისთვეში ფაშიზმზე გამარჯვებული ხალხის ტალღას შეუერთდება ომგადახდილი გმირი პროფესორი და მხარზე ციცქნა შვილიშვილს შეისვამს, შეუძლებელია, ეს პოეტური სტრიქონებიც არ გაჰყვეთ მოზეიმეთ: „გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია, ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს“.

და სხვა რომ არა, თბილისის საპატოო მოქალაქის მამაცობის აღიარებად ესეც საკმარისია.

ჰილენ ჰევერი სადღეგრძელო...

თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავი კალენდარმა გვამცნო, ბატონო ბუხუტი. რედაქციაში მოვილაპარაკეთ: მოვსულიყავი თქვენთან, გვესაუბრა, გაგეხსენებინათ ჩავლილი წლები, გადაგეშალათ გული, ქართული ხელოვნების სამსახურში რომ ძვერს და იწვის ნიადაგ. ერთი სიტყვით, მკითხველისთვის უნდა მიგვეწოდებინა მასალა რუბრიკით: „დღევანდელი ნომრის სტუმარი“.

მართლაც, დაგირეკეთ შინ და თქვენმა მეუღლემ არცთუ სასიამოვნო ამბავი შეგვატყობინა: ბუხუტი უკვე რამდენიმე თვეა შეუძლოდ არის და ალბათ საუბარიც გაუქნელდებაო. თუ გნებავთ, მასალებს მოგაწვდით და იქნებ უიმისოდ დაწეროთო. მეორე დღეს ქალბატონმა მერიმ მართლაც მოიტანა რედაქციაში მასალები, ძველ-ახალი ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიც თქვენ სამსახიობო ხელოვნებაზე მრავალი საყურადღებო სტრიქონი დაბეჭდილა. ჰოდა, გადავწყვიტეთ, მათი დახმარებით, ზოგიერთი რამ მოვუთხრო მკითხველს თქვენს შესახებ.

* * *

ვათვალისწინებ ახლა ამ მასალებს. აქ მთელი ცხოვრებაა: ერთმანეთს ენაცვლებიან სახეები, თეატრალური როლები,

კინოროლები... და წარმოაჩინენ ცნობილი ქართველი მსახიობის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ბუხუტი ზაქარიაძის უზადო შემოქმედებას.

ერთი ასეთი ფოტოა: ძმები — სერგო და ბუხუტი ზაქარიაძეები ხელიხელგადახვეულნი დგანან. ფოტოზე თარიღი გაფერმკრთალებულა, კარგა ხნის უნდა იყოს, ახალგაზრდები, გაბადრულები არიან ძმები. შეიძლება ეს ის დროა, ხონის თეატრში რომ გამოდიოდნენ ერთად, იმხანად იქ ძლიერი დასი იყო, სერგო უკვე ქმნიდა საინტერესო სახეებს. 1929 წელს ბუხუტიც მივიდა თეატრში, მივიდა ისე, რომ არც თეატრალური სტუდია დაუმთავრებია, არც სპეციალური კურსი გაუვლია მსახიობის ოსტატობისა.

და დაიწყო ცხოვრება ხელოვნებაში, დაიწყო ძიება, რომელმაც უკვე მოგვიანებით, თავისი სტილი, მანერა დაუმკვიდრა მსახიობს.

აი 1942 წლით დათარიღებული ერთ-ერთი ნომერი გაზეთ „კომუნისტისა“. იმ განსაცდელის დღეებში „ოლეკო ღუნდიჩი“ დაუდგამს რუსთაველის თეატრს. ახალ სპექტაკლს რომ აფასებს, რეცენზენტი დ. ჯანელიძე წერს: „ოლეკო ღუნდიჩის როლის შემსრულებელს, რუსთაველის თეატრისათვის ახალ მსახიობს ბ. ზაქარიაძეს ბევრი კარგი აქტიორული თვისება აღმოაჩნდა. მეორე სურათში მარჯვედ მიგნებული ლირიკული ტონით მან უკვე დაიპყრო მაყურებელთა ყურადღება და ტაში დაიმსახურა.

...სარდლის მისაღებ ოთახში მან კარგად ჩაატარა შეცდომის აღიარების ამალეღვებელი სცენა და გამარჯვებით გაი-

ტანა თავი საფინალო სურათში. ბ. ზაქარიაძე ბევრის აღ-
მთქმელი მსახიობია“.

ეს — რუსთაველის თეატრში, მაგრამ ამ სახელგანთქ-
მულ კოლექტივში მოსვლამდე ბუხუტი ზაქარიაძეს უკვე
ჰქონდა მოპოვებული მართალი, გულწრფელი მსახიობის სა-
ხელი. ჭეშმარიტი ხელოვნების ეს უცილობელი კომპონენტე-
ბი ყოველთვის თან ახლდა ბუხუტი ზაქარიაძის გმირებს,
უპირველესად ამიტომ არიან ისინი მაყურებლებისათვის ახ-
ლობელნი.

სხვადასხვა დროს ბუხუტი ზაქარიაძე მოღვაწეობდა ჭია-
თურაში, ბათუმში, სოხუმში, თელავში, მარჯანიშვილის სახე-
ლობის თეატრში და, ბოლოს, რუსთაველის სახელობის თე-
ატრში. უფროსი ასაკის მაყურებლები ქებით იხსენიებენ მის
კრეონტს („ოიდიპოს მეფე“ — ჭიათურაში), ჩონთას („მოკ-
ვეთილი“ — ბათუმში), თევდორე პროტასოვს („ცოცხალი
ლეში“ — სოხუმში), ზურია ხარატელს („ხარატანთ კერა“
— მარჯანიშვილის თეატრში), ქებას პრესაც არ იშურებს.
1953 წლის 14 ივლისის გაზეთ „კომუნისტში“, როდესაც რე-
ცენზენტი ა. ბურთიკაშვილი თბილისში სოხუმის თეატრის
გასტროლებს მიმოიხილავს, „ცოცხალ ლეშიში“ ბ. ზაქარიაძის
პროტასოვზე წერს: „მოსაწონია ბ. ზაქარიაძე, რამდენადაც
მას ამ როლში ბევრი თავისებური შტრიხი შეაქვს და არ მის-
დევს ამ როლის შემქმნელ მსახიობთა მიერ დამკვიდრებულ
გზას“.

ახლა გ. ბუხნიკაშვილს მოვუსმინოთ: „განსაკუთრებით აღ-
სანიშნავია მსახიობი ბ. ზაქარიაძე, რომელიც საგასტროლო
სპექტაკლებში ნიჭიერად ასრულებს ზანგი სემის („მომავა-

ლი ჩვენია“) და თევდორე პროტასოვის („ცოცხალი ლე-
ში“) როლებს. განცდის სიღრმითა და გულწრფელობით ამ
ტრაგიკულ სახეებს აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი. ეს და
ზოგიერთი სხვა როლი ბ. ზაქარიაძეს გამოყოფს როგორც
ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთ საუკეთესო ტრაგი-
კოს მსახიობს“ (გაზეთი „ზარია ვოსტოკა“).

დღეს უკვე ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის კუთვ-
ნილება, მისი „ოქროს ფონდია“ ბ. ზაქარიაძის სახეები სპექ-
ტაკლებში: „აურზაური არაფრის გამო“, „პირველი ნაბიჯი“,
„ჩაძირული ქვები“, „რღვევა“, „ჩვენებურები“, „ეზოში ავი
ძაღლია“, „არაგველები“, „ბორის გოდუნოვი“, „რევიზორი“,
„მასკარადი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ბებერი მე-
ზურნეები“ და ა. შ. ამ სპექტაკლებიდან ზოგიერთში ბ. ზა-
ქარიაძე გამოჩნდა როგორც სახასიათო როლების შესანიშნავი
შემსრულებელი.

რუსთაველის თეატრის ბოლოდროინდელ წარმატებებს
დღეს დეაწლმოსილი მსახიობიც იზიარებს, საზღვარგარეთე-
ლი მაყურებელი ბ. ზაქარიაძის ხელოვნებასაც გულლიად უკ-
რავდა ტაშს. არც პრესას გამოჰპარვია მისი ოსტატობა. „საარ-
ბრიუკენ ცაიტუნგი“ წერდა: „დიდი შთაგონებით, ზუსტი
შტრიხებით გვიხატავს ბუხუტი ზაქარიაძე ბეკინა სამანიშვი-
ლის სახეს“.

მსახიობის პორტრეტს ბევრი დააკლდება, თუ მის კინო-
როლებს არ შევეხებით. არადა, მოყოლებული 50-იანი წლე-
ბიდან ბუხუტი ზაქარიაძემ კინემატოგრაფი რამდენიმე საუ-
ცხოო როლით დაამშვენა. მსახიობი ერთმანეთისაგან მკვეთ-
რად განსხვავებულ სახეებს სთავაზობს მაყურებელს „ქარ-

ახული ფილმის“, „მოსფილმის“, „მოდლოვფილმის“ კინოსურათებში. აბა. გავიხსენოთ მისი კეთილი მოხუცი სოსა „ბებერ მეზურნეებში“, სტალინი „განთავისუფლებაში“, შავი გოგია „ქვევრში“, გაუბედურებული მედუქნე „დათა თუთაშხიაში“ და ბევრი სხვა როლი, რომლებშიც დიდ სიმართლეს გარდასახვის ხელოვნება შენივთებია, ეროვნული სულით გაჭერებულა. მსახიობის პოპულარობა დიდად გაიზარდა სტალინის როლის შესრულების შემდეგ. თუმცა აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია ამ სახემ. არადა, ფილმის მაყურებელი საიდან შეიტყობს, რომ დამდგმელი ჯგუფის მოთხოვნები, ხშირად ნაკლებად ექვემდებარება მსახიობის ნება-სურვილს.

აი დებეშა. იგი სრულიად ახალია ამ მასალებში. მოსკოვიდან გამოუგზავნიათ: „პატივცემულო ბუხუტი ალექსანდრეს ძევ, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირი მხურვალედ გილოცავთ თქვენ — ცნობილ მსახიობს დაბადების სამოცდაათ წლისთავს. თქვენ მიერ შექმნილმა სახეებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა კინოს განვითარებაში. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სურვილები: გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ახალ შემოქმედებითს მიღწევებს. კულიჯანოვი, გერასიმოვი, ბატალოვი, მატვეევი, მარიაშოვი, სანეევი“.



რამდენიმე დღის შემდეგ რედაქციაში დაგვირეკეს, თუ გეცლებათ, ამ საღამოს გვეწვიეთო. უფრო იმიტომ ავედი, მაინტერესებდა, როგორ გრძნობდა თავს ღვაწლმოსილი მსახიობი. ზაქარიაძეების სახლში ხელოვანის უახლოესი მეგობ-

რები, მსახიობები, რეჟისორები შეკრებილიყვნენ. სუფრის თავში დაესვათ უფროსი მეგობარი, სიკეთის, სიხარულის დიმილი დასთამაშებდა სახეზე იუბილარს.

— არავინ დამიპატიუია, ვისაც გავახსენდი, თვითონ მოვიდა. ყველას არც ველოდი, — ჩურჩულით მითხრა მსახიობმა.

იმ საღამოს რობერტ სტურუამ, ბადრი კობახიძემ, ჯემალ ლაღანიძემ, კახი კავსაძემ, თენგიზ ჩანტლაძემ, სოსო ლალიძემ, ლერი გაფრინდაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს ბუხუტი ზაქარიაძის კაცურკაცობაზე, პურადობაზე, მეგობრების სიყვარულით სავსე გულზე, ბევრი რამ მოიგონეს... რა მოაცილებდა ამ სუფრას მასპინძელს, მაგრამ, ეტყობა, დაიღალა, წამოდგა და უხმოდ გავიდა მეორე ოთახში.

— ბატონო ბუხუტი, „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღეველი“, შენი ახალი როლების, ახალი მიღწევების სადღეგრძელო! — დაადევნა კახი კავსაძემ.

— დაგველიოს! — ეს ხმამაღლა თქვა მსახიობმა.

1983 წ.

გაგულს გული...

ეს მაღალი, ხმელ-ხმელი მამაკაცი, იერსახით უცხოელს რომ უფრო ჩამოჰგავს, ვიდრე ქართველს, რედაქციაში რამდენჯერმე მინახავს. კეთილი ღიმილით, გულითადი სალმით ხვდებოდა უმრავლესობა და, რაღა თქმა უნდა, მეც დავინტერესდი, ალექსანდრე კიკნაძე აღმოჩნდა — ლინგვისტი, მწერალი და ჟურნალისტი. იგი ახლაც ჩამოსულა თბილისში სხვადასხვა საქმეზე (რომლებზეც ქვემოთ მოგახსენებთ), თანაც სამოცი წლისა გამხდარა და მეც მიზეზი ვიპოვე, რომ ამ საინტერესო პიროვნებასთან მესაუბრა. ჩამოსულიაო, გითხარით და უმრავლესობამ, რომლებმაც ამ კაცის ბიოგრაფია არ იცით, იქნებ გაიკვირვოთ კიდევ. საქმე ის არის, რომ ალექსანდრე კიკნაძე ამჟამად (უკვე 24 წელია) მოსკოვში ცხოვრობს. ბედის ტრიალს ბოლოს იქ დაუმკვიდრებია და იმ ქართველთა რიგში ჩაუყენებია, ერის სახეს უზადოდ რომ წარმოაჩენენ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში.

ირანში დაბადებულს, ბავშვობა თბილისში გაუტარებია, ახალგაზრდობა — ბაქოში (ბედმა ასე არგუნა ოჯახს), იქვე დაუმთავრებია ბაქოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და „ბაკინსკი რაბოჩის“ რედაქციაში განყოფილების გამგედაც უმუშავია.

— შემდეგ უკვე მოსკოვში, კარგა ხანს გაზეთ „სოვეტსკი

სპორტის“ საერთაშორისო განყოფილების გამგე ვიყავი, შესაძლებლობა მქონდა მოგზაურობისა და ორმოცზე მეტი ქვეყანა მოვიარე, მაგრამ არსად შემხვედრია ჩემი ხარაგოულისთანა კუთხე, ჩხერისთანა სილამაზე, — საკმაო აქცენტით, ქართულ-რუსულად მებაასება ალექსანდრე კიკნაძე, — სწორედ ჩხერი იყო ყველაფრის სათავე, თუკი რაიმე შემიქმნია, იქ, მამისეულ სახლ-კარს რომ მოვინახულებ, ჩემს სამ შვილს დაბინდულ ქლიავისფერი მთების სილამაზეს რომ ვაჭვრეტივინებ, ერთი სიცოცხლე მემატება. ახლაც ვიყავი ხარაგოულში, დიდი მადლობა იქაურებს, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნაზე მიმიპატიეს.

— თქვენ ზემოთ „დაბინდულ ქლიავისფერი მთები“ ახსენეთ, ცხადია, გახსოვთ, რომ ეს შედარება გალაკტიონ ტაბიძისაა. კარგად იცნობთ ქართულ პოეზიას, საერთოდ, ქართულ მწერლობას?

— საკმაოდ, ჯერ კიდევ ადრე, როდესაც ოჯახს ძალიან გაუჭირდა, რუსთაველის პოემის აფორიზმი „ჭირსა შიგან გამაგრება“ — ლამპარივით გვენთო. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ქართველი კაცი იმიტომაც სძლევდა და სძლევს ყოველგვარ გასაჭირს, აკვნიდანვე ჩაესმის ამ უკვდავი პოემის სტრიქონები: „ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“: ალბათ, არ გაიკვირვებთ, თუ გეტყვით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ზეპირად ვიცი.

ჩემი უსაყვარლესი პოეტია გალაკტიონ ტაბიძე. მშვენიერია ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლები პალესტინაზე და ბასკეთზე, მურმან ლებანიძის კრებული „მახსოვს“.

ბოლო პერიოდში ძალზე საინტერესო პროზა იქმნება. სა-

ერთოდ, ქართველი კაცის ნიჭსა და უნარს დიდი ასპარეზი მი-
ეცა და ეს გამოჩნდა კიდევ ლიტერატურასა და ხელოვნება-
ში, მეცნიერებაში... გახარებული და გაოცებული ვარ ქარ-
თული კინემატოგრაფიის ძიება-მიგნებებით... გუშინწინ რე-
ვაზ ჩხეიძემ კინოსტუდიაში ახალგაზრდა კინორეჟისორის თე-
მურ ბაბლუანის ფილმები „ბელურების გადაფრენა“ და „ძმა“
მანახა. ეს პირდაპირ აღმოჩენა იყო...

— როგორ მოხვდით „სოვეტსკი სპორტში“ — ამ სპეცი-
ფიკურ გაზეთში?

— გინდათ თქვათ, სპორტისა რაიმე გამეგებოდა თუ არა?

— დიახ...

— პირველთანრიგოსანი ვარ სროლაში, ჭადრაკში, ჩოგ-
ბურთში, ბაქოს უნივერსიტეტში ვთამაშობდი კალათბურთს...
ასე რომ, სპორტულ ჟურნალისტიკაში მუშაობის სრული
უფლება მქონდა.

— მწერლობა როგორ დაიწყეთ?

— მე ბევრს ვფიქრობდი ბასკებისა და ქართველების ნა-
თესაობაზე, ბავშვობაში მამა მესაუბრებოდა ამ ამბებზე, მე-
რე ბაქოს უნივერსიტეტში ცნობილმა ლინგვისტმა, პროფე-
სორმა აქრემ ჯაფარლიმ დიდად დამაინტერესა იბერიის პრობ-
ლემით... შევუდექი კვლევა-ძიებას, ბასკებშიც ვიმოგზაურე
და ნელ-ნელა დავიწყე მუშაობა რომანზე „იბერიის ლეგენ-
და“. თუმცა მანამდე რამდენიმე ნარკვევი გამოვაქვეყნე ბას-
კეთზე...

— გიცნობდნენ, როგორც სპორტულ ჟურნალისტს და
უცებ... ბასკეთი...

— რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო... მეგობრები მეკითხებოდნენ, ვილაც ა. კიკნაძე, ბასკებზე რომ წერს, შენი ნათესავი ხომ არ არისო. არა, უბრალოდ, მოგვარეა-მეთქი ვამბობდი...

* * *

სპორტით დაინტერესებულ მკითხველს უეჭველად ეხსოვება ალექსანდრე კიკნაძის ნარკვევები და ჩანახატები ჩვენი გამოჩენილი სპორტსმენების ელენე გოკიელის, მიხეილ მესხის, ნონა გაფრინდაშვილის, ვახტანგ ქარსელაძის საჭადრაკო სკოლის, რობერტ შავლაყაძის, როსტომ აბაშიძის შესახებ, რომლებიც თავის დროზე ცენტრალური პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა, მაგრამ მთავარი მაინც „იბერიის ლეგენდა“ იყო და ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, 1973 წელს მწერალმა გამოსცა კიდევ ეს რომანი. წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია, მასში დასმულ პრობლემებზე ბევრს წერდნენ არა მარტო ჩვენთან, არამედ საზღვარგარეთაც.

მოვუსმინოთ მწერალ იური იაკოვლევს: „ალექსანდრე კიკნაძემ არა მარტო კარგად იცის, რაზეც წერს, არამედ ნათლადაც გადმოსცემს და მკითხველს თავის თანამოზიარედ ხდის“.

„იბერიის ლეგენდის“ გაგრძელებაა მეორე რომანი „ფონი არაგუაზე“, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა. გარდა ამისა, ცნობილია ალექსანდრე კიკნაძის რომანები საბჭოთა მხვერავებზე, ფეხბურთელებზე, ნარკვევები, თბომავალ „შო-

თა რუსთაველით“ მოგზაურობისას რომ შეიქმნა, წიგნები ჭადრაკზე, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ ასპარეზობებზე.

* * *

— ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე რომ ვიყავი, ერთ დღეს სასტუმროში ტელეფონის ზარი აწკრიალდა, ავიღე ყურმილი და ვიღაც რუსულად მეუბნება, მე ვარ ბასკი კარლოს ორგაზაბალი, თქვენი ნახვა მაინტერესებსო. შევთანხმდით და მართლაც მეწვია კაცი, რომელიც უკვე ქართულად მეუბნება: — გამარჯობათ, ბატონო ალექსანდრე, მე ქალაქ ვიტორიიდან ვარ, ერთ-ერთი გამომცემლობის დირექტორი...

— კი მაგრამ ქართული საიდან?.. — ვეკითხები გაკვირვებული.

— ნამყოფი ვარ საქართველოში, ჯერ ხაშურში, შემდეგ თბილისში ვცხოვრობდი, ქართველების რძალი რომ არის, მარტინა მინტეგი ბილბაო, მასთან ერთად ჩამომიყვანეს ესპანეთიდან, რა დამავიწყებს იმ სიტბოს, თქვენმა ხალხმა რომ გვაგრძნობინა ესპანელ ბავშვებს...

— შემდეგ მითხრა, წაკითხული მაქვს თქვენი რომანები და მინდა ბასკურ ენაზე გამოვცე ისინიო...

— გვითხარით, თუ შეიძლება, ამჯერად თბილისში ჩამოსვლის მიზეზი.

— შეიძლება გავამხილოთ: კინოსტუდია „ქართული ფილმი“ დაინტერესებულა ჩემი რომანებით „იბერიის ლეგენდა“ და „ფონი არაგუაზე“, სურთ მრავალსერიანი სატელევიზიო

ფილმის გადაღება, მოვილაპარაკეთ, ვნახოთ, რა გამოვა. მაინტერესებდა ისიც, თუ როგორ არის ამ რომანების ქართულად გამოცემის საქმე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ, ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს, რა თქმა უნდა, საკუთარი მოსაზრება გექნებათ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის დღევანდელ პრობლემებზე...

— ზუსტად ორი წელი გავიდა იმ დიდი სიხარულის დღეებიდან, დიუსელდორფის დაუფიწყარი მატჩიდან... არა მარტო საქართველოში, მე მახსოვს, როგორ უხაროდათ ჩვენი „დინამოს“ გამარჯვება მოსკოვშიც, მაგრამ ახლა დადგა დრო „ჭირსა შიგან გამაგრებისა“... მხარი დაუჭიროთ გუნდს, რათა ისევ მოიკრიბოს ძალა, ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ირწმუნონ თავიანთი შესაძლებლობანი, ხომ ცნობილია, რომ დაუმარცხებლად ვერ გაიმარჯვებ. ნუ აყყვებით ემოციებს და გვკჯეროდეს, რომ მალე ყველაფერი მოგვარდება...

* * *

მისი წიგნები მამისეულ სოფელ ჩხერშიც იწერებოდა, იქ იღებდა სათავეს ყოველი ფიქრი და ოცნება. ჩხერში არც დაბადებულა და არც გაზრდილა ალექსანდრე კიკნაძე, მაგრამ მამულის სიყვარულმა მიიყვანა იქ, და არ მოაშლევინა მამაპაპათა საბუდარი...

და, აწიც რა უნდა შექმნას მწერალმა, რომ მასში სრულიად საქართველოს ტრფიალი არ ჩანდეს, როგორც მანათობელი ლამპარი ცხოვრების გზასავალისა.

1983 წ.

ფერები ქალაქში

ორმოცდაათი წლის ასაკში ამგვარი პოპულარობა იშვიათია. აი ტიტულებიც: სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი... მისი ნამუშევრები ამშვენებენ ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიას, იაპონიის, პორტუგალიის, სირიის, კანადის უდიდეს ქალაქებს.

ზურაბ წერეთლის შემოქმედების პოპულარობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ მას თანამედროვე ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო ადგილებში ვეცნობით, და არა მარტო საგამოფენო დარბაზებში.

* * *

1958 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულ ზურაბ წერეთელს სახვითი ხელოვნების მოყვარულნი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

ფერწერაში ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრებში გვიზიდავდა დიდი ოპტიმიზმი, წვდომა შინაგანი სამყაროსი, რომელიც სიცოცხლის განუზომელ სიყვარულს გვიმხელდა, ნათელი, საზეიმო ფერების სიჭარბე, მაჟორულობა... დღესაც, უკვე

მხატვარ-მონუმენტალისტ ზურაბ წერეთლის შემოქმედებას, უპირველესად, სწორედ ამ თვისებებით ვაფასებთ.

— ხომ არ დათმეთ ფერწერა, ბატონო ზურაბ? ალბათ მისთვის დროც აღარ გრჩებათ...

— პირიქით, მე ახლაც ფერმწერად ვთვლი ჩემს თავს და იშვიათია დღე, რომ ცოტა მაინც არ „წავიმუშავო“ ამ დარგში. სახელოსნოებში — თბილისსა და მოსკოვში უამრავი ნამუშევარი მაქვს, რომლებსაც, ალბათ, მალე გამოვფენ.

— მაშ, რამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება მონუმენტური ხელოვნებით?

— მინდოდა თავი გამომეცადა, თანაც, დღევანდელი დრომ დიდი გასაქანი მისცა ამ დარგს...

* * *

მისმა მონუმენტურმა ნაწარმოებებმა ელფერი და მიმზიდველობა შემატეს ჩვენს ქვეყანაში აგებულ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ანსამბლებს. ზ. წერეთლის მოზაიკები ამშვენებენ ლენინის მემორიალს ულიანოვსკში, ოლიმპიურ კომპლექსს „იზმაილოვოს“ — მოსკოვში... საზღვარგარეთ — საბჭოთა წარმომადგენლობის შენობათა ინტერიერები ბრაზილიასა და იაპონიაში გამოირჩევიან საზეიმო ფერადოვნებით, თამამი კომპოზიციით, მასალების — ოპტიკური მინის, ბროლის — ახლებური გამოყენებით.

მხატვრის ეს სითამამე, ხშირ შემთხვევაში სიმბოლოებით აზროვნება, ბუნებრივია, კამათს იწვევს და სკეპტიკოსებსაც ამრავლებს. მაგალითად, ერთსულოვნად ვერ მიიღო საზოგადო-

დობრობამ საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის ფასადის მოზაიკური მხატვრობა, გადაწყვეტილი ხალხური ფოლკლორის ტრადიციებით, ანდა დილომში აღმართული ორმოცდახუთმეტრიანი მემორიალი „ბედნიერება ადამიანებს“, მაგრამ სიახლესა და გაბედულებას, მოგეხსენებათ, ეს ფაქტორები თან ახლავს.

— დილომში დადგმული მემორიალის გაგება მართლაც ბევრს გაუჭირდა, — ამბობს მხატვარი. — ერთი თვალის შევლებით მისი აღქმა, ალბათ, ძნელია... მემორიალი გამოხატავს ადამიანის სამ განზომილებას, დაბადებას, ბედნიერებასა და მისწრაფებას მზისკენ, სინათლისაკენ...

...მზე და სინათლე ასხივოსნებს მის მოზაიკურ ნამუშევრებს ბიჭვინთაში, ბავშვთა საკურორტო კომპლექსს ადღერაში, რომელმაც მხატვარს ლენინური პრემია და დიდი აღიარება მოუტანა. მოგვიანებით, ამ ჰუმანურ საწყისებს აგრძელებს ზ. წერეთელი მონუმენტში „მშვიდობა — მსოფლიოს ბავშვებს“, რომელიც საბჭოთა მთავრობამ საჩუქრად გადასცა ბროკფორდის უნივერსიტეტს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენ ბევრი გვსმენია ამ ფაქტის თაობაზე, ტელევიზიითაც გვინახავს უნივერსიტეტის წინ, ფართო მოედანზე მისი აღმართვის პროცესი, ოღონდ მკითხველმა არ იცის მონუმენტთან დაკავშირებული ერთი ამბავი, რომელსაც თვითონ ზ. წერეთელი გვიამბობს:

— შარშან, ერთ-ერთი ანტისაბჭოთა დემონსტრაციის დროს ახალგაზრდობა გარს შემორტყმია მემორიალს, რათა იგი აღვირახსნილ ბრბოსაგან დაეცვა, ალბათ, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ ბროკფორდის უნივერსიტეტს სპეციალური კონ-

ფერენცია გაუმართავს, რომელზეც გამოთქმულა აზრი, მემორიალი ტურიზმის მარშრუტის გეგმაში შეეტანათ. ამით კა აღარავითარი „საშიშროება“ აღარ ელოდება მემორიალს, როგორც უკვე საკუთარსა და შინაურს...

მხატვარი გვიჩვენებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებულ სიგელს, რომელიც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გამოუგზავნია მისთვის — 50 წლისთავს ულოცავენ ზ. წერეთელს და კიდევ ერთხელ უხდინან მადლობას ნამუშევრისათვის, რომელიც აგრერიგად ძვირფასი გახდა ყოველი მშვიდობისმოყვარე და საბჭოეთთან სამეგობროდ განწყობილი ამერიკელისათვის.

...შარშან ზ. წერეთელი საფრანგეთში გახლდათ, მხატვარს კარგა ხანია აწუხებდა მამულიშვილური გრძნობა იმასთან დაკავშირებით, რომ პარიზში, ბუნებისა და ხალხთა ყოფის ამსახველ მუზეუმში მოეწყო კუთხე, მუდმივი ექსპოზიცია ქართული ეთნოგრაფიისა. კეთილი განზრახვა საქმემ დაავიკინა: შარშან ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ საფრანგეთის მთავრობას გადასცა ქართული ეთნოგრაფიის უამრავი ექსპონატი, ზ. წერეთელმა დიდი შრომა გასწია მუზეუმში მათი თვალსაჩინო ადგილას გამოფენისათვის, იმისათვის, რომ სხვადასხვა ქვეყნის უამრავ დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდეს ახლოს გაეცნოს ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრების ამსახველ უძველეს ნიმუშებს.

საფრანგეთში ყოფნისას მხატვარმა ინახულა ადგილი, რომელიც დღეს უკვე სამგლოვიაროდ არის გამოცხადებული ფრანგი ხალხის მიერ. ლაპარაკია ამ ორი წლის წინათ მომხ-

დარ ავტოკატასტროფაზე, რომლის დროსაც ორმოცამდე ბავშვი დაიღუპა...

შემოქმედებითმა მრწამსმა, მოქალაქეობრივმა სინდისმა უკარნახა ზ. წერეთელს, იმ ადგილას ქანდაკება დადგმულიყო. აზრი კიდევ გაანდო ადგილობრივ ხელისუფალთ, რომლებმაც დიდი მადლიერება გამოთქვეს იმის გამო, რომ უცხოელი მხატვარი არა მარტო გულით, არამედ შემოქმედებითაც იზიარებდა დამწუხრებული ოჯახების სატკივარს.

ქართველ მხატვარს უკვე მზად აქვს მაკეტი, უახლოეს ხანში აპირებს საფრანგეთში გამგზავრებასა და ქანდაკებაზე მუშაობას.

ყველამ ვიცით, თუ რა შესანიშნავი ნაწარმოები უძღვნა რუს-ქართველთა საუკუნო მეგობრობას ზ. წერეთელმა. მოსკოველები, დედაქალაქში ჩამოსული უცხოელი სტუმრები ინტერესით, მოწინებით ჩერდებიან შუაგულ მოსკოვში, ტიშინსკის მოედანზე აღმართულ მონუმენტურ კომპოზიციასთან, რომელსაც მხატვარმა „საუკუნო მეგობრობა“ დაარქვა. მონუმენტი შარშან, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულის დღეებში დაიდგა და კიდევ ერთი სიმბოლო გახდა ორი ერის დამოყვრებისა. მერე გაზეთ „პრავდაში“ ცნობილმა რუსმა პოეტმა ანდრია ვოზნესენსკიმ ლექსიც უძღვნა ამ ქმნილებას.

— რატომ მოიწვიეს ამ კომპოზიციის არქიტექტორად ანდრია ვოზნესენსკი?

— იგი ჩემი მეგობარია. ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ამ სახელოვან პოეტს არქიტექტურის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. საერთოდ, ცნობილია მისი სიყვარული საქართვე-

ლოსადმი, ამიტომ ვიფიქრე: თუ მეგობრობაა, მეგობრობა იყოს-მეთქი.

— მეგობრობის, სიყვარულის თემა თქვენ მცხეთაში დადგ-
მულ ძეგლშიც გამოხატეთ, არა?

— სწორი ბრძანდებით. აქ თითქოს ნინო ჭავჭავაძისა და
ალექსანდრე გრიბოედოვის ბეჭდები გადაკვანძულა ერთმანეთ-
ში. თუმცა, ეს ნაწარმოები, საერთოდ, გამოხატავს სიწმინდის,
შეუღლების, მოვალეობის გრძნობას...

* * *

...ეს დეპეშები მეგობრებისაგან, კოლეგებისაგან მიუღია
მხატვარს. მათ ხელს აწერენ საბჭოთა სახვითი ხელოვნების
გამოჩენილი ოსტატები, ადამიანები, რომლებიც გულწრფე-
ლად ულოცავენ მხატვარს დაბადების დღეს.

* * *

ძვირფასო ზურაბ, სსრ კავშირის მხატვართა კავშირი მხურ-
ვალედ და გულითადად გილოცავთ 50 წლის სახელოვან იუ-
ბილეს. ჩვენ დიდად გაფასებთ თქვენ — გამოჩენილ საბჭოთა
მხატვარს, დიდ საზოგადო მოღვაწეს, ნიჭიერ პედაგოგს, კე-
თილ და გულისხმიერ ადამიანს. თქვენ მთელი ცხოვრება
ხალხის და ხელოვნების სამსახურს მოახმარეთ და სამშობლომ
დიდად დააფასა თქვენი ღვაწლი, როცა საბჭოთა კავშირის სა-
ხალხო მხატვრის, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო
პრემიების ლაურეატის საპატიო წოდებანი მოგანიჭათ.

სულით და გულით გისურვებთ ჭანმრთელობას, დიდ ბედ-
ნიერებას, შემდგომ შემოქმედებითს ძიებას, შიმართებას და
გამარჯვებებს.

ძმურად გეხვევით პონომარიოვი, სალახოვი, კოვალიოვი, ვასილიევი, ბორიანოვი, ეფიმოვი, ზამკოვი, ზვერკოვი, ზიმენკო, კარატეევი, კორუევი, პოპოვი, სავოსტიუკი, ტარაევი, ტაშიოვი, ჩერნოვი, შმარინოვი, ფიოდოროვა, გალპერი.

ძვირფასო ზურაბ, თქვენი 50 წლისთავის ღირსშესანიშნავ დღეს სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმი და მთელი კოლექტივი გულმხურვალედ გილოცავენ და გულწრფელად გისურვებენ ყოველივე საუკეთესოს, თქვენ — გამოჩენილმა მონუმენტალისტმა მხატვარმა — შექმენით ნაწარმოებები, რომლებიც ღირსეულად ამშვენებენ თანამედროვე ადამიანის ცხოვრებას. სულით და გულით გისურვებთ ძვირფასო ზურაბ, ბედნიერებას, ახალ მიღწევებს თქვენს მრავალფეროვან მოღვაწეობაში.

უგაროვი, კემენოვი, რეშეტნიკოვი, სისოევი, ანიკუშინი, გრიცაი, კიბალნიკოვი, ნალბანდიანი, პოსოხინი, როუდეხტვენსკი.

* * *

ზურაბ წერეთლის ესოდენ მრავალმხრივ და ხაყოფიერ შემოქმედებაში ძალუმად ამოიცნობა მისი პიროვნება — ნათელი, სიცოცხლეზე, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, ოპტიმიზმითა და უკეთესი მერმისის იმედით გაცისკროვნებული.

...და კიდევ რამდენს ველით მისგან!

ჭეშმარიტების ძიება

ექებს ელიოზი — „ნატვრის ხის“ გმირი. მიწას თხრის, ქვესკნელს ჩაპყურებს, ხის კენწეროზე მიძვრება — უსასრულობაში ეძებს. ძნელია ნატვრის თვალის პოვნა, ძნელია სამართლის, ჭეშმარიტების ძიება...

იქნებ არც მთლად ზუსტი პარალელია, მაგრამ ხელოვანის ბედი (ამ შემთხვევაში თენგიზ აბულაძის) რაღაცით ჰგავს გაციუტებული, თავისი მიზნის მისაღწევად გაკერპებული ელიოზის ბედს. ეძებ, ეძებ შეიძლება ვერც იპოვო, მაგრამ არ უნდა მოდუნდე, რადგან, ხატოვნად თუ ვიტყვით, სწორედ ჭეშმარიტების ძიებაშია ჭეშმარიტება.

თანამედროვეობის გამოჩენილი რეჟისორი (საერთო აღიარებით) თენგიზ აბულაძე, რომელსაც დღეს 60 წელი შეუსრულდა, მთელი თავისი შემოქმედებით სწორედ ამგვარ ძიებაშია, ძნელსავეალ გზაზე ნირი არ შეცვლია, ნატვრის თვალის ძიებაში არანაკლები „განძეული იპოვა“ და ეროვნული კინოს მდიდარ ისტორიას მიუმატა.

აუცილებელი ინფორმაცია:

დაიბადა ქუთაისში. 1943-46 წლებში სწავლობდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, მისი პედაგოგები იყვნენ გიორგი ტოვსტონო-

გოვი და დიმიტრი ალექსიძე. 1946-53 წლებში სწავლობდა მოსკოვის საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე სერგეი იუტკევიჩის სახელოსნოში. სარეჟისორო ხელოვნებას ასწავლიდნენ აგრეთვე მიხეილ რომი, ლევ კულეშოვი, ალექსანდრე ხოხლოვი, ალექსანდრე დოვჟენკო, ვსევოლოდ პუდოვკინი... ისმენდა სერგეი ეიზენშტეინის ლექციებს.

თენგიზ აბულაძე იკონებს:

— ყველაზე ღრმა კვალი ჩემს შემდგომ მოღვაწეობას გამოჩენილმა საბჭოთა რეჟისორმა მიხეილ რომმა დააჩნია. ასაკით კი იყო განსხვავება, მაგრამ იგი სიამოვნებით მეგობრობდა ჩემთან. და კიდევ მყავდა ერთი მოძღვარი — ბრწყინვალე პიროვნება და მეცნიერი, აწ განსვენებული პროფესორი გრიგოლ კიკნაძე... მოხდა ისე, რომ ბატონი გრიგოლი ჯერ თბილისის 27-ე სკოლაში მასწავლიდა ქართულ ლიტერატურას, მერე თეატრალურ ინსტიტუტში მიკითხავდა ლექციებს. ვმეგობრობდით, უნივერსიტეტში, ვაჟა-ფშაველას კაბინეტში ხშირად ვაკითხავდი, კინოფილმი „ვედრებაც“ მან შთამაგონა... რეჟისურა უპირველესად მსოფლმხედველური კატეგორიაა და მის ჩამოყალიბებაში გრიგოლ კიკნაძის ამაგი ჩემდამი განუსაზღვრელია.

ათი წლის წინანდელი ინტერვიუდან:

— გვითხარით, თქვენი რომელი ფილმი გიყვართ უფრო მეტად?

— რა თქმა უნდა, „ვედრება“, იგი, ჯერჯერობით, ჩემი ყველაზე საინტერესო ნამუშევარია...

გუშინწინდელი საუბრიდან:

— გვითხარით, თქვენი რომელი ფილმი გიყვართ უფრო მეტად?

— რა თქმა უნდა „ვედრება“; „ნატვრის ხემ“ ძალიან გაითქვა სახელი, ჩვენთანაც მოსწონთ და საზღვარგარეთაც, მაგრამ ჩემთვის „ვედრება“ სულ სხვაა. იცით, მუშაობის პროცესში ხშირად დგება ისეთი მომენტი, როდესაც ფილმი მოგბეზრდება, გინდა საერთოდ შეეშვა გადაღებას, აქ სხვა ამბავია: „ვედრება“ რამდენჯერაც უნდა ვნახო, ყოველთვის რაღაც ახალს აღმოვაჩენ ხოლმე შიგ, და ეს ალბათ, იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველა უკიდუგანო შემოქმედია, ღრმად ფილოსოფიურია მისი პოეზია...

* * *

საუბარი გადაება და ჩვენ თენგიზ აბულაძის „შუაგულ“ შემოქმედებაში შევიჭვრით, თუმცა რამ დაგვაფიწყოს გზის დასაწყისი და რევაზ ჩხეიძესთან ერთად გადაღებული „მაგდანას ლურჯა“, რომელიც სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართულ კინემატოგრაფიაში. ახალგაზრდა რეჟისორებმა უბრალოდ და შეუღამაზებლად დაგვიხატეს უბედური ქვრივ-ობლების სულისშემძვრელი ამბავი. შედეგი? მანამდე არნახულ დასაწყისი და რევაზ ჩხეიძესთან ერთად გადაღებული „მაგდანას ლურჯამ“ „გრან პრი“ მოიპოვა, როგორც საუკეთესო მხატვრულმა ფილმმა.

კინემატოგრაფიულ წრეებში მაშინ ეს ფაქტი მოულოდნელობადაც კი მოეჩვენათ, რამეთუ, „მაგდანას ლურჯა“ ომის-

შემდგომ წლებში ეროვნულ სტუდიაში შექმნილი პირველი ფილმი გახლდათ, რომელმაც ამდაგვარი აღიარება მოიპოვა. საზღვარგარეთ, თენგიზ აბულაძე და რევაზ ჩხეიძე კი ომის-შემდგომი თაობის პირველი რეჟისორები იყვნენ, ასეთი ავტორიტეტული კინოფესტივალის პრემია რომ მიიღეს.

აუცილადელი ინფორმაცია

— თენგიზ აბულაძე და რევაზ ჩხეიძე ერთად შევიდნენ მოსკოვის საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, ერთად გადაიღეს სადიპლომო ნამუშევარი — ფილმ-ნარკვევი „დიმიტრი არაყიშვილი“, რომელიც სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ „ფრიაღზე“ შეაფასა. თბილისში დაბრუნებულებმა ერთად შექმნეს დოკუმენტური ფილმები „ჩვენი სასახლე“ და „ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“.



დარჩა დიდი მეგობრობა, ოღონდ შემოქმედებითს გზაზე უკვე ცალ-ცალკე წავიდა ორი რეჟისორი. შემდეგი ფილმი დამოუკიდებლად გადაიღო თენგიზ აბულაძემ: მკითხველებს, მეტადრე კინომოყვარულებს, ეხსომებათ, თუ რა მწვავედ გააკრიტიკეს ფილმი „სხვისი შვილები“, რეჟისორს ნეორეალიზმისადმი ერგვარი ხარკის გაღებაც არ მოუწონეს. არადა, თ. აბულაძის თქმით, მას უნდოდა შეექმნა ნაწარმოები, რომელიც სიკეთისადმი სწრაფვის, სიყვარულის, მოვალეობის

კეთილშობილურ გრძნობებს გაუძლიერებდა მაყურებელს. ეს არის კიდევ ფილმის მთავარი იდეა. „სხვისი შვილები“ პრემიებით აღინიშნა პორეტა ტერმას, თეირანის, ლონდონისა და ჰელსინკის საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

გუზინფინდელი საუბრიდან:

— დამეთანხმებით, თქვენ ნელა მუშაობა გჩვევიათ, ალბათ დიდხანს „ხარშავთ“ გონებაში მომავალ ნაწარმოებს...

— ჯერ არც ერთი შთამბეჭდავი ნაწარმოები არ შექმნილა ღრმა, საინტერესო აზრის გარეშე. ღრმა აზრს კი დიდი გრძნობა უნდა ახლდეს, მერე უკვე სათქმელიც გაქვს, რომელიც ფიქრსა და განსჯას მოითხოვს, უცებ ვერ იტყვი, ვაითუ, კარგად ვერ თქვა...

— „ყელსაბამი სატრფოსათვის“ თითქოს თქვენ სტილში „არ ზის“, რამ შთაგაგონათ ამ ფილმის გადაღება?

— გამოხატვის ახალ ფორმებს ვეძებდი. საინტერესო იყო, როგორ შეერთდებოდა ერთ ნაწარმოებში ექსცენტრიკა და პოეზია, ფილოსოფიური და ხალხური, პირობითობა და რეალიზმი...

* * *

ვის არ ახსოვს, რა ხმაურით შემოიჭრა ქართულ ლიტერატურაში ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, და აი, თენგიზ აბულაძე დაინტერესდა როგორ ამეტყველდებოდა კინოენაზე ეს ნაწარმოები. მოთხრობაში რეჟისორი მი-

იზიდა საოცარმა ადამიანურმა ურთიერთობებმა, ხალხურმა იუმორმა, დიდმა ჰუმანიზმმა.

გამოვიდა ფილმი და ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ აქცია თ. აბულაძემ ერთი ქართული სოფლის ამბავი მთელი ხალხის ამბად, ახალ ნაწარმოებში ისე ზუსტი იყო ხასიათები, ისე სისხლსავსე და მახვილგონივრული იყო იუმორის, ისე ბრწყინავდა მსახიობთა ანსამბლი, რომ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონმა“ „სხვისი შვილების“ „მტრებიც“ კი დაატყვევა. ეს წარმატება რა თქმა უნდა, ლიტერატურულმა პირველწყარომაც განაპირობა. აქ ძალუმად გამოჩნდა პოეტურ-ფილოსოფიური განზოგადების აბულაძისეული ტალანტი, შესაშური გრძნობა ჰარმონიულობისა.

ფილმი ბრატისლავის საერთაშორისო კინოფესტივალზე პირველი ხარისხის დიპლომით აღინიშნა.

საერთო აღიარებით, „ნატვრის ხე“ განსაკუთრებული მოვლენაა არა მარტო თ. აბულაძის შემოქმედებაში, არამედ მთელ სამამულო კინემატოგრაფიაშიც. რეჟისორთან სტუმრობისას მე ვნახე ამ ფილმისადმი მიძღვნილი, ოთხ ტომად დალაგებული გამოხმაურებანი, მოლოცვები, სურვილები... „ნატვრის ხისადმი“ ინტერესი დღესაც განუზომელია და მას წარმატებით უჩვენებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ბევრი საერთაშორისო პრემია მიიღო ფილმმა, მაგრამ მაინც განსაკუთრებული იყო იტალიის სახელმწიფო პრემია — დონატელოს „დავითი“ და, რა თქმა უნდა, შოთა რუსთაველის სახელობის პრემია, რომლითაც რეჟისორი და მისი „მარჯვენა ხელი“ — უნიჭიერესი ოპერატორი ლომერ ახვლედიანი დაჯილდოვდნენ 1979 წელს.

— გიორგი ლეონიძის პროზა ზოგს არაკინემატოგრაფიულად მიაჩნია, რატომ გადაწყვეტეთ მისი გადაღება?

— მე არ მიმაჩნია ასე. ამ წიგნში გამოკვეთილი კოლორიტული, ხორცსავსე, ჭეშმარიტად ხალხური ხასიათებია მოცემული, ყოველი პერსონაჟი პიროვნებაა, ხოლო პიროვნება და პიროვნული არის ფუძე და ძირი ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოებისა. „ნატვრის ხემ“ მომხიბლა აგრეთვე თავისი ადამიანურობით, სიკეთით, პოეტურობით...

ეს პოეტურობა რეჟისორმა ზედმიწევნით გადაიტანა ფილმში. მისი ყოველი კადრი საოცრად ფერწერულია. ახლა ადამიანები? უცნაური ადამიანები, ხასიათები, რომლებიც აგრერიგად ამთლიანებენ ორი უმწიკვლო არსების ტრაგიკული სიყვარულის ამბავს.

— საჭირო იყო, — ამბობს რეჟისორი, — ერთი „აზრობრივი ღერძის“ პოვნა, რომელზეც აისხმებოდა გიორგი ლეონიძის 21 ნოველა. შემოქმედებითი პროცესი ხომ ქაოსისაგან წესრიგის შექმნას, უფორმოსათვის ფორმის მიცემას ნიშნავს. და აქ დიდად დამეხმარა შესანიშნავი პროზაიკოსი რევაზ ინანიშვილი...

* * *

ფილმი გვიპყრობს აზრის სიღრმითა და სინათლით. აქ სიცილი და ცრემლი ერთმანეთს შენივეთებია, გროტესკი და ტრაგედია შეერთებულა და ერთ საგალობელს ამბობენ სი-

ლამაზის, სიწმინდის წარუვალობაზე. თ. აბულაძე „ნატვრის“ ხეში“ კიდევ ერთხელ მოგვევლინა ღრმად მოაზროვნე, მაძიებელ შემოქმედად.

გუზინფინდელი საუბრიდან:

— „ნატვრის ხის“ შექმნიდან კარგა ხანი გავიდა... ახლა რაზე მუშაობთ?

— ჩემს მომავალ ფილმს „მონანიება“ ერქმევა. და შეკრავს ტრილოგიას — „ვედრება“, „ნატვრის ხე“, ამავე ღროს დაასრულებს ფილმების ციკლს რწმენაზე. მაღალი მისწრაფებებისა და სპეტაკი იდეალების გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, თუ ადამიანს არ გააჩნია რწმენა სიკეთისა და მშვენიერებისა, იგი თავის სახეს კარგავს. მომავალი ფილმი იქმნება იმ მიზნით, რათა კიდევ ერთხელ მთელი სიღრმითა და სიგრძე-სიგანით (რასაკვირველია, ფილმის ავტორთა შესაძლებლობების ფარგლებში) აგრძნობინოს მაყურებელს, თუ რარიგ დამლუპველია მათთვის „ბილწთან ზავით შეკრა“, რარიგ აუცილებელია, დაულალავი გულითა და მკლავით ბოროტებასთან ბრძოლა.

მოუნანიებელი ცოდვის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი თემაა ჩვენი ფილმისა. ადამიანმა ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი ცოდვა უნდა მოინანიო, თორემ, როგორც ხალხი ამბობს, პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო. ეს ხალხური სიბრძნე ზუსტად გამოხატავს სცენარში არსებულ ვითარებას (სცენარის ავტორები ჩემთან ერთად არიან

ნანა ჯანელიძე და რევაზ კვესელავა), ფილმის ერთ-ერთი გმირი — ყმაწვილი თორნიკე ბაბუამისის (თანამდებობის პირი, რომელიც ბოროტად იყენებდა თავის უფლებებს) ნაჩუქარა თოფით იკლავს თავს: თითქოს ბაბუამ ესროლა საყვარელ შვილიშვილს.

* * *

სამოცი წლის ხელოვანი მთელი თავისი შემოქმედებით ერთხელ კიდევ გვეუბნება, თუ რა ურთულესი პროცესია ადამიანის სულის, გრძნობების ამოხსნა, ძიება ჭეშმარიტებისა... იგი ეძიებს, ესწრაფვის, ეჭიდება სიმალლეებს და იცის, რომ მუხლი არ უნდა ჩახაროს ახალ სივრცეთა აღმოსაჩენად.

1984 წ.

მრავალსახეობა მსახიობისა

სევდა ახლავს ამ წერილის დასაწყისს, სევდა და ნაღველი — ძნელად გასაყუჩებელი: ეროსი გავიხსენეთ, ჩვენი ეროსი. ბოლო როლზე საუბარმა გაგვახსენა — ეს როლი, მთავარი როლი კინომსახიობის თეატრის სპექტაკლში „ჩვენი პატარა ქალაქი“ მე კი არა, ეროსის უნდა ეთამაშაო, თვითონ შეარჩია პიესა და რეჟო გაბრიაძეს სთხოვა ქართულად ეთარგმნა. შეუსრულა დრამატურგმა თხოვნა, მაგრამ ვაი, რომ აღარ დასცალდა... სინანულით ამბობს ჩემი მასპინძელი.

მერე მაინც დადგამს რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი ამ პიესას. ეროსი მანჯგალაძის ხსოვნას მიუძღვნის და გიორგი გეგეჭკორს მიიწვევს იმ როლზე, რომლის თამაში ასე ეწადა მათ განუყრელ მეგობარსა და თანამოაზრეს.

ამ სპექტაკლის პრემიერით აღნიშნა კინომსახიობის თეატრის კოლექტივმა ეროსი მანჯგალაძის გარდაცვალების პირველი წლისთავი და უნებურად პრემიერა გიორგი გეგეჭკორის დაბადების სამოც წლისთავსაც დაემთხვა.

...დამთავრდა სპექტაკლი, ჭეშმარიტ ხელოვნებას ნაზიარები მაყურებელი წავიდ-წამოვიდა. ხოლო კულისებში, კიდევ ერთი წარმატებით ფრთაშესხმული ახალგაზრდობა ჭიქა შამპანურით ლოცავდა თავის დიდ ოსტატს მიხეილ თუმანიშვილს, ეროსი მანჯგალაძის ნათელ სახელს და სამოცი წლის

მსახიობს, რომელიც მათ შორის ადრე წასული მეგობრის გრიმ-კოსტიუმით იდგა.

* * *

მშვენიერ ფერტილოთა მნახველი უმაღლეს დარწმუნდება, რომ გეგეჰკორების ოჯახში თეატრალური ხელოვნების გარდა დიდ პატივს სცემენ სახვით ხელოვნებას. კედლებიდან ბევრი ცნობილი ქართველი მხატვრის ნამუშევარი მოგტაცებთ თვალს.

— ამათში ზოგი ჩვენი ყმაწვილისაა — გიორგი — უმცროსის... აი, მამამისი გლოსტერის როლში... სულ რამდენიმე მონასმით გააკეთა... სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, უჩა ჯათარძის მოწაფე...

— კარგი! ზოგიც მერე, ნათელა...

ნათელა გიორგი გეგეჰკორის მეუღლე, ცნობილი თეატრ-მცოდნე, პროფესორი ნათელა ურუშაძე გახლავთ. იგი, როგორც დრამატურგები იტყვიან, ერთ-ორჯერ შემოვა ხოლმე ჩვენს დიალოგში, თორემ, ისე, მეორე ოთახში მოისმენს იუბილარი მეუღლისა და ჟურნალისტის საუბარს.

...გარეგნობით, უზადო მეტყველებით, თამაშის ნატიფი მანერით, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი გეგეჰკორი ჩემთვის დღემდე რჩება კულტურული, ინტელიგენტური, გნებავთ, ელევანტური მსახიობის ნიმუშად. აბა, ერთი წამით გონების თვალი გადავხედავ მის მიერ შესრულებული უამრავი როლებიდან ზოგიერთს?.. მე მგონი, აუცილებლად უნდა დავსძინოთ კიდევ ერთიც — დიდი პროფესიონალი.

— თქვენ როგორ განსაზღვრავდით, ბატონო გიორგი, ამ ცნებას? — „მსახიობი — პროფესიონალი“.

— პროფესიონალი რომ მარტო დიპლომიანს არ ნიშნავს, ეს ფაქტია. პროფესიონალია ის, ვინც დილიდან ნაშუადღევამდე კინოკამერის წინ ქმნის რომელიმე სახეს, შემდეგ დროც აღარ რჩება დასასვენებლად და საღამოს თეატრის სცენაზე სრულიად სხვა როლს თამაშობს. თანაც, მთელი ენერგიით, რადგან მაყურებლის პატივისცემაც პროფესიონალიზმია, აგრეთვე ის, რომ თეატრმა, მსახიობებმა სიცოცხლის ხანგრძლივობა შეუნარჩუნოს ამა თუ იმ წარმოდგენას. მაგალითად „სამანიშვილის დედინაცვალი“ ათი წლის წინათ დაიდგა და დღესაც რეპერტუარშია...

მეჩალ სერგო კლდიაშვილის საუბრიდან:

„გეგეჭკორის გამოსვლა კამერტონივით არის და შესანიშნავია... მოხიბლული ვარ გოგი გეგეჭკორით... დავით კლდიაშვილი ნამდვილად გაიხარებდა, რომ მოესმინა მისი სიტყვა და დაენახა თავისი პერსონაჟები... ეს არის ნამდვილი კლდიაშვილი. ეს იყო საოცარი სევდანარევი იუმორი. ეს იყო ის, რისთვისაც წერდა დავითი“.

— რუსთაველის თეატრში სპექტაკლის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაგალითები სხვებიც გვაქვს... აი, „ბარათაშვილიც“ ხომ ათი წელიწადი გადიოდა...

— კი, ასე იყო... ბარათაშვილის სახე ჩემთვის ყოველთვის გამორჩეული იქნება იმ ოთხმოცზე მეტი როლიდან, რომლებიც რუსთაველის თეატრის სცენაზე ვითამაშე. უბედნიერესი დრო იყო, ოცდაექვსი წლისა ვიყავი (სწორედ ამ ხნისა გარდაიცვალა ბარათაშვილი), უკვე მქონდა თეატრში რამდენიმე როლი ნათამაშევი, მაგრამ ბარათაშვილი? ამ ტრაგიკული პო-

ეტ-ს ბედი რომელ ხელოვანს არ შეძრავს. ჰოდა, ახლად ფეხ-
ადგმული მსახიობი, მით უმეტეს, დიდი გამოცდის წინაშე
დგება. და თუ დღეს მიაჩნიათ, რომ გამოცდა წარმატებით ჩა-
ვაბარე, ამაში მიხეილ მრეველიშვილის პიესის და დამდგმელი
რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის დამსახურებაც არის.

— დიმიტრი ალექსიძე თქვენი პედაგოგი იყო, არა?

— დიახ, მე დიდი მადლობელი ვარ ქართული თეატრალუ-
რი ხელოვნების ამ შესანიშნავი მოღვაწისა. ინსტიტუტში
ბედნიერება მქონდა აგრეთვე შევხვედროდი გიორგი ტოვის-
ტონოგოვს — არაჩვეულებრივ პედაგოგსა და რეჟისორს. ამ
ორმა პიროვნებამ გზის დასაწყისშივე განსაზღვრა ჩემი თაო-
ბ-ის მსახიობთა მრწამსი, სტილი, მსოფლმხედველობა...

— თქვენი თაობა არა მარტო თეატრში, არამედ საერთოდ
გამორჩეულია და, შეიძლება ითქვას, დასაყრდენია დღევან-
დელი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისა...

— ეტყობა, დრომ, ხალხის, ქვეყნის გასაჭირმა განაპირობა
ყოველივე. ჩემი თაობა და ჩვენზე ოდნავ უფროსები, სამ-
შობლოს გადასარჩენად იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონ-
ტებზე და ჩვენ, შინ დარჩენილებს ყოველდღიური საგმირო
ამბებით გვასწავლიდნენ თავგანწირვას. იქ, უთანასწორო
ბრძოლებში დაღუპული ახლობელი თუ მეგობარი, თითქოს
გვიბარებდა თანატოლებს, რომ ნიჭი და შრომა არ დაგვეზოგა
სამშობლოს სასახლოდ, და ჩვენც, ასე მოვდიოდით და მივ-
დივართ. თანატოლების, ანდა წინაპრების სახელი და საქმე
აუგად და ჰაი-ჰარად არასდროს მოგვიხსენებია.

— იმ დროს სახელი ფასობდა ყველაზე მეტად! — შე-
მოდის და მეუღლის ნაუბარს „ამაგრებს“ ქალბატონი ნათე-

ლა — ერთმანეთი გვიანტერესებდა და ამან შექმნა კიდევ ქართული ფსიქოლოგიური, ანსამბლური თეატრი.

— და იცით, რა მომეწონა კინომსახიობის თეატრში? — განაგრძობს გიორგი გეგუკორი, — მე იქ დავინახე თანამოაზრეების ჯგუფი, რომლებიც ცდილობენ დიდ ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნან ახალი და უჩვეულო...

— ამას, თუ არ ვცდები, სხვაგანაც ცდილობენ.

— მეტ-ნაკლებად, ჩვენ გვყავს შესანიშნავი რეჟისორების მთელი ჯგუფი რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძის, გოგი ქავთარაძის, იური კაკულიას, მედეა კუჭუხიძის, ნანა ხატისკაცის და სხვათა სახით, მაგრამ უმრავლესობა ცდილობს თავისი რეჟისორული ხელწერა მოახვიოს თავს პიესის ავტორს. არ შეიძლება ერთი გასაღებით გავხსნათ ბრეჰტის, შექსპირის, ანდა, გნებავთ, თამაზ ჭილაძის დრამატურგია.

— ბატონო გიორგი, თქვენ წელან ბრძანეთ, რომ ოთხმოცზე მეტი როლი გითამაშიათ რუსთაველის თეატრის სცენაზე. ახლა, კინოფილმებსაც თუ მივათვლით...

— ამ დღეებში დავაზუსტე, თქვენმა კოლეგებმა დამაზუსტებინეს, კინოში ორმოცამდე როლი გამოვიდა...

— მე ვიცი, რომ თქვენ ერთ-ერთი „დატვირთული“ მსახიობი ხართ, თუმცა, ამ ხნის მანძილზე, მაინც გექნებოდათ გამორჩეული როლები?

— მართალი ბრძანდებით, სამუშაო არასოდეს მაკლდა, ბედმა გამიღიმა და ბევრჯერ შემახვედრა როგორც უცხოურ კლასიკურ დრამატურგიას, ასევე ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის გმირებს, საბჭოთა ავტორებს... რა თქმა უნდა ყველა როლს ერთნაირად ვერ მოიხრებ. და ისეთი შემთხვე-

ვებიც ხშირია, როცა მეორეხარისხოვანი როლისაგან შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღო. აი, ფილმში „მე ვხედავ მზეს“ სამხედრო მასწავლებლის ეპიზოდური როლი მქონდა თუ გახსოვთ, იგი დღესაც ბევრ მთავარ როლს მირჩევნია... რუსთაველის თეატრში ჩემთვის საეტაპო იყო გლუმოვის (ჩემი პირველი როლი ამ სახელგანთქმულ თეატრში), ბარათაშვილის, ბახვა ფულავას, დონ-სეზარის, ჰამლეტის, ექვთიმე ქათამაძის, მგლის... პლატონ სამანიშვილის როლები.

თეატრმცოდნე ნ. კრიშოვა, ზ. გეგეჰოროვი სპეციალ

„ჰინჯრაჰაში“:

„რა თქმა უნდა, ძნელია დაიჯერო, რომ მგელს თამაშობს გიორგი გეგეჰკორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე გამოდიოდა ჰამლეტის, გლოსტერის, ნიკოლოზ ბარათაშვილის როლებში“.

— რომელ რეჟისორებთან გიმუშავნიათ სიამოვნებით?

— დიმიტრი ალექსიძემ და გიორგი ტოვსტონოვოვმა ჩემი თაობა აზიარა ანსამბლურ თეატრს, გარდასახვის, თანაგანცდის თეატრს, მათთან მუშაობა ყოველთვის სასიამოვნო იყო. საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ ჩემი სასცენო მოღვაწეობის ორმოცი წლის მანძილზე უკეთეს შედეგს მაშინ ვაღწევდი, როცა თანამოაზრეები ერთად ვიყავით. ასეთი იყო მიხეილ თუმანიშვილი. სიამოვნებით ვიმუშავე რობერტ სტურუასთან ექიმ სტოკმანისა და პლატონ სამანიშვილის როლებზე. საერთოდ კი ბედნიერებაა, როდესაც რეჟისორი მსახიობის მუშეობით ხსნის თავის კონცეფციას.

— კიდევ რა არის თქვენთვის ბედნიერება?

— რა თქმა უნდა, როლზე მუშაობის პროცესი. როცა სხვა პიროვნების ცხოვრებით ცხოვრობ, წვალობ, იტანჯები, ნერვიულობ, მშობიარესავით ხარ, მაგრამ ეს დიდი ბედნიერებაა. ბედნიერი ვარ, როდესაც ჩვენი კლასიკოსების თუ დღევანდელი ქართული პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს ვკითხულობ რადიოთი ან ტელევიზიით, ბედნიერი ვიყავი, როდესაც ბარათაშვილი განვასახიერე, როდესაც მოსკოვში აკაკი ხორაგას შემოქმედებით საღამოზე დიდი მსახიობის გვერდით დავდექი და სახელდახელოდ მომზადებული იაგო ვითამაშე, ბედნიერი ვიყავი, როდესაც პლატონ სამანიშვილის ბოლო ფრაზები ვთქვი და მაყურებელმა გულთბილად მიიღო სპექტაკლი. ბედნიერი იყო ის დღეები, როდესაც რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძის გამარჯვების მოწმე ვიყავი შორეულ ინგლისში, ბედნიერება იყო ბოლო პრემიერა კინომსახიობის თეატრში და ახალ კოლექტივთან საერთო ენის გამონახვა. ანდა, ბედნიერება არ არის, როდესაც ხალხის სიყვარულს გრძნობ? ბევრი მოლოცვა მივიღე ამ დღეებში მაყურებლებისაგან. ეს ბედნიერებაა. ბედნიერებაა, როდესაც შენი ძვირფასი მასწავლებელი ღვაწლმოსილი პროფესორი გიგონებს... აი, ნახეთ...

„ძვირფასო გიორგი!

გილოცავთ დაბადების სამოც წლისთავს. თქვენი სასცენო შემოქმედება ქართული თეატრის სცენაზე, ძირფესვიანად დაკავშირებულია ქართული საბჭოთა მხატვრული კულტურის აღმავლობასთან. თქვენ მიერ რუსთაველის თეატრში შექმნილი სახეები წარმოადგენენ ქართული აქტიორული სკოლის საუკეთესო მონაპოვარს. ისინი აღბეჭდილი არიან ტრადიციის

ნოვატორულთან ოსტატური შერწყმით. თქვენ ბრძანდებით ერთ-ერთი მესვეური მსახიობთა ახალი თაობისა, რომელმაც გადაწყვეტი როლი შეასრულა რუსთაველის თეატრის წინათაობათა მიერ მოპოვებულის ათვისებასა და ახალ მოთხოვნათა საფუძველზე მის განვითარებაში. თქვენი სამაგალითო ოსტატობის მაღალი პროფესიული დონე, თეატრისადმი გულმხურვალე სიყვარული და მისთვის თავდადებული შემოქმედებითი შრომა, მგზნებარე მოქალაქეობრივი პოზიცია და გამორჩეული ინდივიდუალური არტიტული ხელწერა, საამაყო წარმომადგენლობას უწევს ქართულ სასცენო კულტურას შინ და გარეთ.

გისურვებთ, ძვირფასო გიორგი, კვლავაც ასეთი შემართებით და გულმხურვალეობით ხელოვნობდეთ ჩვენი მშობლიური სცენის სადიდებლად.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის თეატრის და კინოს ისტორიის და თეორიის კათედრის, სამეცნიერო-კვლევითი სექტორის სახელით დიმიტრი ჯანელიძე“.

ნათელა ურუშაძე შემოგვიერთდა.

— ქალბატონო ნათელა, არა მგონია, მსახიობისა და თეატრის კრიტიკოსის აზრები ხშირად ემთხვეოდეს ერთმანეთს. ხომ არ ცდილობენ ოჯახში „კრიტიკის“ ჩახშობას? თუ, ამ მხრივ, ყველაფერი რიგზეა...

— ჯერჯერობით — კი. პროფესიათა სიახლოვე საშუალებას გვაძლევს ერთმანეთი შევეამოწმოთ. მე პირადად ეს ტვირთი და უღელი ძალზე დამეხმარა, რომ უკეთ გავრკვეულიყავი მსახიობის შემოქმედების საკითხებში. საერთოდ, ჩვენი ოჯახი

თეატრით სუნთქავს და ეს ყველაფერს აადვილებს. მართა-
ლია, ვაჟი ფერმწერია. მაგრამ სცენოგრაფიამ გაიტაცა და უკ-
ვე გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი, ქალიშვილი ფსიქოლო-
გია ოლონდ ისიც მსახიობის ფსიქოლოგიაზე მუშაობს. ასე,
რომ, ჯერჯერობით ცხოვრება არ გვიჭირს. მეუღლეზე, აჰა,
რა უნდა გითხრათ, რამდენიმე სიტყვით გამოვხატავ მის პი-
როვნებას: იგი ოჯახისა და თავისი პროფესიის ფანატიკოსია.



გეგეჰკორების საძვალე მარტვილშია. ყოველი დაბადების
დღეს, იმ დროს, როდესაც, აჰა, უნდა შემობრიალდეს მკერდ-
სავსე გაწაფხული, მსახიობი კიდევ ერთხელ მიუაღერსებს
ოთახის ერთ კედელზე ჩარჩოებულ უძვირფასეს სურათებს.
ეს ბაბუაა — მარტვილის ბოლო დეკანოზი, ეს — მამა, პოე-
ტი და ხალხური მუსიკის მოამაგე ლადო გეგეჰკორი, ესეც
ძმა — ცნობილი მსახიობი მერაბ გეგეჰკორი... მიუაღერსებს
და მარტვილის სანახების მიმოვლა მოუნდება. ისე, როგორც
ადრე, ყმაწვილკაცობის უამს. თითქოს იმ თავწყაროს, იმ
ძირფესვის შემოწმება უნდა, საიდანაც გეგეჰკორთა ცნობილი
გვარი დღემდე მოსულა.

მერე ინახულებს მამაპაპეულს, გულს მოიოხებს და რწმუნ-
დება, რომ თავწყაროს დაშრობა არ უწერია და ფესვებიდან
ამოყრილ ტოტებზეც ჯანსაღი ყლორტებია.

1983 წ.

„მამ, კიდევ ერთხელ გამიზავხულდი!“

— აი, კაცი — გაუტეხელი. თავისი ცხოვრების მანძილზე სიხარულიც ბევრი უნახავს და სიკეთეც, მაგრამ ძირმწარეც ბევრი აგემა მუხთალმა წუთისოფელმა... მაინც მხნედ ზვდება სამოცდამეთხუთმეტე გაზაფხულს კარლო კალაძე — მსცოვანი ქართველი პოეტი.

— ბედს არ უნდა შეურიგდე, უნდა ერკინო ცხოვრებას, აი, რატომ არის ჩემთვის უსაყვარლესი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, მისი მრწამსი, მისი სინათლე... ბევრი რამ გადავიტანე, პოეზია მაინც დარჩა ცხოვრების მიზნად. აი, ნახეთ სრულიად ახალი ლექსი, ჩემს ამ დღეებში გამოსულ ორტომეულში რომ შევიტანე: „ვილიმი, თუნდაც ატყდეს კამათი, მჯერა ფიც-ვერცხლი კვლავაც ამისა: ვიტყვი, მე ვარ და ჩემი ნაბადი, გამთენებელი ბნელი ღამისა! ცის ელვამ ციხის ქვა ჩაარღვია, გაცვდა ფარ-ხმალი, გაცვდა ჩაფხუტი — დღეო, სიცოცხლეც ხომ ამას ჰქვია — მამ, ერთხელ კიდევ გამიზავხულდი!“

...პოეტის სამუშაო ოთახის კედლებს ამშვენებს ლაღო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის, ლევან ცუცქირიძისა და თენგიზ შირზაშვილის, რობერტ სტურუას და ვახტანგ ონიანის ფერწერული ტილოები, ირაკლი ოჩიაურისა და კობა გურულის ოქრომჭედლობა, და, რაღა თქმა უნდა, უძვირფასესი გან-

ძეული — მეუღლე თამარ აბაკელიას და ვაჟიშვილის — ადრე წასული ნიჭიერი მოქანდაკის გულდა კალაძის ნამუშევრები.

— გამიგია, თქვენც არ ხატავდით ურიგოდ, ბატონო კარლო...

— მე მოყვარული დავრჩი ბოლომდე. კი, ვხატავდი, მაგრამ, როგორც ყოველ საქმეში, მხატვრობაშიც პროფესიონალიზმია საჭირო, ისე, სხვათა შორის, რას გახდები. მე მაინც პოეზიას გავყევი...

ღედა ყოფილა ლექსისა და სიმღერის მოყვარული, პირველი მუშა-ქალი სამტრედიის ძაფსალები ფაბრიკისა. შვილთან ერთად შეუხსწავლია ანბანი და შემდეგ წერილებს აგზავნიებდა შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებულ მეუღლესთან. თანდათან ბარათები ლექსებად დაუწერია შვილს მამისტვის და ასე მინდობია ქართული სიტყვის ძალასა და სილამაზეს...

— მამაჩემი რაედენ კალაძე პროფესიონალი რევოლუციონერი და საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტი იყო, ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ გამოჩენილ ადამიანებთან, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას რომ სწირავდნენ თავს. ალბათ, საინტერესო იქნება თქვენთვის: გაზეთ „კომუნისტის“ დაარსებისთანავე მამაჩემი მისი სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო, აქტიურად მონაწილეობდა სარედაქციო საქმიანობაში. მან დაუბეჭდა პირველი ნაწარმოებები ბევრ, შემდეგ უკვე სახელმონხვეჭილ მწერალს.

— თუ არ ვცდები, მგონი, თქვენც, არა?

— არა, მამას არ დაუბეჭდია, მამია ორახელაშვილმა და-

ბეჭდა 23 ივნისის ნომერში. დღესაც საამაყოდ მაქვს, რომ ქართველ პოეტთაგან ერთ-ერთი პირველი, მე დავიბეჭდე „კომუნისტში“.

შემდეგ უკვე ხშირად ვიბეჭდებოდი „ახალგაზრდა ლენინელში“, „სპარტაკში“. გავბედე და პოემაც დავწერე „ოცდარი ათასი“ — კომკავშირელთა საქმიანობას ეძღვნებოდა.

**ამონაწერი სსრ კავშირის მხარაღთა კავშირისა და ქართული
ლიბრატორის საგზოს მისალმებიდან:**

— ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თქვენი მგზნებარე ხმა, ხმა პოეტი-მოქალაქისა, ინტერნაციონალისტისა ახარებს თქვენი ნიჭის ქეშმარიტ თაყვანისმცემლებს და მათ გულში სამშობლოსა და ხალხის სიყვარულის მაღალ გრძნობებს აღვიძებს.

თქვენ რევოლუციონერ-ბოლშევიკურ ოჯახში აღიზარდეთ და კიდევაც აამღერეთ მისი დიდებული ტრადიციები ლექსებში, პოემა „მამაში“, რომელიც შესანიშნავად თარგმნა რუსულ ენაზე თქვენმა მეგობარმა კ. სიმონოვმა. თქვენს ნაწარმოებებს სიყვარულით თარგმნიდნენ მხატვრული სიტყვის ოსტატები ნ. ტიხონოვი, ბ. პასტერნაკი, ნ. ზაბოლოცკი, პ. ანტოკოლსკი და სხვები.

**ინტარპიუდან, რომელიც თბილისში უკანასკნელად ყოფნის
დროს ჩამოვართვით კონსტანტინე სიმონოვს და უამღებ
ალარ დაგაფილია:**

— კარლო კალაძის პოეზიაში ძალუმად იგრძნობა მშობლიური ენის სიყვარული, ჩვენი დღეების მჩქეფარება. ეს

არის ფიქრები ადამიანისა, თავისი ხალხის ფიქრებს რომ გა-
დანასკვია, აუმღერებია მისი წარსული, მისი დღევანდლობა
და მომავლის დიდი იმედით ავსებულა. ნაწარმოებში ხომ ავ-
ტორი იგრძნობა უპირველესად, ლექსების უმრავლესობა სა-
ოცრად „ამხელს“ კარლო კალაძეს და მას წარმოგვიდგენს სი-
ცოცხლისა და მეგობრობის მოყვარულს, შუბლგახსნილსა და
ომახიანს...

— ბატონო კარლო, თქვენ რამდენიმე ცნობილი დრამა-
ტული ნაწარმოების ავტორიც ბრძანდებით...

— დიახ, რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებში
სხვადასხვა დროს ჩემი შვიდი პიესა დაიდგა. ესენი იყო „რო-
გორ“, „ხატიჯე“, „სახლი მტკვრის პირას“ და ა. შ. ხომ წარ-
მოგიდგენათ: 18-19 წლის ყმაწვილი თეატრის დირექტორად
წამიყვანა კოტე მარჯანიშვილმა... ეჰ, რა დღეები იყო!..

კარლო კალაძის ბევრი ლექსი სიმღერად იქცა, ხალხმა შე-
იყვარა შრომისა თუ ღვინის ემს.

— არ დავფარავ, მიხარია, რომ ზოგიერთი ჩემი ლირიკული
ლექსი პოპულარულ სიმღერად იქცა. ეჭვს და წუხილს ღიმი-
ლი მინდა მოერიოს — თავადებული როდი დავდიოდი ჩემს
მიწა-წყალზე, დროისა და ხალხის ნაკვალევს მეც ვამჩნევდი,
მეც ვხატავდი, და ჩემი საქართველოც თუ იგივეა, რაც ჩემი
დროის დიდი სინამდვილე — და თუ ამ ქართულს თავისი
ხვედრითი ძალა აქვს, — რაღაცნაირად საკუთარი სიცოცხლე
და სიყვარულიც დამიხატავს... რადგან ყოველი მხატვრული
ნაწარმოები რაგინდ ეპიკური თხრობისათვის იყოს განზომი-
ლი — მაინც ლირიკაა...

— საინტერესოა თქვენი აზრი ქართულ სიმღერაზე...

— აბა, ვინ არ ეთაყვანება მის ჰარმონიასა და პოლიფონიას, და მაინც გამორჩევით მიყვარს ნიკო სულხანიშვილი, მისი „გუთნური“, „სამშობლო ხევსურისა“, „დაიგვიანეს“... ამ სიმღერებში ყველაფერია გამხელ-ილი: ტკივილიცა და სიხარულიც; ვაჟკაცობაცა და იმედიც...

* * *

მისი პირველი წიგნი 1926 წელს გამოსულა. შემდეგ, ცხოვრების ყოველ ახალ წელიწადს, თითქმის ყოველთვის, ახალი წიგნით აღნიშნავდა. პირველი დიდი აღიარება კარლო კალაძის ფერეიდნელი ქართველებისადმი მიძღვნილმა ლექსმა და პოემამ „უჩარდიონმა“ მოუტანა. ეს იყო პოეტის პირველი ცდა ცხოვრებაში ღრმად შეჭრისა.

კარლო კალაძის შემოქმედებაზე საუბრისას ყოველთვის გამოჰყოფენ „მთების ეპოსს“ — ოთხნაწილიან სიმფონიური ხასიათის პოემას და „ხერთვისის განთიადებს“, რომელშიც ჩვენი ისტორია ისევეა ნაგულისხმევი ერის მაცოცხლებელ ენერგიად, როგორც თვით დღევანდელი ცხოვრების სიანლე. უფრო გვიან კი აუცილებლად უნდა ვახსენოთ „ჩემი დღისა და ღამის წიგნი“ — მშვენიერი ლექსებითა და პოემებით.

* * *

ხალხის მსახური ყოველ დაბადების დღეზე, ბუნებრივია, ჯერ განვლილი ცხოვრების გზას ვახედავს და იმაზე დაფიქრდება, თუ რა შემატა თავისი არსებობით სოფელ-ქვეყანას, რა

ტვირთი აიტანა აღმართზე, პოეტისათვის ასეთი დღეები ხვალინდელზე ფიქრი, უკეთესის შექმნის სურვილი იყო. ასეა სამოცდამეთხუთმეტე გაზაფხულზეც: „თოვლი მოსულა? — ვიმეორებ და უნებურად ვშიშობ არ მითხრან: დათოვლილა, დაბერებულა! გავყუჩდები და იმედიც მაქვს ამა გულისა — თოვლქვეშ ყოველთვის სიჩუმეა გაზაფხულისა“...

1982 წ.

კინოოპიქტივით ნაწერები წარსული და ანაყო

ზაფხული მაინც ზაფხულია, შვებულებების, სულის მოთქმის დროა. ამიტომ მკითხველიც შეამჩნევდა, ზაფხული „კომუნისტის“ „სასტუმროსაც“ დაეტყო.

და აი, შემოდგომის დასაწყისის პირველი სტუმარი გახლავთ ცნობილი კინოოპერატორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ირაკლი ონოფრიშვილი.

...იგი თბილისელი კაცია — ვერისუბნელი, ძვალრბილში აქვს გამჭდარი მშობლიური ქალაქის სიყვარული და ამ სიყვარულს მთელ საქართველოს, მის დიდებულ წარსულსა და დღევანდლობას უნაწილებს, რაც მთავარია, იგი საქმით, შემოქმედებით ამტკიცებს სამშობლოს სიყვარულს.

ვისაც ირაკლი ონოფრიშვილის ოპერატორული ნამუშევრები „ძველი ქართული საგალობლები“ (რეჟისორი ს. ჩხაიძე) „შორია გურჯისტანამდე“, „წმინდა ათონის მათიანე“, „ტაოკლარჯეთი“ (რეჟისორი — გ. პატარაია) უნახავს, დამერწმუნება, თუ რა სიყვარულია ჩაქსოვილი ყოველ კადრში, რა თავისებურად არის დანახული მიზანსცენა თუ პეიზაჟი. და ყველაფერი სადად, შეულამაზებლად...

იქნებ ბედმა გაუღიმა კიდევ ირაკლი ონოფრიშვილს, რომ მის შემოქმედებაში ასე „შემოჭრილიყო“ პატრიოტული მო-

ტივი? არც მთლად ასე ყოფილა, ამ ნიჭიერი ოპერატორის პიროვნებასა და ცხოვრების წესს რომ ვიცნობთ, ერთი წუთითაც არ გვეეჭვება: სწორედ მას უნდა რგებოდა წილად ბედნიერება ფეხით დაეგლო ჩვენი უწმინდესი ადგილები, მოფერებოდა უძველეს ქართულ წარწერებსა თუ ფოლიანტებს, მონასტრებსა თუ ციხე-კოშკებს და თანაც დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის ფირზე ალებეჭდა ერის უკვდავების მლალადებელი კადრები.

ამის გაკეთება კი უცხო მიწაზე, დამეთანხმებით, არცთუ ადვილი საქმეა.

ირაკლი ონოფრიშვილის პორტრეტის სრულყოფისათვის ჩვენ აქ ერთ-ორ პიროვნებას მოვიხმობთ, ადამიანებს, რომლებთანაც ოპერატორს ახლო მეგობრული, შემოქმედებითა ურთიერთობა აკავშირებს.

პროფესორ ალექსანდრე ალექსიძის ნაუბარი:

—ირაკლი ონოფრიშვილს დაეუახლოვდი ჩვენი ერთობლივი მუშაობის დროს, გურამ პატარაიასთან ერთად, დოკუმენტურ ფილმზე ათონის მთის ქართულ სიძველეთა შესახებ. მოხდა ისე, რომ ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფიდან პირველმა ათონზე ასვლა და მისი დღევანდელი ვითარების შესახებ სიტყვიერი და კინემატოგრაფიული ინფორმაციის ჩამოტანა ირაკლი ონოფრიშვილმა შეძლო. არასოდეს დამავიწყდება მისი მონათხრობი პირველი შთაბეჭდილებისა და განცდის შესახებ, როდესაც იგი მღელვარებით შეპყრობილი იდგა, მარტო, ივერთა ლავრის წინ და მოკრძალებით ეხებოდა მის გალავანს. შეიძლება ითქვას, ეს იყო ისტორიული ხელისშეხება,

რომელიც მოასწავებდა ჩვენი კულტურის ამ უდიდეს კერასთან მრავალი წლის გაწყვეტილი კავშირის განახლებას. ეს ეპიზოდი ალბათ იმიტომაც არის შთამბეჭდავი, რომ ირაკლის, როგორც ნამდვილ ქართველს სულითა და იერით, განსაკუთრებით შვენიოდა ეს სიმბოლური როლი.

ის, რაც გააკეთა ირაკლი ონოფრიშვილმა ათონზე (და არა მხოლოდ ათონზე) ქართული ისტორიული რელიკვიების გამოვლენისა და ფიქსაციის მხრივ, ჭეშმარიტად ფასდაუდებელია ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ათონის რთულ და ძნელად შესაღწევ სამყაროში პატარაიამ და ონოფრიშვილმა შეუძლებელი შეძლეს.

შემდგომ მე ყურადღებით ვადევნებდი თვალს ირაკლის შემოქმედებას, რომელმაც განსაკუთრებით მოგვცხიბლა „თუმ მეცხვარეში“. მის საოპერატორო ხელოვნებაში მომწონს ის, რომ ირაკლის კამერა არ ცდილობს გააკვირვოს მაყურებელი მოულოდნელი რაკურსებით და ეფექტური კომპოზიციებით, არამედ ძალდაუტანებლად მიჰყვება პეიზაჟის „ლოგიკას“, მის ხაზებსა და ფერებს, სიფაქიზითა და სიყვარულით აღბეჭდავს მშობლიური ბუნების სიმდიდრეს, რაშიც მშვენივრადაა შერწყმული პროფესიული და პატრიოტული თვალთახედვა.

* * *

— ერთგან წავიკითხე: თითქოს თქვენ ოპერატორის პროფესიული განათლება არ გქონდეთ...

— სწორია. მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინს-

ტიტუტში ვცადე შესვლა, მაგრამ არ გამომივიდა... საერთოდ, ფოტოგრაფია მიყვარდა და იმან შემაყვარა კინოკამერაც... ავდექი და კინოსტუდიაში დავიწყე მუშაობა ოპერატორის ასისტენტად. პარალელურად ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი უნივერსიტეტში. მერე ჯარში გამიწვიეს, ავტომატთან ერთად ფოტოაპარატიც მეკიდა მხარზე და სამხედრო გაზეთში ხშირად ვბეჭდავდი სურათებს. ჯარიდან ჩამოვედი და ისევ კინოსტუდიას მივაკითხე. ბედმა გამიღიმა, ჩვენს ცნობილ კინოოპერატორებთან ლევ სუხოვთან, გიორგი ჭელიძესთან, დუდარ მარგიევთან, ლევან პაატაშვილთან მომიწია მუშაობა. ახლა რეჟისორებს არ იკითხავთ? მიხეილ ჭიაურელი, რევაზ ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე... ასე გავიწაფე და მოგვიანებით, ტელეფილმების სტუდია რომ შეიქმნა, იქ გადავედი... ახლაც აქა ვარ...

— ესე იგი, ძირითადად ტელეფილმებიდან იწყება თქვენი შემოქმედება?

— კი, მაგრამ იცით? დღესაც მიყვარს „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „გენერალი და ზიზილები“, „ჩვენი ეზო“, „მაია წყნეთელი“, „განძი“, „სხვისი შვილები“... მართალია ამ ფილმებზე თითქოს „შავ მუშად“ ვიყავი, მაგრამ ტიტრებზე ხომ აწერია: „ოპერატორის ასისტენტი ი. ონოფრიშვილი“... ესეც არ იყოს, თუკი რამე ვისწავლე და შევიძინე, დღესაც რომ მარგია, სულ იმ „კიტებისგან“ მაქვს ნასწავლი...

— შეძენით კი, ბევრს შეიძენს მასწავლებლისგან მონდომებული შეგირდი, მაგრამ ბუნებით მომადლებული მაინც რა მთავარი თვისება უნდა ჰქონდეს ოპერატორს?

— ოპერატორი მხატვარი უნდა იყოს, კომპოზიციას ვერა-
ვინ გასწავლის თუ თვითონ ვერ გრძნობ საიდან, როგორ ჯო-
ბია აპარატის მართვა... სინათლე უნდა იცოდეს ზედმიწევნით,
როდესაც ინტერიერში ან პავილიონში შედის...

— როგორი ფილმის გადაღება უფრო „ეადვილება“ ოპე-
რატორს, მხატვრულისა თუ დოკუმენტურის?

— ადვილი არც ერთი არ არის... ისე, მხატვრულში მაინც
წინასწარ იცი, რას იღებ, დოკუმენტურში კი ხშირად დამოუ-
კიდებლად უნდა გადაწყვიტო, ეს კი რთული საქმეა...

— ჩემი აზრით, ოპერატორი დამდგმელი რეჟისორის მარჯ-
ვენა ხელი უნდა იყოს...

— სწორი ბრძანდებით. ასეც არის. ოპერატორი ხომ კინო-
აპარატით ადევნებს თვალს ყველაფერს, ამიტომ უპირველე-
სად მან უნდა უთხრას რეჟისორს, რომელი კადრია მოსაწონი,
რამდენად სწორად, ბუნებრივად შევიდა მსახიობი სცენაში,
და კიდევ ბევრი სხვა...

კინორეჟისორ სოსო ჩხაიძის ნაუბარი:

— ჩვენ უკვე რამდენიმე ფილმზე მოგვიწია ერთად მუშაო-
ბა... მოგეხსენებათ, რეჟისორისა და ოპერატორის ურთიერთ-
თანამშრომლობა უშუალოდ ფილმის გადაღებისას აქტიურ-
დება. გადაღების დროს მეც და ირაკლისაც ხშირად მოგვწო-
ნებია პირველივე დუბლი, მაგრამ იძულებული ვხდებით გა-
დავილოთ კიდევ რამდენიმე სარეზერვო, ვინაიდან არა გვაქვს
იმ კინოტექნიკისა და ფირის იმედი, რომელიც ჩვენს ხელთაა.
არც ჩვენი კინობიექტივები იძლევა მცირე განათებით გადა-
ღების საშუალებას, ამიტომ იძულებული ვართ მცირე მოცუ-

ლობის ინტერიერებში შევიტანოთ უზარმაზარი განათების აპარატურა, რაც უდავოდ ართულებს ბუნებრივი გადაღების ეფექტის მიღწევას. აი, ასეთ მძიმე პირობებში ირაკლი ონოფრიშვილი აღწევს მაღალმხატვრულ შედეგს. ჩემი აზრით, დიდი გმირობაა, მუშაობდე ასეთ ვითარებაში და საერთაშორისო ფესტივალებზე იღებდე პრიზებს ფილმის საუკეთესო სახვითი გადაწყვეტისათვის. ეს უდავოდ მეტყველებს ირაკლი ონოფრიშვილის მაღალ ნიჭიერებაზე, პროფესიონალიზმსა და, რაც მთავარია, საქმისათვის თავდადებაზე.

* * *

ჩვენ ჯერჯერობით არაფერი გვითქვამს ირაკლი ონოფრიშვილის მიერ გადაღებულ სატელევიზიო მხატვრულ ფილმებზე. მაყურებელმა დიდი სიამოვნებით ნახა „უსახელო უფლისციხელი“ (რეჟისორი — კ. ლლონტი), „რეკორდი“, „კუჩხი ბედინერი“ (რეჟისორი — გ. პატარაია); „ლაზარე“ (რეჟისორი — ბ. ხოტივარი). თქვენ გახსოვთ ამ ფილმების ფერწერული საერთო თუ მსხვილი ხედები, კოლორიტის აღქმა. ამ ნაწარმოებებში მკვეთრად გამოჩნდა ირაკლი ონოფრიშვილი, როგორც ქართული საოპერატორო სკოლის თვალსაჩინო ოსტატი.

აქ საგანგებო აღნიშვნის ღირსია „თუში მეცხვარე“ (რეჟისორი ს. ჩხაიძე), მოგეხსენებათ, ამ ფილმში არაპროფესიონალი მსახიობები — ძირითადად მეცხვარეები მონაწილეობდნენ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სირთულეს უქმნიდა ექსამბავი რეჟისორსა და ოპერატორს — ეკრანზე ხომ ზედმი-

წევნით ჩანს ერთი ყალბი მოძრაობაც კი, საბედნიეროდ ყველაფერი კარგად გამოვიდა და ეს ფილმი სწორედ უშუალობით, საოცარი ბუნებრიობით იქცევს ჩვენს ყურადღებას.

„თუშმა მეცხვარემ“ უდიდესი სიხარული — რუსთაველის სახელობის პრემია მოუტანა ირაკლი ონოფრიშვილს. 1981 წელს პრალაში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო სატელევიზიო კინოფესტივალზე კი აღნიშნული ფილმი დაჯილდოვდა ერთ-ერთი მთავარი პრიზით: „კინოოპერატორის საუკეთესო ნამუშევრისათვის“.

სოსო ჩხაიძისა და ირაკლი ონოფრიშვილის თანამშრომლობა გრძელდება. მაყურებელი მალე ნახავს მათ ახალ ნამუშევარს — შვიდსერიან სატელევიზიო მხატვრულ ფილმს.

...სულ მალე კი ირაკლი ონოფრიშვილი რეჟისორ კარლო ლლონტთან ერთად საბერძნეთში, ხიოსის კუნძულზე გაემგზავრება და გააგრძელებს დოკუმენტურ ფილმზე მუშაობას, ქართულ სიძველეთა ფირზე აღბეჭდვას.

...სწორედ კარლო ლლონტმა გაგვაგებინა — ორმოცდაათი წლისა ხდება და, მე მგონია, ღირსია ერთი-ორი სიტყვით აღვნიშნოთ ეს თარიღიო.

რა თქმა უნდა — ღირსია. ღირსია კაცურად გავლილი ცხოვრებისათვის, ღვაწლისათვის ქართული კულტურის, კინოხელოვნების წინაშე.

1985 წ.

შენს პირს შაქარი!..

სად იყო ტელევიზორი და ათასგვარი ინფორმაციით ფუფუნება, ხანდახან, სოფლის ცენტრში, ასწლოვან მუხაზე მიმაგრებულ ვეებერთელა რეპროდუქტორით იგებდა სოფელი ქვეყნის ჭირსა და ლხინს. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში კი, როდესაც ირგვლივ ელექტო და რადიოხაზები დაქსელეს, ერთი ზარ-ზეიმი იდგა ჩვენებურ ოდა-სახლებში.

გამეფდა რადიო...

მაინც რა მაგიური ძალა ჰქონდა იმ დალოცვილს, როგორ გვიზიდავდნენ „მოლაპარაკე ყუთისკენ“ ჩვენი „უცნობი ნაცნობები“ ეროსი მანჯგალაძე და დავით ძიგუა, თამარ ლეჟავა და ქეთევან ლანდია,..

გავიდა დრო, ამ ძვირფასი სახელებიდან ქეთევან ლანდია შემოგვრჩა რესპუბლიკის რადიომაუწყებლობის ცოცხალ მატრიანედ.

— რადიოკომიტეტი მაშინ ხომ რუსთაველზე იყო, ქალბატონო ქეთევან?

— არა, რუსთაველზე მოგვიანებით გადმოვედით. კიროვის ქუჩაზე, ბანკის შენობის მოპირდაპირე სახლში დაიწყო არსებობა საქართველოს რადიომ, სამი პატარა სტუდია იყო სულ მთელი მისი ავლადიდება. რა თქმა უნდა, არც ეს იყო, ახლა

რომ წინასწარ ვწერთ ხოლმე გადაცემებს და შეცდომებისაგან დაზღვეულები ვართ... პირდაპირ ეთერში გავდიოდით...

— ეს პროფესია შემთხვევით აირჩიეთ, თუ...

— არ გაგიკვირდეთ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საგზაო-სამშენებლო ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ოღონდ ხელოვნება ძალიან მიყვარდა. ამის გამო ერთხანს მუშა-ახალგაზრდობის თეატრის სპექტაკლებშიც ვმონაწილეობდი. მხატვრული მეტყველების შესანიშნავი პედაგოგი შემხვდა იქ — ნიკო შიუკაშვილი. ამ პიროვნებამ დიდად შეუწყო ხელი ჩემი მეტყველების კულტურის დახვეწას. საერთოდ, ბავშვობიდან მიტაცებდა მხატვრული კითხვა. რა დამავიწყებს იმ დღეს, ჯერ კიდევ სრულიად პატარამ უშანგი ჩხეიძეს რომ მოვუსმინე. ოჰ, როგორ კითხულობდა ვალერიან გაფრინდაშვილის „რიონს“... „დაუდგრომელო, მე ისევ მინდა, ვნახო უკვდავი შენი თარეში, ვიგემო შენი ძახილი წმინდა, რომ გამოვფხიზლდე თვით სამარეში“.

ერთ დღეს ინსტიტუტში ამხანაგმა მითხრა, დიქტორების კონკურსია გამოცხადებული და მონაწილეობა მიიღეო. მეც მივედი რადიოკომიტეტში. სამნი მცდიდნენ — უკვე ცნობილი დიქტორები, შესანიშნავი ადამიანები—ალექსანდრე ცერცვაძე, ვახტანგ ჭაფარიძე და ვახტანგ ძამაშვილი. მომისმინეს და ბოლოს მითხრეს, თუ ივლი, საგამოცდო ვადით მიგიღებთო. მეც, აი, ასე დავიწყე...

— 1932 წელს, არა?

— დიახ!



ამ გრძელ გზაზე სიხარულის წუთები მეტი იყო. მეტი იყო ისეთი ამბები, როცა ერთი სული გაქვს, სანამ შენს ხალხს აუწყებდე. იყო შეხვედრები და ურთიერთობანი ცნობილ მსახიობებთან, ეს კი ცოდნის ჰორიზონტს აფართოვებდა, იხვეწებოდა გემოვნება. იყო ომის მძიმე წლები...

— ქალბატონო ქეთევან, ვის დაევალა საინფორმაციო ცნობის წაკითხვა?

— დავით ძიგუას. უნდა გენახათ, რა დღეში იყო, სამაგიეროდ, სულ სხვაგვარად ეღერდა მისი ხმა 1945 წლის 9 მაისს. დაუვიწყარია ის ოთხი წელი. დღე-ღამეს ვასწორებდით. ზურგში დარჩენილთათვის ხომ რადიო იყო მაშინ ყველაფერი, და ჩვენც გამარჯვების იმედი, რწმენა უნდა ჩაგვენერგა... სასოწარკვეთა არ შეიძლებოდა... ეპ, ძნელია გასახსენებლად... ალექსანდრე ცერცვაძე, საცოდავი, მონხალისედ წავიდა ფრონტზე და აღარც დაბრუნებულა... და ასე რამდენი...



ასეთი ხმა დედებს აქვთ — თბილი, მოალერსე... რასაც უნდა კითხულობდეს, პროზისა თუ პოეზიის ნიმუშებს, პუბლიცისტურ სტატიებს თუ რადიონარკვევებს, ქეთევან ლანდია ყოველთვის შესაშურ კონტაქტს ამყარებს მსმენელთან, და გრძნობ, რომ ეს არ არის მარტო წლებისა და გამოცდილების შედეგი. დიდი პროფესიონალი ვერ გახდები, თუ ფანატიკურად არ გიყვარს შენი საქმე. ქეთევან ლანდია ამითაც

სამაგალითოა ახალგაზრდა კოლეგებისათვის, დღესაც—სამოცდაათს გადაცილებული. რადიოდიქტორობა გაცილებით რთული საქმეა ტელევიზიასთან შედარებით, აქ საჭიროა ტექსტის სრული გათავისება, ნიუანსებში წვდომა, შთაგონება, რომ ნაკლებ საინტერესო მასალაც კი მიმზიდველი გახადო მსმენელისათვის. ამ თვისებების გამო შეიყვარა ქეთევან ლანდია მილიონობით მსმენელმა.

— მაინც როგორი ხასიათის ტექსტის კითხვა უფრო გიყვართ, ქალბატონო ქეთევან?

— რა ჯობს მხატვრულ ნაწარმოებს. ამ დროს დიქტორი სრულად ავლენს თავის მსახიობურ შესაძლებლობებს, მაგრამ ჩვენი პროფესია მაინც პუბლიცისტური მასალის კითხვით ფასდება. წარმოიდგინეთ, ჩემი სტიქიაც ეს არის...

ბევრს ჰგონია, რომ ომის მძვინვარე წლებს გაჰყვა რადიოს პოპულარობაც, მაგრამ, ჩემი აზრით, დღესაც, ფერადი ტელევიზორების ეპოქაშიც დიდია მისი ზეგავლენის ძალა.

სტალინური რადიოგმენელის წერილიდან:

— მე საქართველოს რადიოს მუდმივი მსმენელი ვარ—მწოლიარე ავადმყოფი. „დილის ტალღის“ გადაცემაში პროგრამების დირექტორმა მედღე გეგეშიძემ გვამცნო თქვენი იუბილეს ამბავი. ფეხზე რომ ვმდგარიყავი, მოგნახავდით, ყვავილებს მოგართმევდით და თავს დავხრიდი თქვენი ქალური გულისა და დიდი ნიჭის წინაშე. მადლობას გეტყოდით ყველა მსმენელის მაგივრად. დაე, თქვენი ქალური კდემამოსილება სამაგალითო ყოფილიყოს ყველა თქვენი კოლეგა ქალებისათვის. იხარეთ და იბედნიერეთ...

— ქალბატონო ქეთევან, თქვენი საქმე ისეთია, კურიოზებიც შეგემთხვეოდათ ამ ხნის მანძილზე.

— იყო, რა თქმა უნდა, დღევანდელ პირობებში თითქმის გამორიცხულია მოულოდნელობანი, ადრე კი უფრო იყო... აი, ერთხელ ასეთი რამ გადამხდა: მაშინ სტუდიაში შესვლისას ჩვენ თვითონ ვრთავდით მიკროფონს. გადაცემა სადაცაა უნდა დაწყებულიყო. მეც შევედი სტუდიაში და გამომშვებს გავძახე: „მელანო, ჩავრთო?“... რა ვიცოდი, თურმე დავით ძიგუას უკვე ჩართული აქვს მიკროფონი და ჩემი ეს წამოძახილი მთელ საქართველოს მოედო... რას ვიზამდი, გავშრი... ანტონ კელენჯერიძემ — კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ მისებურად დამიყვავა, ღიმილით მითხრა: ერთი საქმე კარგი გააკეთე, მთელ საქართველოს! გააგებინე, მელანო სოსელია რომ გვყოლია თანამშრომელიო...



რესპუბლიკის სახალხო არტისტის ქეთევან ლანდიას დამსახურებულ ჯილდოებს დღეს ერთი ჯილდოც მოემატა — „საპატიო ნიშნის ორდენი“. თანამშრომლებმა, კოლეგებმა ხომ მიულოცეს და მიულოცეს ეს პატივი დეაწლმოსილ დეიდა ქეთოს, გუშინ სსრ კავშირის სახტელერადიოს თავმჯდომარის ს. ლაპინის მილოცვაც მიიღო ქეთევან ლანდიამ: „პატივცემულო ქალბატონო ქეთევან, გილოცავთ მაღალ ჯილდოს საბჭოთა რადიომაუწყებლობის განვითარებაში დამსახურებისათვის და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონა-

წილობისათვის. გისურვებთ დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს“.

ამ დღეებში კვლავაც უამრავი მილოცვა მოუვა, ამაში დარწმუნებული ვართ, რადგან ხალხის სიყვარული დიდი რამაა.

ჩვენც ვულოცავთ: შენ პირს შაქარი, ქალბატონო ქეთევან, კიდევ დიდხანს, მხოლოდ კარგი ამბების მაცნედ.

1985 წ.

უნარი სხვისი განხარებისა

ასე ვიფიქრე: ახალი წლის დილით იგი სწორედ რომ სასიამოვნო მეკვლე და სტუმარი იქნება-მეთქი ყოველი ქართული ოჯახისათვის. თუმცა, დიდი იმედი არ მქონდა, რომ სასაუბროდ დაეყოლიებდი მუხრან მაჭავარიანს. პოეტმა, როცა ამ სტრიქონებს წერს: „კაცი ხარ მაშინ, თავზე ქუდის მაშინ ხარ ღირსი, როდესაც იცი, ზედმიწევნით როდესაც იცი: რა არ უნდა თქვა, რა უნდა თქვა, როგორ უნდა თქვა, სად არ უნდა თქვა, სად უნდა თქვა, რატომ უნდა თქვა“, მართლაც ზედმიწევნით იცის აწონილი სიტყვის ფასი. ამ შეგნებით დააბიჯებს ჩვენ გვერდით და რა მამულიშვილობას სწევს, მკითხველს კარგად მოეხსენება.

ჩვენ ხალხს ახალი წელი მიულოცეთ-მეთქი რომ ვუთხარი, დიდად ნასიამოვნები დარჩა, საუბარიც გვარიანი გამოგვივიდა, ოღონდ, რასაც ახლა თქვენ ქვემოთ წაიკითხავთ, ჯერ თვითონვე რამდენჯერმე სულ მისხალ-მისხალ გაზომ-აწონა...

ოჯახში მობრძანდითო, და ვეწვიე.

* * *

— ახლახან თქვენ მიერ თარგმნილი „ბულგარული პოეზიის ანთოლოგიის“ მეორე გამოცემა გამოვიდა, ასე რატომ დაინტერესდით ამ ქვეყნის პოეზიით?

9. ვ. მარდალეიშვილი

— 17 წლის წინათ შემოქმედებითი მივლინებით ვიყავი იქ. მივლინების მიზანი ბულგარული ენისა და ლიტერატურის შესწავლა იყო.

გაეცანი ბულგარეთი, ბულგარელი ხალხი, ბულგარული პოეზია. მომეწონა ქვეყანაც, ხალხიც, პოეზიაც.

ვიფიქრე: ქართველი კაცი ამ პოეზიისა და ეს პოეზია ქართველი კაცის ღირსია-მეთქი. ავდექი და ვთარგმნე.

— ამ წიგნის გაცნობისას მკითხველს უპირველესად თქვენი სტილი ეცემა თვალში. საინტერესოა, ხომ არ გგავთ სტილით ზოგიერთი ეს პოეტი?

— სტილით მსგავსება აქ არაფერ შუაშია. მკვეთრი საკუთარი სტილის პოეტმა ვინც უნდა თარგმნოს (უკეთეს ღირსეულად თარგმნის) — საკუთარ სტილს ვერ გაექცევა.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ საერთოდ არც ისე ხშირად თარგმნით...

— ახლა — კი! წინათ — არა!

სხვადასხვა დროს თარგმნილი მაქვს რუსული, აფხაზური, ოსური, ბელორუსული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. 25 წლის წინათ პოეტ გივი ძნელაძესთან ერთად ვთარგმნე პაბლო ნერუდას ლექსები.

1969 წელს ქართველმა მკითხველმა გაიცნო აწ განსვენებული შოთა ჩანტლაძის, გივი ძნელაძისა და ჩემ მიერ თარგმნილი ცნობილი ფინური ეპოსი „კალევალა“.

— თქვენ მთავარი რედაქტორი ბრძანდებით აღმანახ „საუნჯისა“, რომელიც ფასდაუდებელ საქმეს აკეთებს; ქართველ მკითხველს აცნობს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ლი-

ტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. რა არის ამ აღმანახში, თქვენი მუშაობის მთავარი პრინციპი?

— „საუნჯემ“ მსოფლიო მასშტაბით უნდა მოიძიოს და თავის ფურცლებზე გამოაქვეყნოს, უმთავრესად, ისეთი ნაწარმოებნი, რომელნიც საყურადღებონი არიან ფორმისა და ხედვის სიახლით.

„საუნჯეში“ დაბეჭდილი ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოები ვალდებულია ქართველი მკითხველის სულიერ სამყაროს შემატოს რაღაც ახალი, ხოლო ქართველ მწერალს (განსაკუთრებით ახალ თაობას) პროფესიული თვალსაზრისით წაადგეს რაიმეში.

თარგმნა ახალი ხილი როდია ქართველთათვის. ჯერ კიდევ როდის თარგმნიდნენ ჩვენი ძველები ბერძნულიდან, სპარსულიდან.

სწორედ იმ ძველმა თარგმანებმა გაუფართოვა სამოქმედო ასპარეზი ბარაქიან ქართულ ენას, უფრო ელასტიკური გახადა იგი, საგრძნობლად გაამდიდრა მისი ლექსიკური ფონდი. კვლავაც უნდა გაგრძელდეს ეს დიდებული ტრადიცია! გრძელდება კიდევ!

— თქვენ გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოზე ბრძანეთ, რომ გალაკტიონის თარგმნა შეუძლებელიაო. ნუთუ ასეა?

— საქმე შემდეგშია:

გალაკტიონის ლექსის პულსი, ზედმიწევნით ქართული; — უშუალოდ ქართული ენის ელერაზეა დამყნელი.

მასთან: სიტყვის ელერაში უფრო მეტი აზრია, ვიდრე თვით სიტყვაში; სიტყვა კი, მოგეხსენებათ, სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ელერადობისა გამოხატავს ერთსა და იმავე ცნებას.



მასპინძელი მიბოდიშებს, მეორე ოთახში გადის.

**წერილი, თქვენთვის გასაცნობად რომ აღკვეთ
შევაჩიეთ**

წერილი დამასკოდან:

ძმაო მუხრან! ამ მცირე ბარათს სირიიდან, დამასკოდან გწერთ, სადაც მერვე თვეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტად ვმუშაობ. უსაშველოდ მომენატრა ყველაფერი ქართული. მადლობა ღმერთს, რომ ორი თველა დამჩნა მოსათმენი.

...აგერ, ლამის ნახევარი წელია, თბილისის რადიოდან, რომელსაც სისტემატურად ვუსმენ, სულ თქვენი სახელი მესმის — მუხრან მაჭავარიანს აქა და აქ შეხვდნენო... ერთხელ თქვენი მშვენიერი სიტყვაც მოვისმინე ახალგაზრდობისადმი მიმართული. ქართულ უურნალ-გაზეთებსაც დროგამოშვებით ვკითხულობ და ამ ბოლო დროს ხშირად იწერება თქვენზე.

ბედნიერი კაცი ხარ, ძმაო, რადგან დაბადების დღეს შენ კი არ უხდი შენს თავს, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. არამედ შენი სათაყვანო ხალხი გიხდის, რომელსაც ასე უანგაროდ, ერთგული მეციხოვნესავით ხმალშემართული ემსახურები. მუდამ გჭეროდეს და გწამდეს შენი სათაყვანო ხალხისა, ასე უზომოდ რომ უყვარხარ. ეს რწმენა ოდნავაც არ შეგერყეს, თორემ მუხრანი მუხრანი აღარ იქნება... ამ გზით იარე, მუხრან, ამ ეკალბარდიანი გზით და წმინდე ეკალ-ბარდი, რადგან დღეს შენი ხმალი ყველაზე უფრო ბასრად ჭრის...

მაშ, გაუმარჯოს შენს ბუკსა და ნალარას. უღრმესი პატივისცემითა და მოკრძალებით ვაჟა გურგენიძე, 23. VII. 79 წ.

წაიღი კარდიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის

25-ე პალატიდან:

ვწევართ, ძლივს ვსუნთქავთ, ვკითხულობთ მუხრანს,
დაფორიაქობს ქართლის ჭირის

დიდი ტკივილი...

და ვილას ახსოვს

თავისი სუნთქვა,

მადლობა, მუხრან,

მადლობა, მუხრან!

* * *

— თქვენ შედარებით ცოტას ბეჭდავთ, თუ საიდუმლო არ არის, რა მოსაზრებით?

— პოეტმა ათობით ტომიც რომ დააწყოს, — დიდი-დიდი ათი ლექსი დარჩეს მათგან (არც კი)! ჰოდა, ერთი მითხარი, რაღა ხალხი შევაწუხო ჩემი მრავალი ლექსიდან ორიოდე მათგანის შერჩევაზე?! არ ჯობია თავიდანვე მე თვითონ შევარჩიო?! შერჩევას კი დრო სჭირდება (ხან — მეტი, ხან — ნაკლები).

— თქვენ იმდენი მშვენიერი ლექსი მიუძღვენით იმერეთს, რომ შეიძლება მკითხველს იქ დაბადებული და გაზრდილი ეგონოთ...

— წარმოშობით მე ვარ ზემოური — მარგველი. გავიზარდე თბილისში, ვერაზე. სოფელში მხოლოდ ზაფხულობით ჩავდიოდით.

არგვეთის ზამთარი პირველად სტუდენტმა ვნახე.

— შარშან საპატიო მოქალაქედ აგირჩიეს საჩხერელებმა...

— დიახ, დმანისელებმაც ამირჩიეს. ერთი აკაკის სამშობლოა, მეორე — საბასი.

— კიდევ ერთი კითხვა, თუ შეიძლება. საინტერესოა, როგორ განსაზღვრავდით გამოთქმას: „რწმენით იარ?“

— ვინც კაცია (მწერალია თუ მკითხველი) ყველგან და მარად ორი მზერის შუაში უნდა გრძნობდეს თავს; იქ, სადაც წინაპრის მზერას შთამომავლის მზერა კვეთს.

უნდა ძალუძდეს წარსულისა და მომავლის ურთიერთ-შემსგავსება.

— მაშინ ისიც გვითხარით, როგორ ჩამოაყალიბებდით ქეშმარიტი შემოქმედის მოვალეობას დროის, ხალხის წინაშე?

— ქეშმარიტმა მწერალმა უნდა ასახოს თავისი დრო! ერთი უნდა იყოს მისი სიტყვა და საქმე!

მართალი უნდა იყოს საკუთარი სინდისის წინაშე!

მწერალი, რომელიც ასე არ ირჩება, — მკვდარია სიცოცხლეშივე!

— თქვენზე უკეთ ვინ იცის, თუ რაოდენ ძნელია მწერლობაში საკუთარი სტილის, ხმის, მანერის დამკვიდრება. ეს ერთეულებს ძალუძთ. მაინც, რა შემთხვევაში მიიღებს, გაითავისებს, აღარ იუცხოებს ხალხი, მკითხველი ახალსა და ორიგინალურს?!

— ამა თუ იმ ორიგინალურ ნაწარმოებს ხალხი მხოლოდ მაშინ გაითავისებს, როდესაც ნაწარმოების ფორმა შინაარსის ადეკვატურია და ნაწარმოებში გამოხატულია ხალხის გულისთქმა.

— ყოველ შემოქმედს მუშაობის თავისებური წესი და ჩვევა აქვს. თქვენ როგორღა მუშაობთ?

— მე საერთოდ ლექსს ზეპირად ვქმნი (მეტწილად სია-
რულში, მარტო ყოფნისას, — ხმამაღლა, ხალხში, — უხმოდ.
ჩასწორებასაც ზეპირად ვაკეთებ. ქაღალდზე როცა გადამაქვს,
კიდევ ვხვეწ (ყოველთვის კი არა, ზოგჯერ).

— თქვენ ხალხის სიყვარული და პოპულარობა არ გაკ-
ლიათ, მაგრამ ეს ყოველივე, რა უმძიმესი ტვირთიც არის,
თავად მოგეხსენებათ...

— ხალხის სიყვარული ყოველთვის პასუხია შენი სიყვა-
რულისა მისადმი, ამასთან დასტურ, ერთობ მძიმე ტვირთიც
არის იგი! — დიდი გამძლეობა, დიდი მოვლა სჭირდება მას.

— რას ეტყოდით ქართველ ხალხს ახალ წელს?

— წინა წლებში გაუკეთებლის გასაკეთებლად დგება ყო-
ველი ახალი წელი.

ვუსურვებ ჩემს საყვარელ ქართველ ხალხს ქორწილთა
და ძეობათა სიუხვეს, ყველა სასიკეთო სურვილის განხორ-
ციელებას.

— დიდი მადლობა ამ შეხვედრისათვის, თქვენც გილო-
ცავთ ახალ წელს; სიხარული დაგეკვებოთ, სასაუბრო კიდევ
დაგვრჩა და ამ წლისათვის გადავდოთ... ნახვამდის...

— არა, ძმაო, მოსვლა შენი ნება იყო, წასვლა კი ჩემი ნებაა!
პირველად ხარ ჩემს ოჯახში და ეგრე გავიშვებ?! თანაც კარ-
ზე ახალი წელია მომდგარი... ჩვენი მალლარის ღვინო უნდა
გაგასინჯო, — „ადესა“. წელს ოც-ოცი ლიტრა შეგვხვდა მე
და ჩემს მეზობლებს — მურმანსა და ორ ამირანს.

— სად დაატიეთ, მუხრან ბატონო...

— იცინე და, ნახავ როგორია...

ეპილოგი, ანუ როგორ მიქარანახა ამ წერილის

სათაური კომპოზი გივი ძნელაძემ:

გივი ძნელაძე შემოგვესწრო, მასპინძელმა მცირე ხნით მარტო დაგვეტოვა. მუხრანზე ვსაუბრობთ.

— რამდენი კაცი ვიცი, — ამბობს გივი, — თავისი კეთილდღეობისათვის დაჩაღიჩობს ამ წუთისოფელში. მე თითქმის არავინ შემხვედრია, მუხრანივით სხვის გახარებას რომ იყოს მოწადინებული... გახსოვთ? მუხრანის სტრიქონები: „სხვისიც ყოფილა, თუ ყოფილა ჩემს თვალზე ცრემლი, ვყოფილვარ სხვისი სიბრალულით მრავალჯერ ჩუმი... ყოვლად-ძლიერო, გახარება თუ გინდა ჩემი, — უნარი სხვისი გახარების მიბოძე უმალ“. აქ ყველაფერია ნათქვამი.

— ჭეშმარიტად.

1983 წ.

შუადღის მზე

სახელოსნოს კედელზე ერთ ასეთ ფოტოს მოვკარი თვალი: მოქანდაკე თავის ჯერჯერობით ბოლო ნამუშევარს — ქართ-ველ მოღვაწეთა ბარელიეფებით, ჩვენებური ანბანითა და ჩუქურთმებით დამშვენებულ სვეტს მიყრდნობია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შენობის წინ რომ გაიხსნა შარშან ზაფხულში და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 100 წლისთავს რომ მიუძღვნა ვახტანგ ონიანმა.

სვანური ქუდი წარბებამდე ჩამოსულა, მზერა მკვეთრია, იქნებ, ოდნავ მოლლილიც, სივრცეს გასცქერის მოქანდაკე, მზეს უსწორებს თვალს, აგერ აჰა, საშუადღეოზე რომ გად-მომდგარა, შუადღის მზეს კი ყველა ვერ შეაგებებს მზერას. ეს რჩეულთა ხვედრია, იმათი წილია, ვინც ძარღვების დასკლო-მამდე უმღერის მის ნათელსა და სიკაშკაშეს, ვინც „ლილეოს“ ომახიანად აგუგუნებს.

ჩვენი დღევანდელი სტუმარი დიახაც რომ ასეთია. ეს ტრიპტიქიც მას ეძღვნება.

* * *

პირველ ფერტილოზე ბავშვობა დაქრის — ლალი და ამა-ყი, სვანურ მიდამოსავით. მერე ოცნებით შექმნილი ჩანახა-

ტები ჩანს, პირველი ჯილდოც გამოკრთის 1951 წლით დათარიღებული:

„საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VII ოლიმპიადის მონაწილე, ქვაზე კვეთილობის ნიმუშების (ბარელიეფების) შემსრულებელი, ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჟახუნდრიდან ვახტანგ ონიანი დაჯილდოებულია საპატიო სიგელით“.

— ასეთი სიგელები კიდევ შეგხვდებათ... — მეუბნება ვახტანგი, — ამათ გამაბედვინეს შემდეგ თბილისში ჩამოსვლა, სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება...

ჩვენ ვეებერთელა ალბომს ვათვალიერებთ, მოქანდაკეს სასოებით, აკურატულად ჩაუწებებია მასში ამონაჭრები ჟურნალ-გაზეთებიდან — რეცენზიები, გამონათქვამები... ეს არის გზა ორმოცდაათი წლის შემოქმედისა.

„...ო, ბედნიერო მონადირევ,
მუხლი მგლისა გაქვს,
გული რკინისა გაქვს,
კოტას მთქმელი ხარ,
ბევრის მქმნელი ხარ,
არც არავის ემონები,
არც არავის იმონებ,
მარტო მიღიხარ უსკუნდურ
ხევში“...

— ჩვენი ბეთქილის გზას მაგონებს ხელოვნის გზა. ცოტაა ბედნიერება ამ გზაზე, სიმუხთლე — ბევრი, მაგრამ, რახან თავი გაგაწირავს. უნდა მიენდო წერამწერალს....

— აკადემიაში ვინ გასწავლიდათ?

— სერგო ქობულაძე, სილოვან კაკაბაძე, კოტე მერაბი-
შვილი...

ფერტილოზე მზე ჩნდება, მზის სადიდებელს მღერიან
.არგვლავ მწვერვალები, სვანური კოშკები მზეს შესდგომიან.
ეს სტუდენტ ვახტანგ ონიანის პირველი სურათები, სკულპ-
ტურული ნამუშევრებაც არის, აი ეტიუდები სვანური ეპო-
სისათვის „გივერგილ“ და „ბეთქილ“. ვახტანგ ონიანს არ ას-
ვენებს ფიქრი მამაც სვან მონადირეებზე, მოგვიანებით იგი
შეკრებს გივერგულზე და ბეთქილზე შექმნილი ლეგენდების
სასიმღერო ვარაანტებს, აღადგენს, ტექსტებს გადმოაქართუ-
ლებს და დაასურათებს კიდევ. საერთოდ სვანეთი მასაზრ-
დობელია მისი შემოქმედებისა. აი „სვანური ოჯახი“, „ლა-
მარია“, „მახვში“, სვანი ქალიშვილების პორტრეტები, „ქა-
ლის პორტრეტი“ — სტუდენტობის დროს შექმნილი, დიდი
მოწონება რომ ხვდა მოსკოვში საკავშირო გამოფენაზე, VI
საერთაშორისო ფესტივალის დროს. ამ ფერტილოზე უნდა
როვათავსოთ ლაღო ასათიანის სკულპტურული პორტრეტიც,
დღეს რომ ლეჩხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ამშვენებს.
ამ ნამუშევარმა დიდი ყურადღება მიიქცია, გაახშიანა მეხუთე
კურსის სტუდენტის ვახტანგ ონიანის სახელი.

— ამ დროს გრაფიკამაც გამიტაცა. არის ბევრი რამ, რა-
საც ქვას ვერ ათქმევინებ, არადა გივერგილისათვის, ბეთქი-
ლისათვის, ამირანისათვის რა მექნა...

ამირანის ეპოსი ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა მხატვრის
შემოქმედებისა, თუმცა მასზე თხრობა მეორე ფერტილოს
მივანდოთ. ტრიპტიქის პირველი ნაწილი კი დავასრულოთ

სადიპლომო ნამუშევრით — „ტანმოვარჯიშე გოგონა“, ქანდაკება გვხიბლავს ელასტიკურობით, ნაკეთების ფაქიზი, ნატიფი დამუშავებით.

* * *

აჰა, პირველი პროფესიონალი მოქანდაკე სვანეთიდან. თუმცა იგი გატაცებით მუშაობს ნახატში, გრაფიკაში, ქანდაკების ელემენტების პლასტიკა შეაქვს მათში. ამ წლებს ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას ძალზე ორიგინალური პორტრეტი, სვანური ყოფის ამსახველი სურათები. ფერტილოზე უნდა გამოვიტანოთ მეუღლის სკულპტურული პორტრეტი, უთუოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ვახტანგ ონიანის ადრინდელი პერიოდისა. აჰა, ჩნდება ამირანიც, დიდი ხნის ოცნება. ჭერხნობით აუხდენელი, მხოლოდ გონებაში დადულღებული.

— საქართველოში ამირანის მითის ას ორმოცდაათი ვერსიაა მეცნიერების მიერ მოძიებული და დაგროვილი. მთლიანად არც ერთი არ არის. სვანურში, მაგალითად, დასასრული აკლია, ხევსურულში — დასაწყისი. ამ ვერსიებიდან ოთხია ყველაზე უფრო სრულყოფილი, რომელთა შეჯერებით შევეცადე შემექმნა ერთი მთლიანი ნაწარმოები და 1975 წელს, ალბათ, იცით, წიგნად გამოვიდა კიდევც ამირანის ეპოსი, ჩემივე დასურათებული...

ამ წიგნზე თავის აზრს გვიზიარებს აკადემიკოსი შოთა ძინციგური: „რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ვახტანგ ონიანმა თავს იღო ამირანის თქმულების ვარიანტთა ერთ

თხრობაში მოქცევა და ამ დიდებული საგმირო ეპოსის დასუ-
რათება. ეს ცდა, ვფიქრობთ, ძალზე საინტერესოა და ისევე,
როგორც მისივე სხვა წიგნები „ბეთქილ“, „გივერგილ“, „ლალ-
ლერი“, „ამირანიც“ ჩვენი თვალშეუღვამი საგმირო ეპოსის
მხატვრის თვალით გააზრების ნიმუშად წარმოგვიდგება“.

— „ამირანზე“, აგრეთვე სვანურ პოეზიაზე მომუშავე კა-
ცი, ძნელი დასაჯერებელია, თვითონაც არ წერდეს ლექსებს.

— ბავშვობაში ვწერდი და თანაც მეგონა, რომ პოეტი
ჟკეთესი ვიყავი, ვიდრე მხატვარი, მაგრამ ახლა იმ ლექსებს,
ჩემი აზრით, არავითარი მხატვრული ღირებულება არა აქვს,
ოღონდ, ისინი მაინც დამეხმარა სვანურ პოეზიაზე მუშაობი-
სას, რიტმის გრძობა შემინარჩუნა...

— ამირანის ქანდაკების შექმნის იდეაც, მგონი ეპოსზე
მუშაობამ განაპირობა, არა?

— დიახ, საქართველოში არ არსებობდა ამირანის ქანდა-
კება, არადა, მომავალს ესეც სჭირდება, სჭირდება რწმენის,
იმედის მაცნედ.

ალბათ, იცით, ძვირფასო მკითხველო, რომ 1981 წლის
8 ნოემბერს ულამაზესი სილნალის გარეუბანში წამოიძარტა
ამირანი — ბრინჯაოს ჭაბუკი, რომელსაც სიკეთის, ბედნიერე-
ბის სიმბოლოდ მარცხენა ხელით ცისკენ აღუპყრია მოგიზ-
გიზე ჩირალდანი, ბედნიერების დასაცავად კი მარჯვენა ხელში
მახვილი ჩაუბლუჭია. ისიც ზეალმართული, ფიცხელია ერის
მტრებისათვის.

— სილნალს ხომ ამშვენებს და ამშვენებს თქვენი ეს ნამუ-
შევარი, მაგრამ ხომ შეიძლება მისი ასლი საქართველოს სხვა
კუთხეშიც იდგეს, თბილისში იდგეს, ამას მარტო ამირანზე

არ ვამბობ. რამდენი შესანიშნავი ქანდაკება დაიდგა ამ ბოლო, დროს პერიფერიებში, ბერძენიშვილის, ამაშუკელის და სხვა-თა ნაწარმოებები. არადა, ისინი სხვა კუთხეებსაც დაამშვენებდა, მნახველიც მეტი ეყოლებოდა. ასლის დადგმა კი, მე მგონი, ძნელი არ უნდა იყოს.

— სწორი ბრძანდებით. ძალზე კარგი საქმე იქნებოდა. ევროპის დიდ ქალაქებში ახალი არ არის ეგ ამბავი. სხვაგანაც იდგეს „გიორგი სააკაძე“, ანდა „კიდევაც დაიზრდებიან“, ამით საქმე მოიგებს.

...ტრიპტიქის მეორე ნაწილში საფრანგეთში, ალჟირში, იაპონიაში, საბერძნეთში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე შექმნილი ჩანახატებიც მოჩანს. რამდენიმე მონასმით, მკვეთრი ფერებით შეუსრულებია მხატვარს იქაური ყოფის ამსახველი უანრული სურათები. აქვეა ბიჭვინთაში აღმართული მონუმენტური ქანდაკება „მოლოდინი“.



მეც მომწვდენია სხივი მისი კაცურკაცობისა, გულს დამრჩენია გამორჩეული სვანური სიალალე და პირდაპირობა.

კარგა ხნის წინათ გავბედე და უურნალ „დროშაში“ მივიტანე ჩემი პირველი ნარკვევი, რედაქციაში ორნი შემხვდნენ სადაურობა მკითხეს, ნარკვევიც ჩათვალა იერეს, შემდეგ რედაქტორთან, ალიო მირცხულავასთან შემიძღვნენ, ჩვენი კარგი მეგობარიო, ასეთიო, ისეთიო, — წარუდგინეს ჩემი თავი. კაბინეტიდან გამოსულები კიდეც კარგა ხანს მებაასებოდნენ, წამოვედი და წამოვიღე ვეებერ-

თელა გულთბილობა გურამ თიკანაძის და ვახტანგ ონიანისა:

...1971 წელს გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში ვახტანგ ონიანის პერსონალური გამოფენა მოეწყო. ეს იყო შეხვედრა ჭეშმარიტ ხელოვანთან, მაძიებელ შემოქმედთან, უზადო გრაფიკასა და ქანდაკებასთან.

აი, რას წერს ამ გამოფენის თაობაზე ჩვენი შესანიშნავი პოეტი მურმან ლებანიძე: „ვახტანგ ონიანი ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ორმოცდაათიანი წლების მიწურულს გამოჩნდა ასპარეზზე. ეს თაობა ახლის მაძიებლობით, ტალანტების სიუხვით გამოირჩეოდა. ვახტანგ ონიანი ერთ-ერთი პირველთაგანია თავის მძლავრ თაობაში. ონიანი მრავალმხრივი მხატვარია. იგი მოქანდაკეა, გრაფიკოსი და, რაც მთავარია, პოეტია თავის ქანდაკებასა და გრაფიკაში.

...დღეს ვახტანგ ონიანი უკვე ნაცადი, თვალსაჩინო ოსტატია. ონიანის მანერას, მის ხელწერას ბევრისაში გამოარჩევ, ხატვა ერთია, მაგრამ სხვაა დახატულის პოეტიზაცია, მისი პოეზიის ხარისხში აყვანა, რაც ვახტანგის თვისებაა“.

...მას შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა, ეს იყო ათწლეული ბევრი სიხარულისა, ზოგჯერ ტკივილისა და აჰა, დამდგარა შემოქმედის შუადღე. საკრეთელი ახალ ფორმებს ეძებს, სახელოსნოში ღამდება და თენდება და ლტოლვაა სიმაღლისაკენ. სვანი მონადირის დარად.

1982 წ.

გაზაფხული ისევ მოდის იორზე

რომ იცოდეთ, როგორ ეხალისებათ ხოლმე ჩვენი რედაქციის მბეჭდავ-მემანქანეებს გიორგი ნატროშვილის ნაწერის ბეჭდვა: ჩაწიკწიკებულია ასოები, ნალოლიავენია მათი მოხაზულობა, სტილი ნათელია და ჩამოძერწილი...

— სთხოვე: იქნებ ერთი ემგზემპლარი ჩემთვის დაბეჭდოს...

— კი, ბატონო გიორგი, თქვენ წაბრძანდით, აწი ჩვენ ვუპატრონებთ...

— არა... არა... დავიცდი, მაინც დავხედავ...

მერე უკვე სადამოხანს-სტამბაშიც მოგვაკითხავს, ყურადღებით ჩაასწორებს, თუ სადმე კორექტურაა, კარგად იცის, რომ ავტორის თვალი ბევრს ნიშნავს ასეთ დროს.

ჩვენი ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავ ამბებს ვინ უნდა გამოეხმაუროს? გიორგი ნატროშვილი! რეცენზია წიგნზე, პორტრეტი თანამედროვისა — ვინ უნდა დაგვიწეროს? გიორგი ნატროშვილს ვურეკავთ...

მაინცდამაინც დიდი ოპერატიულობით არ გამოირჩევა, ცოტა „გაჯანჯლება“ უყვარს, და ესეც, უდავოდ, დადებითი შტრიხია მისი მოღვაწეობისა, რადგან რასაც დაწერს და მოიტანს, უკვე ღრმად აქვს გააზრებული, საგანი და მოვლენა ზედმიწევნით აქვს შესწავლილი.

და ხატავს იშვიათი ბელეტრისტის კალმით...

აი, მოაბიჯებს იგი ჩვენი რედაქციის დერეფანში, ნელა, თითქოს ფრთხილობს კიდევ დაბიჯებისას, განუყრელი კეპი ახურავს და ილლიაში ტყავის სქელი საქალაღდე ამოუჩრია.

ფრთხილობს დაბიჯებისას...

ვერასდროს გავუბედე მეკიზხა ამ ნატყვიარი ფეხების ამბავი. ახლა სამოცდათხუთმეტი წლისთავზე, საუბარში თავის-თავად სიტყვას მოჰყვა:

— დიდი სამამულო ომის დროს დასავლეთის ფრონტზე ვიბრძოდი — ტულისა და სმოლენსკის ოლქში. 1943 წელს მძიმედ დავიჭერი ტყვიით ფეხებში... მთელ წელიწადს ვიწე-ქი... რამ გადამარჩინა... (ღიმილით)... თურმე მეთერთმეტე გიორგი ნატროშვილი კვდებოდა...

— როგორ, მეთერთმეტე?

— ჩემს სოფელში გავიგე, ზემო მაჩხაანში, ამ ოცი წლის წინათ... ერთ დღეს წითელწყაროში ჩავედი და, რა თქმა უნდა, მშობლიურ სოფელსაც ვეწვიე... შემომეგება ჩვენი ნიკო მამაიაშვილი — სახელოვანი თავმჯდომარე, სალამ-ქალამის შემდეგ კულტურის სახლში მიმიყვანა, ომში დაღუპულთა მემორიალს ვაკეთებთ, უნდა გიჩვენოო... სინანულით მივჩერებივარ ამ თვალადი ბიჭების სურათებს და რას ვხედავ! სხვებთან ერთად ჩემი თანასოფლელი ათი გიორგი ნატროშვილი შემომცქერის, ომის გზებზე დაცემული და შინმოუსვლელი... მეთერთმეტე გიორგი ძლივს გადავრჩი, მაგრამ დღესაც ყოველ ნაბიჯზე მახსენებს თავს ის საშინელება...

„...გერმანელი მფრინავები, როცა საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ და სოფლებს თავზე გადაუვლიდნენ, თავის გასართობად სახლებს ტყვია-მფრქვევიდან ცეცხლწაქიდებულ ტყვიებს ესროდნენ... თვითონაც იცოდნენ, რომ იმ სახლებში ქალებისა და ბავშვების გარდა არავინ იყო, მაგრამ მაინც სწვავდნენ. ეს არის ის სპეციფიკური გერმანული „შადენფროიდე“, — ის სიხარული, ის სიამოვნება, რომელსაც აგრძნობინებს გერმანელს ცქერა მის მიერვე გამოწვეული ზიანისა, ცქერა სხვისი ნადველისა და ვაების, სხვისი უბედურებისა“.



თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტდამთავრებული ყმაწვილი ომის გზებს მიუყვება. შემდეგ კი მოთხრობების წერას ის შთაბეჭდილებები აწყებინებს. და იქმნება „როგორ ვნახე მოსკოვი“, „საჭიდაო“, „ბავშვი“, „დედა“, „ახალი მთვარე“ — ნაწარმოებები, რომლებმაც შემოქმედებითი სიხარული განაცდევინეს მწერალს, თავი შეაყვარეს მკითხველს, ხოლო ახალ ქართულ ლიტერატურას ომის თემაზე შექმნილ ჭეშმარიტ პროზად შეემატნენ. მათში უპირველესად გიტაცებთ ბუნებრიობა, თხრობის ოსტატობა, ხასიათების მრავალსახეობა.

ხასიათებმა უმაღლესად გამახსენა მისი გვიანდელი ორი მშვენიერი მოთხრობა „უდარდელი კაცის სიკვდილი“ და „ისევ გაზაფხული იყო იორზე“. დაუვიწყარია ამ მოთხრობათა გმი-

რები — სიცოცხლის უზომოდ მოტრფიალე, რი გონება-
მახვილი მოხუცი — მიხა და იორამი.

გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას ნათქვამი:

„ამას წინათ დიდი სიამოვნებით გადავიკითხე გ. ნატრო-
შვილის მოთხრობები... როცა ამ წიგნის კითხვა დავამთავრე,
გული დამწყდა, ასე მალე რომ გათავდა იგი... ეს ერთხელ მი-
თქვამს მისთვის და ახლაც ვუმეორებ: არ ვარგა გადამეტე-
ბული თავმოთნეობა და ქედმაღლობა, მაგრამ არც მომეტე-
ბული თავმდაბლობაა მწერლისთვის საჭირო.

კიდევ ერთი ძმური რჩევა მინდა შევთავაზო მას განმეო-
რებით.

მას ისე კარგად ემარჯვება პატარა ნოველების, სიუჟეტე-
ბის გაკვანძვა და გამართვა, უთუოდ დიდ ტილოსაც გაართ-
მევს თავს“...

* * *

მისი შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი წახნაგია კრი-
ტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა. გიორგი ნატროშვილი
იყო და რჩება ეროვნული ლიტერატურული ცხოვრების პირ-
უთვნელ შემფასებლად. მის ნათქვამს წონა აქვს, მის რჩევას
კეთილი გული და მეგობრული კილო ახლავს. აქ უცხოა
წერილმანი კინკლაობა და ჩასაფრება, პირად ანგარიშსწორე-
ბაზე აგებული ფუქსიტყვაობის კაკაფონია. ამ მხრივ გიორგი
ნატროშვილი დღესაც სამაგალითოა ზოგ-ზოგი „კრიტიკოსი-
სათვის“. მის წერილებში უმალ იგრძნობთ დიდ პროფესიონა-

ლიზმსა და განსწავლულობას, მსოფლიო ლიტერატურის უახლეს მიღწევათა ცოდნას. რომ აღარაფერი ვთქვათ ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილებზე, გიორგი ნატროშვილმა სამაგალითო ამაგი დასდო დავით გურამიშვილის, დავით კლდიაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას. ახლა ნიკოლოზ ბარათაშვილი? გიორგი ნატროშვილმა ჩინებული გამოკვლევა მიუძღვნა გენიოს პოეტს, მისი ცხოვრებით აგრერიგად დაინტერესებამ კი დრამატურგის ჟანრშიც აცდევინა კალამი და დააწერინა პიესა „ბარათაშვილის უკანასკნელი დამე“, რომელიც წარმატებით დაიდგა რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრში, გადაიცა რადიოთი.

* * *

ცალკე თემაა გიორგი ნატროშვილი — რედაქტორი. „ლიტერატურულ გაზეთში“, „მნათობში“, „დროშაში“ დღევანდელი ქართული მწერლობის თითქმის ყველა თაობას უგრძენია მისი შესაშური გულისხმიერება „უნარი სხვისი გახარებისა“.

„აი, ასეთი უნდა ნაღდი რედაქტორი, დღე-ღამეს რომ ასწორებდა სხვათა ნაწერებზე“, — ხშირად გაიგონებთ მწერალთა წრეში.

— მართლა ასე იყო, ბატონი გიორგი?

— კარგი, თუ კაცი ხარ... ისე, რედაქტორს სხვისი ნაწერი უნდა უყვარდეს, უნდა ეხალისებოდეს მასზე მუშაობა... მასში ათასი რამეა ავტორისეული, სტილს რომ თავი დავანებოთ, ამიტომ ძალზე სათუთ მოპყრობას მოითხოვს...

ახლა ქართული ლიტერატურის მუზეუმის კოლექტივს ხელმძღვანელობს გიორგი ნატროშვილი. დიდად აფასებენ აქ მის კაცურ-კაცობას!.. სად სცალია, რამდენიმე წუთი ძლივს დამითმო. „გენდობი, რაც გინდა დაწერე... ისე, ძვირფასი მოლოცვა მივიღე ამ დღეებში და თუ გამოიყენებ, შენ იცი“... დეპეშას მაწვდის:

ბ-ნ გიორგი ნატროშვილს

როგორც 31 იანვრის „ლიტერატურულმა საქართველომ“ გვაუწყა, თქვენ უკვე 75 წლისა გამხდარხართ, მას შემდეგ, რაც თქვენ სამწერლო ასპარეზზე გამოხვედით, ძალიან ბევრი და მეტად საყურადღებო საქმე გაქვთ გაკეთებული. მხურვალედ გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, და სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მუდმივსა და შეუწელებელ ხალისს შემოქმედებისას და ახალ-ახალი ნაშრომის შექმნას.

იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ! მარად თქვენი ნიჭისა და ლიტერატურული მოღვაწეობის კეთილად დამფასებელი

აკაკი შანიძე.

ჩვენ რაღა უნდა დაეუმატოთ ამ სურვილებს?
მხნედ იყოს, გაზაფხული ისევ მოდის იორზე.

1986 წ.

მწვერვალისკენ ქნელი გზაა

კინორეჟისორის კორტაბისათვის: „პაატადან —
საქართველოს ისტორიამდე“

შორიდან პაატა შემოგვცქერის — სამშობლოსათვის თავდადებული სააკაძის პირმშო. ეს სახე განსაკუთრებით სათაყვანოა მერაბ კოკოჩაშვილისათვის. რა გასაკვირია, სწორედ მას ერგო ბედნიერება, რომ საქართველოს ისტორიაში შარავანდდით მოსილი ყმაწვილის სახე გაეცოცხლებია, პატარა პაატას როლი ეთამაშა მიხეილ ჭიაურელის ფილმში „გიორგი სააკაძე“. დრო მიდის, მერაბ კოკოჩაშვილი ორმოცდაათი წლისა გამხდარა, უკვე თვითონ დგამს ფილმებს და ცნობილი კინორეჟისორია, და მაინც პაატა, სულ სხვაგვარი სიყვარულით უყვარს დღესაც.

— ახლა, რომ მაგონდება, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა. დედ-მამა მუსიკოსები იყვნენ, დიდი მეგობრობა ჰქონდათ ქართული კულტურის მოღვაწეებთან, თანაც უშანგი ჩხეიძე ჩვენი კარის მეზობელი იყო, რომელთანაც ხშირად მოდიოდნენ მწერლები, მსახიობები, რეჟისორები... ერთხელაც სწორედ მასთან მნახა მიხეილ ჭიაურელმა და ამიყვანა კიდევ ფილმში, რომლის გადაღება ის-ის იყო უნდა დაეწყო.

ბავშვს, რა თქმა უნდა, მომწონდა საინტერესო სიტუაციები, „კინოცხოვრება“, განსაკუთრებით ჩოხითა და ხმლით ვამაყობდი. მაგრამ „გიორგი სააკაძეს“ ჩემთვის უცებ არ დაუმჩნევია ის კვალი, რომლითაც შეიძლებოდა კინემატოგრაფს გავეტაცე. ბავშვობა ხომ იცით... ათას რამეზე ვოცნებობდი, მიყვარდა მუსიკა, მოგვიანებით — ალპინიზმი... ერთხანობას კალათბურთზეც დავდიოდი. მერე, ეტყობა, მაინც გაიღვიძა კინოხელოვნების სიყვარულმა, თუ მოდას აყუევია — მაშინ, რატომღაც, დიდი იყო კინოს გავლენა ადამიანებზე, — ვერ გეტყვით, მოკლედ, აღარ დამიხანებია: 1953 წელს სკოლა დავამთავრე თუ არა, შევედი კიდეც მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში.

— იმ წლებში იქ ბევრი იყვნენ ჩვენები...

— მართლაც, აი, დღეს რომ საშუალო თაობას ვეძახით და ეროვნული კინემატოგრაფიის მთავარ ძალად მივიჩნევთ. ის თაობა სწორედ მაშინ დგამდა პირველ ნაბიჯებს.

— ზოგი მათგანი ახლა თვითონ ასწავლის ახალგაზრდებს...

— რა თქმა უნდა კინოფაკულტეტი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ თეატრალურ ინსტიტუტში გაიხსნა, შესანიშნავ საქმეს აკეთებს იმ თვალსაზრისით, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაკადი თანდათან, ნება-ნება შემოდის ეროვნულ კინოხელოვნებაში. ამდენად, გამორიცხულია, ქართულ კინოს რომ ჩავარდნის პერიოდი დაუდგეს. ჩვენი სახელოვანი კინორეჟისორების მოწაფეები უკვე გვახარებენ თავიანთი თვითმყოფადი ხელოვნებით. ამის სამაგალითოდ თემურ ბაბლუაშისა და გოდერძი ჩოხელის ფილმებიც იკმარებდა.

— თქვენ ხომ არ ასწავლით თეატრალურ ინსტიტუტში?

— არა, მე უნივერსიტეტში ხელოვნების ფაკულტეტზე მაქვს საათები.

— და კიდევ, საქართველოს ტელეფილმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი ხართ, არა?

— დიახ, უკვე კარგა ხანია, და რაც იქ კეთდება, რა თქმა უნდა, უშუალოდ მეხება...

— მოდით, ჩვენ ახლა აქ პატარა ექსკურსი გავაკეთოთ, ტელეფილმების სტუდიის საქმიანობაზე კი კიდევ მოგვიწევს საუბარი.

— თქვენი ნებაა.

* * *

კინოს მოყვარულებმა იციან მერაბ კოკოჩაშვილის პირველ ფილმი „ხმელი წიფელი“. იგი დოკუმენტური იყო, საინტერესოდ გვიხსნიდა ვაჟა-ფშაველას რთულ შემოქმედებითს სამყაროს და ამით ახალგაზრდა რეჟისორის დამოუკიდებელ, თვითმყოფად აზროვნებაზე მიგვანიშნებდა.

მერე და მერე მერაბ კოკოჩაშვილის ფილმებში გამოიკვეთა პიროვნება — გმირი, დამოუკიდებელი არსებობისათვის მებრძოლი, დიდი ადამიანური ვნებებით დატვირთული, ამ მიწაზე რომ მყარად დგას და ცხოვრების მიზანიც ზედმიწევნით ესმის.

— თქვენ რეჟისორისთვის ერთი შესაშური თვისებაც აღმოგაჩნდათ — ტიპაჟის უზუსტესად შერჩევის, მსახიობებთან მუშაობის და მათი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის ღვისება. ზურაბ ქაფიანიძეც ხომ თქვენ „აღმოაჩინეთ“, მიხას როლი ათამაშეთ ამავე სახელწოდების ფილმში.

— ზედმეტად მაქებთ, ისე კი უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის მსახიობი ყოველთვის მთავარი კომპონენტია კინოში. მინდა მსახიობის საშუალებით ვთქვა სათქმელი. ზურაბ ქაფიანიძის გარდა „მიხაში“ გამოჩნდა ავთანდილ მახარაძეც, მერე, „დიდ, მწვანე ველში“ — ლია კაპანაძე...

— „დიდი მწვანე ველი“ მაინც დოდო აბაშიძის ფილმია, აქ თითქოს თავიდან გავიცანით ეს მსახიობი, რა ფსიქოლოგიური სიმართლით დახატა სოსანას სახე... საერთოდ, მთელი ფილმი საინტერესო გამოვიდა...

— აქ მერაბ ელიოზიშვილის დიდი დამსახურებაა: მწერალმა იგრძნო ის ძვრები, მაშინ სოფელში რომ ხდებოდა. ეს ის წლები იყო, როდესაც ოთარ იოსელიანი თავისი ფილმებით სიმართლეს ამბობდა ზნეობის დაცემაზე, როდესაც გლეხკაცს მიწას წყვეტდნენ და ვითომ „უკეთესი ცხოვრების“ პირობებს უქმნიდნენ. „დიდი, მწვანე ველი“, ჩვენი ჩანაფიქრით, იყო ფილმი-პროტესტი ადამიანისათვის სულიერი სამყაროს წართმევის გამო, და დღეს ბედნიერი ვარ, რომ კარგა ხნის წინათ ფილმში დასმული პრობლემების სისწორე ცხოვრებამ დაადასტურა. ნათლად ვხედავთ, რა ძვირად გვიჯდება, რომ ხალხი ისევ მიუბრუნდეს მამა-პაპის დანატოვარს.



აი, სრულიად განსხვავებული სახე: გაკერპებული, უჯიათა და თანაც უმწეო სოსანას გვერდით ახალგაზრდა ავთანდილ ჯაყელი მოჩანს. რით იყო საინტერესო რეჟისორისათვის ნოდარ დუმბაძის რომანი „ნუ გეშინია, დედა“ და მისი მთავარი გმირი?

— მე აქ გამიტაცა ყმაწვილის ხასიათმა, პიროვნებამ, რომელიც სამხედრო სამსახურის ურთულეს პირობებში სრულყოფილ ადამიანად ყალიბდება. რომანი გამთბარია უდიდესი კაცთმოყვარეობით, გვხვბლავს ეროვნული ხასიათებით და ვეცადე ყველაფერი ეს ეკრანზეც ასევე უშუალოდ გადამეტანა.

...„გზა მშვიდობისა, ჯაყო!“ (ასე ერქვა ფილმს) გულთბილად მიიღო მაყურებელმა, მას არც კინოკრიტიკის ქება დაჰკლებია. ჩეხოსლოვაკიაში ჩვენების შემდეგ გაზეთი „რუდე პრავო“ წერდა: „ამ ფილმით პირველად შევხვდით ქართველ რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილს და ეს არის საინტერესო და ზედნაირი შეხვედრა“.

მერაბ კოკოჩაშვილის შემოქმედებაში სრულიად გამორჩეულია ფილმი „მწვერვალი“. გამორჩეული თავისი სტილისტიკით, დრამატული სიტუაციებით. საუბრის დასაწყისში რეჟისორმა გაგვანდო, ალპინისტობა მიტაცებდაო. იქნებ „მწვერვალი“ ხარკის მოხდა იყო ამ გატაცების წინაშე? არა, ასე მარტივად არ შეიძლება, რადგან ეს ნაწარმოები აღსავსეა ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის დიდი გრძნობით, ეს არის ჰიმნი ადამიანის სწრაფვაზე გამარჯვებისაკენ, მიუწვდომლის წვდომისაკენ...

ფილმში „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ მერაბ კოკოჩაშვილი ეროვნული კულტურის ბედ-იღბალზე ჩაფიქრებულ შემოქმედად წარმოგვიდგება.

თავის ახალ ნამუშევარში რეჟისორი გვეუბნება, რომ ეროვნული კულტურა ის საძირკველია, რომელიც ყველაზე ძნელბედობის შემსაც კი სამშობლოს სიმტკიცის მაჩვენებელი იქნება. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა მერაბ კოკოჩაშვილის

უნარი მსახიობთა შესაძლებლობების გამოვლენისა. დაუვიწყარია კახი კავსაძის გმირი — სრულიად განსხვავებული სახე მსახიობის შემოქმედებაში.

„ცხელი ზაფხულის სამი დღის“ ტენდენციის მატარებელია მრავალსერიანი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ვნახეთ საქართველოს ტელევიზიით.

— ფაქტია, დიდი სამუშაო გასწიეთ. რა უნდა ყოფილიყო ამ ფილმის მთავარი სათქმელი?

— მაყურებელი, მეტადრე ახალგაზრდობა, უნდა ჩაეფიქრებია იმ ისტორიას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა თვითმყოფადობის, საკუთარი ტრადიციების შენარჩუნება-დამკვიდრებისათვის. ეს არის მთელი ფილმის გამჭოლი ზოლი.

პროფესორ მაკიამ ლოკოტიშანიძის ნაუბარი:

— მერაბ კოკოჩაშვილს, ვიცნობდი, როგორც ერთ-ერთ შესანიშნავ ქართველ კინორეჟისორს, რომლის მხატვრულ ფილმებს დიდი ინტერესით ველოდი. და ეს მოლოდინი ყოველთვის მართლდებოდა.

სულ სხვანაირად და სხვა მხრიდან წარმოდგა ჩემთვის მერაბის პიროვნება მას შემდეგ, რაც წილად მხვდა ბედნიერება, დიახ, ბედნიერება, მასთან ერთად მემუშავა ფილმზე „გზა“. ვთვლი და, ვფიქრობ, არ ვცდები, რომ ის დიდი ინტერესი და მოწონება, რომელიც ამ ფილმმა ჩვენს მაყურებელში გამოიწვია, ე. ი. ის კარგი ღირსებები, ამ ფილმს რომ აქვს, ძირითადად რეჟისორის მუშაობითაა განპირობებული.

რაც მთავარია, ჩემს გაოცებას იწვევს მისი დიდი ცოდნა

ჩვენი ეროვნული ისტორიისა და აგრეთვე ის, რომ მან სწორად გაიგო საქართველოს ისტორიული განვითარების ძირითადი ხაზი და მიმართულება, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა, რომ ხუთ სერიად შერჩეული მასალა ქვეყნის მთლიან ისტორიას იძლევა. ეს მე ძალიან ძნელად მეჩვენებოდა და აქ ალბათ მერაბის მხატვრულმა ნიჭმა და ალლომ დიდო როლი შეასრულა.



— რა თქმა უნდა, დიდ დროს გართმევთ სატელევიზიო ფილმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელობა...

— სხვაგვარად არ გამოვა, აქ მაინც ჩემს სტიქიაში ვარ, მუშაობაც თანდათან საინტერესო გახდა, კოლექტივი გაიზარდა, დოკუმენტურ ჟანრს დიდი ფასი დაედო, არ არსებობს მოვლენა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელსაც სატელევიზიო ფილმების სტუდია არ გამოხმაურებოდეს. აღსანიშნავია მის მიერ გამოშვებული მხატვრული ფილმების მაღალი დონე. აქ შეიძლებოდა დაგვესახელებინა სოსო ჩხაიძის, გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილის, დიმა ბათიაშვილის, ზურაბ ინაშვილის, ნარგიზა გარდაფხაძის და სხვათა ნამუშევრები, რომლებშიც საყურადღებო რეჟისორულ მიგნებებსაც ვხვდებით და, რაც საერთოდ ნიშანდობლივია, ჟანრების — დოკუმენტურისა და მხატვრულის ურთიერთშერწყმის საინტერესო ცდებსაც.

მოგეხსენებათ, ტელევიზია ისეთი რამ არის, მზამზარეულად, შინ ვვაწვდის ინფორმაციას. ამიტომ აუცილებელია

ჟუფრო მნიშვნელოვან პრობლემებზე ვესაუბროთ მაყურებლებს.

— ხომ არ უნდა გააგრძელოთ საქართველოს ისტორიაზე მუშაობა?

— შეიძლება... მაყურებელთა ბევრი წერილი მივიღეთ, რომლებიც გვთხოვენ საქართველოს ისტორიის შემდგომი პერიოდებიც აისახოს ამ ფილმში... ვნახოთ...

— ამას გარდა, რას აპირებთ?

— კინოკომედია მაქვს ჩაფიქრებული და კიდევ, ძალიან შინდა მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმის შექმნა ექვთიმე თაყაიშვილზე...

— ესეც ხომ საქართველოს ისტორიაა...

— თავისთავად...

* * *

ახლა, ზაფხულის ამ დღეებში შეიძლება მერაბ კოკოჩაშვილი რომელიმე ექსპედიციას მთაში ახლავს და მწვერვალის დასაპყრობად ემზადება, მან იცის, მშვენივრად იცის, რა ძნელია სიმაღლის აღება, გზა მწვერვალისაკენ, მაგრამ ისიც იცის, რომ სწრაფვა ალამაზებს კაცის ცხოვრებას.

1985 წ.

მეხანე მოლი

ანუ კორტრაბი კარიას დაბრუნებული სამოცი წლის
კობისა

იგი თითქოს თბილისის კართან დგას — მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი, მშობლიური ნიავეთ მკერდს იგრილებს და მთელი ხმით გასძახის თავისიანებს: „ვაშა! მე ისევ თბილისქალაქის დროითა ვცხოვრობ! რაშა — ვორერა! სხვა რომ არ იყოს, ერთი საათით გავიხანგრძლივე ჩემი ცხოვრება!“

ახალგაზრდა კაცი წავიდა თბილისიდან მიხეილ ქვლივიძესა ხელი და პატივი არ აკლდა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, იქაც საერთო საქმეებს აკეთებდა, კაცთმოყვარესა და გულითაღს, გარს ეხვივნენ მეგობრები, მაგრამ მშობლიური კერის სითბო, კარგად იცით, რა დანაკლისიც არის.

— განა არ ჩამოვდიოდნი? ისე რა გამაძლებინებდა, წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ აქ ვიყავი, ერთხელ დავიანგარიშე და 160 რეისი გამოვიდა თვითმფრინავით ნამგზავრი.

სტრიქონები საიუზილეო კრებულიდან:

მიწას სამშობლო ჰქვია,
თუ მისთვის მიცემს გული...

თვალისჩინივით უქლი
და მიგაჩნია წმინდად,
მაგრამ ყველაზე მეტად
ეს მიწა მაშინ გიღირს,
როცა გიჟივით ჰყვირო:
— შინ დაბრუნება მინდა,

— ძნელი იყო, რა თქმა უნდა, აქ მყავდა დედა, მამა, ახლოობლები... წაუსვლელობაც, ეტყობა, არ გამოდიოდა, ექვსასული ვცხოვრობდით ორ პატარა ოთახში, თან ცოლი შევიერთე... მოგეხსენებათ, ომი ახალი დამთავრებული იყო, ჭირდა ბინები... მე რე რამდენჯერმე ვცადე გადმოსვლა, დედა რომ მომიკვდა, მაინც სულ ველარ ვჩერდებოდი. რაღაც განსაკუთრებულად მიყვარდა დედაჩემი...

— თქვენ ერთგან წერთ, რომ რუსული ენა დედამ შემასწავლაო...

— განათლებული ქალი იყო, ადრე დაობლებულა და პანსიონში გაუზრდიათ, იქ შეუსწავლია რუსული...

სტრიკონეზი საიუზილეთო კრავულიდან:

შენ ჩემში ცოცხლობ და თუმცა ბნელა,
ცოცხალის გზებით განთიადს უხმობ...
დავდივარ, ვფიქრობ, და ფიქრი ყველა
საფლავის ქვასთან ჩერდება უხმოდ.

შენ ეგ ხელები ჩემთვის დაღარე,
ნეტავი, ძუძუს ყველავ გაწოვიდე...
და იცი, დედა, რარიგ მახარებს,
რომ ისევ შენთან უნდა მოვიდე.

— იმასაც წერთ, თბილისის სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდიო...

— სწორია, მაგრამ თავიდან ცოტა სხვაგვარად იყო: სკოლა რომ დავამთავრე, სწორედ იმ დღეს დაიწყო სამამულო ომი, სურათს ვიღებდით კლასელები და ფოტოგრაფმა გვითხრა ეს ამბავი. ბიჭების უმრავლესობა ფრონტზე წავიდა და ბევრი აღარ დაბრუნებულა. მე თექვსმეტი წლის ვიყავი, არ გამიწვიეს და თბილისის უნივერსიტეტში შევედი ფილოსოფიის ფაკულტეტზე. უდიდესი სკოლა შეიქმნა ჩემთვის უნივერსიტეტი. როგორი საქმეა: კოტე ბაქრაძე, მოსე გოგიბერიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, შალვა ნუცუბიძე მიკითხავდნენ ლექციებს. მეორე კურსიდან უკვე მობილიზაცია გაგვიკეთეს. მაშინ ერთი მიღებული ტიპი ვიყავი და ფრონტის მაგივრად, შრომით რეზერვებში გამაგზავნეს — საავიაციო ქარხანაში ზეინკლად დავიწყე მუშაობა... მერე, რატომღაც უნივერსიტეტს აღარ დავუბრუნდი და სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე გრაფიკის ფაკულტეტზე. კარგ სტუდენტად ვითვლებოდი და ასპირანტურაში დამტოვეს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის განხრით. დისერტაციაც დავწერე „ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორია“, ორჯერ წიგნად გამოვიდა ეს ნაშრომი და, სხვათაშორის, იგი ჯერჯერობით ერთადერთი წიგნია ამ საკითხზე, მერე დისერტაცია აღარ დამიცავს... რა ვიცი... იმ დროს უკვე ლექსებს ვწერდი, 1952 წელს პირველი წიგნიც გამოვიდა, ამიტომ დისერტაცია გვერდზე დარჩა, მოკლედ, ორი საქმე არასოდეს მიკეთებია, პოეზიისთვის მინდოდა მიმეძღვნა ყველაფერი და აკი. ასეც გა-

მოვიდა. სხვაგვარად ნუ გამიგებთ, მე მიმაჩნია, რომ პოეზიაში პროფესიონალი ვარ, მხატვრობაში — მოყვარული...

სტატიონები საიუბილეო კაეზულიდან:

თუ გიცდიათ მდინარეში
ჩანგლით თევზის ჭერა?
სულ უბრალო საქმე არი:
ზიხარ... უცდო... გჯერა...
ასეთია ჩვენი საქმეც
ანუ ლექსის წერა:
კალმით ხელში მაგიდასთან
ზიხარ, უცდი გჯერა.

* * *

იმ წასვლა-წამოსვლაში, პოეტს ახალი ლექსებიც ჩამოჰქონდა, მკითხველს მოკრძალებით სთავაზობდა, თბილისის საკონცერტო დარბაზებშიც ხშირად გვინახავს გამოსული, შესანიშნავად რომ კითხულობდა საკუთარ ლექსებს. შეიყვარეს და აღიარეს მიხეილ ქვლივიძის ნატიფი ლირიკა, რომელიც ქართული კლასიკური ლექსის ტრადიციებს აგრძელებს. აქ თითქოს უბრალოდ, „ადვილად“ არის ამოთქმული ყოველი ფრაზა, გამჭვირვალეა და ასე სისადავით არის მიღწეული ღრმა პოეტური აზროვნება...

— ბატონო მიხეილ, თქვენი ლექსები ქალებს მოსწონთ განსაკუთრებით...

— დიდი პატივია. ბუნებრივია მშვენიერი სქესის ყურადღება ლირიკის მიმართ, ჩვენ ხშირად ვამბობთ, საქართველო ქალმა გადაარჩინაო, იქნებ, ლირიკაც?

სტრიჰონეგი საიუზილემო კრეაზულიდან:

თვლებს გაახელს საფლავში მწოლი
და გვერდით აღარ დახვდება ცოლი.
ხელსა ჰკრავს კუბოს გაბზარულ ფიცარს
და როგორც საბანს, გადიქრობს მიწას,
წავა და ქოლის ნაკვალევს ეძებს
ყველას ხსოვნაში და ყველა გზებზე
და ფიქრობს: „ღმერთო! საით წასულა?
რას ნიშნავს, ნეტავ, ეს დაშორება?...“
და ეძებს იმას, ვის სიყვარულსაც
არ ეყო მისი ერთი ცხოვრება.

— თქვენ უკვე საშუალება გაქვთ, უფრო ახლოს ადევნოთ თვალყური დღევანდელი ქართული პოეზიის განვითარებას. ბუნებრივია, თქვენი აზრიც გაქვთ მის სიავე-კარგეზე...

— გალაკტიონისა არ იყოს, გენიალური სოლისტები აღარ გვყავს, მაგრამ გვყავს შესანიშნავი სიმფონიური ორკესტრი, რომლის ხმოვანებას სულგანაბული აყურადებენ შინ თუ გარეთ...

— უფრო თარგმანების საშუალებით, არა?

— რას იზამთ, ჩემი აზრით, ჰემმარიტი პოეზიის სხვა ენაზე ამეტყველება, შეუძლებელია, მაგრამ თარგმნა მაინც საჭიროა. ჩვენისთანა პატარა ერის სულიერი სიმდიდრისა, მითუმეტეს.



მიხეილ ქვლივიძე თვითონ არის შესანიშნავი მთარგმნელი. მისი ეს საქმიანობა განსაკუთრებით უკავშირდება უნგრეთსა და პოლონეთს. თბილისში ორჯერ გამოვიდა თანამედროვე პოლონური პოეზიის მცირე ანთოლოგიის ქვლივიძისეული თარგმანი, სამჯერ იყო მიწვეული ვარშავაში პოლონური ლიტერატურის მთარგმნელების საერთაშორისო ყრილობაზე, მიღებული აქვს მედალი „პოლონური კულტურის წინაშე დამსახურებისათვის“ (ანალოგიური მედალი აქვს მიღებული აგრეთვე უნგრელი მეგობრებისაგან). ჩვენმა საზოგადოებრიობამ სიამოვნებით მიიღო მის მიერ თარგმნილი უნგრული პოეზიისა და დრამატურგიის შესანიშნავი ნიმუშები.

— ახლახან ისევ გახლდით პოლონეთში. იქ პოლონურად თარგმნილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პროზის და პოეზიის მხატვრული კითხვის კონკურსი გაიმართა მოსწავლეთა შორის. წარმოგიდგენიათ? 40000 ბავშვი მონაწილეობდა კონკურსში, საბოლოოდ 28 გამარჯვებული გამოვლინდა. მათ შორის იყვნენ ისინიც, რომლებმაც წაიკითხეს აკაკი წერეთლის „ღამურა“, შოთა ნიშნიანიძისა და ტარიელ ჭანტურიას ლექსები და გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის ნაწყვეტი. ბუნებრივია, პრემია მე გადავეცი მათ, როგორც ჩვენი მწერლობის წარმომადგენელმა..



აბა, წარმოიდგინეთ, რა სპექტაკლები დააკლდებოდა ქართულ თეატრს, რომ არა გვექონოდა მიხეილ ქვლივიძის მიერ

თარგმნილი პიესები: ედმონდ რისტანის „სირანო დე ბერჟერაკი“, იმრე კატონის „ბანკ ბანი“, ევგენი შვარცის „ჩრდილი“, ევგენი კოროსტოლიოვის „ასი წლის შემდეგ“, „ფიროსმანი“... ახლა მიხეილ თუმანიშვილი კინომსახიობის თეატრში დგამს ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღს“, რომელიც მიხეილ ქვლივიძემ თარგმნა...

**საგჰოთა კავშირის სახალხო არტისტის
გიგა ლორთქიფანიძის ნაშაბარი:**

— სხვა რომ არაფერი, სწორედ მიხეილ ქვლივიძის მიერ თარგმნილი პიესით — „სირანო დე ბერჟერაკით“ დაიწყო არსებობა რუსთავის თეატრმა. სიამოვნებით ვიმუშავე ამ პიესაზე. მე იშვიათად მინახავს, ასე ბრწყინვალედ იცოდეს კაცმა ის ენა, რომლიდანაც თარგმნის და, რაღა თქმა უნდა, მშობლიურიც, რომელზეც თარგმნის. მე ვთვლი, რომ „ასი წლის შემდეგ“, „ფიროსმანი“ იშვიათი თარგმანებია და მიხეილ ქვლივიძე საერთოდ, ამ საქმიანობით მაჩაბლის უდიდეს ტრადიციებს აგრძელებს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სულითა და გულით მივულოცო ჩემს მიშას — შესანიშნავ პოეტს სამოცი წლის იუბილე.

* * *

— პიესების თარგმნამ თავისთავად განაპირობა თქვენა ურთიერთობა თეატრებთან, მაგრამ თუ არ ვცდები, თქვენ კანოსთანაც გქონდათ ურთიერთობა, თანაც, როგორც მსახიობს....

— იყო კი. ჩემმა მეგობარმა მიხეილ გიჟიმყრელმა გადაი-
ლო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გრიბოედოვის საჩუქარი“,
რომელშიც მე, არც მეტი, არც ნაკლები, გრიბოედოვის რო-
ლი შეეასრულე. ისე, უნდა გამოგიტყდეთ, ჩემი ფარული
ოცნება ყოველთვის იყო მსახიობობა, როგორც გარდასახვის
საშუალება...

* * *

ამ დღეებში პოეტმა ბევრი მილოცვა მიიღო, ულოცავენ
მოსკოველი მეგობრები და კოლეგები, ულოცავენ საქართვე-
ლოს სხვადასხვა კუთხიდან. ერთს მისი ცნობილი ლექსის
სტრიქონები გადაუკეთებია: „ბატონო მიხეილ! ღმერთმა
კვლავაც გაცხოვროს ისე, რომ შენც ოდესმე დააკლდე ქა-
ლაქს“...

* * *

ესეც კერიის, მშობლიური სანახების მონატრება იყო:
კრებულში ხშირად შეხვდებით სიტყვებს: „მწვანე მოლი“,
„მწვანე მოლზე ხე-მოხრილი მთესველივით“... „მე მოწყენი-
ლი ვიწექი მოლზე“... და ა. შ. თითქოს მოლი და სიმწვანე
ყველგან ერთია, მაგრამ მაინც ერთობ დამათრობელია მშობ-
ლიური მიწიდან ამოსული ბალახის სურნელება. ამ სურნე-
ლებას ახლა ხარბად ისუნთქავს კერიას მონატრებული კაცი.
„ამ ასაკში ბიჭიც მაჩუქა განგებამ, მამაჩემის სახელი დავარქ-
ვი — გიორგი, ჩემი ცხოვრება მის ნერწყვზე ჰკიდია“...

ჰოდა, თითქოს მეორედ დაბადებულიყოს, მზად არის თა-
ვის ხალხს, კვლავაც ალაღად და ნაღდად უთხრას სათქმელი.

1985 წ.

გაფრენილა სიყვანძვილე შუოთიანი...

ჩაუვლია ახალგაზრდულ სიგიჟმაჟეს, გაფრენილა, გაპარულა, და ჰა, ისიც — ყოჩი ბიჭების ფალავანთა ფალავანი, თქვენ რომ გახსოვთ, შუახნის თბილისელებო, სამოცი წლისა გამხდარა.

„აი, ის იყო, თუ იყო“, გაიფიქრებთ თქვენ, უკან მოიხედავთ, სიჭაბუკის სამყაროში შეცურდებით, ამ წერილის გმირზეც ათას რამეს გაიხსენებთ და ის დღეები მოგენატრებათ, დოდო აბაშიძის სახელი რომ ბობოქრობდა თბილის-ქალაქში, თავისი რაინდული სულით, ქალაქს კოლორიტს რომ მატებდა და ვაჟკაცობის, გულქართლობის მაგალითებს იძლეოდა. იმასაც გაიხსენებთ, როგორ პირველობდა იგი ძმობასა და გატანაში, უკეთურს, სუსტის დამჩაგვრელს რუსთაველზე არ აჭაქანებდა და თქვენ დიდ სიყვარულს იმკიდა.

მაგრამ ეს ყოველივე, ერთი შტრიხია სამოცი წლის მსახიობის პორტრეტისათვის. უამშტრიხოდ და სიყმაწვილის დღეების გაუხსენებლად კი, დამეთანხმებით, ბევრი რამ დააკლდებოდა დოდო აბაშიძის პორტრეტს. ის დღეები რომ გახსოვთ, ამით კიდევ უფრო ამალღებულა თქვენში დოდო აბაშიძის სახელი და საქმე.

თქვენ მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისიც გახსოვთ. ერთ-ერთი პირველი ქართველი მსახიობი ქალისა და საზოგა-

დო მოღვაწის ეფრო კლდიაშვილის შვილთაშვილს, ტრაგიკული ბედის ნიჭიერი მსახიობის ვანიკო აბაშიძისა და აგერ, ახლახან გარდაცვლილი ღვაწლმოსილი მსახიობის ნინო ანდრონიკაშვილის ვაჟს სასცენო ხელოვნების სიყვარული, როგორც იტყვიან, ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი, რუსთაველის თეატრში რამდენიმე საინტერესო სახეც შექმნა და რომ ეგონათ, ერთი კარგი საგმირო ხასიათის მსახიობი შეემატა ქართულ სცენასო, თეატრი დატოვა და კინოხელოვნებას მიუძღვნა მთელი ცხოვრება. თქვენს მეხსიერებაში კი, ალბათ, დღემდეა დარჩენილი დოლო აბაშიძის გიორგი — „ოთარაანთ ქვრივში“, გოდუნა — „რღვევაში“, პეპო — „პეპოში“, გელა — „ხევისბერ გოჩაში“, როლერი — „ყაჩაღებში“ (წინათ ეს მამამისის როლი იყო რუსთაველის 'თეატრში).

* * *

„ბაში-აჩუკმა“ იმ დროს მოგვისწრო, უკვე ქვეცნობიერად რომ იღვიძებს მოზარდში „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“. მთელი დღეები ამ სიმღერას ვმღეროდით: „ნუ დაგიკარგავს იმედი... ჩემო სამშობლო მხარეო“... ფილმის სცენები ზეპირად ვიცოდით და ყველაზე უფრო ის მოგვწონდა, აბდუშაჰილს რომ გააკრავს ბეჭებზე ბაში-აჩუკი, ოღონდ, საოცარი ის იყო, რომ აბდუშაჰილობას არავინ უკადრისობდა, სიამოვნებით გამოდიოდნენ მის „როლშიც“, ვერ გეტყვით, იქნებ ვგრძნობდით კიდევ, რომ ეს სამშობლოდაკარგული კაცი მტრად ბედის უკულმართობამ მოუვლინა მისსავე ერს...

ახლა რომ ვფიქრობ, დოდო აბაშიძე ამ როლში კიდევ უფრო ამძაფრებს კეთილ საწყისს, მაყურებელი თანაუგრძნობს მის აბღუშაპილს და საყვარელ პერსონაჟად აქცევს. ეს ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი როლია დოდო აბაშიძისა კინოში. აქ უკვე იგრძნობა მსახიობის მდიდარი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, მოგვიანებით რომ გვიდასტურებს კიდევ ხან ამადლებულ-რომანტიკული, ხან გმირული, ხანაც — სახასიათო როლებით...

და მაინც, თითქოს დრამატურგიულ მასალას, თითქოს „თავის რეჟისორს“ ელოდაო, დოდო აბაშიძე ერთბაშად „გაინხნა“ მოაზროვნე, მაძიებელ, სულ სხვა მსახიობად ფილმში „დიდი მწვანე ველი“. მერაბ ელიოზიშვილის სცენარი მწვავე, გლობალურ პრობლემებს ეხებოდა, ხოლო მთავარი გმირი — მწყემსი სოსანა დიდ სულიერ, შინაგან მუხტს მოითხოვდა მსახიობისაგან. ახლა, როდესაც დოდო აბაშიძის შემოქმედებზე მოგვითხრობენ, რეცენზენტები ერთხმად აღიარებენ სოსანას როლს მსახიობის საეტაპო ნამუშევრად და მართლაც რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველით“ ჭეშმარიტად „ახალი პერიოდი“ დაიწყო მსახიობის შემოქმედებისა.



მსახიობის ბინაზე ერთი ოთახის კედლები თითქმის მთლიანად დაუფარავს სარეკლამო აფიშებსა და იმ კინოფილმების კადრებს, რომლებშიც დოდო აბაშიძე მონაწილეობს. ასე, რომ, თავისუფლად შეიძლება მსახიობის შემოქმედებითს

ბიოგრაფიას თვალი გაადევნო და გონებაში აღიდგინო მრავალი სახე. კედლებზე ახლობლების სურათებიც არის, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დედის გადიდებული პორტრეტი კიდია.

— ჯერ ერთი წელი არ გასულა მისი გარდაცვალებიდან, თორემ ასე არ ჩაივლიდა ჩემი სამოცი წლისთავი, მოვილხენდით ჩვენებურად... შემჭამეს ზესტაფონელებმა და ქუთაისლებმა: რას შობი, რას აპირებთ... მოვესწრებით... საოცარი ქალი იყო ეს დალოცვილი, იმ საღამოს თეატრში აპირებდა წასვლას სპექტაკლის საყურებლად... რა ვიცოდით, თურმე სიკვდილი იყო ჩასაფრებული... — ხუმრობა არ გამოუვიდა, მაინც ნაღველი შეეპარა მასპინძელს კილოში.

ერთხანს მდუმარედ ვართ, ვატყობ, საუბარი არ გამოდის, მერე კედლებზე ვანიშნებ: — ამ როლებიდან, მაინც რომელი გიყვართ გამორჩევით, ბატონო დოდო?

— ძნელი გამოსარჩევია... ძალიან მიყვარს სოსანა... ქართული გლეხკაცის სახის მიმართ მაინც ვალშია ჩვენი კინემატოგრაფი, თუმცა ამ მხრივ დიდად გვასახელეს სერგო ზაქარიაძემ და გრიშა ტყაბლაძემ, მათსავით ვერავინ შეძლო ამ სახის სრულყოფილი დახატვა... გახსოვთ? როგორი იყო ტყაბლაძე „საბუდარელ ჭაბუკში“... ჰო, ახლა იასონ კვირკველიას რა ვუყო? ისიც მიყვარს, დიდი სიხარული მომიტანა „პირველმა მერცხალმა“.

ხელოვნებათმცოდნე მაია ტუროვსკაიას ნაუბარი:

— იასონი მშვენიერი ნამუშევარია, მშვენიერი მსახიობის დოდო აბაშიძისა. ამ სახეში პათეტიკა და კომედიურობა ერთ-

მანეთს უახლოვდება და ამით გვაგონებს სერგო ზაქარიაძის მონუმენტურ სახეს ფილმში „არ იღარღო“. ისევე როგორც სერგო ზაქარიაძეს, დოდო აბაშიძესაც სრულიად არ ეშინია სასაცილო იყოს. მსახიობმა იცის, რომ მიზანს აღწევს. დოდო აბაშიძემ „პირველ მერცხალში“ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის დამსახურებულად მოიპოვა პრიზები საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალებზე...

— ბატონო დოდო, ამ სახემ გამახსენა და, როგორ არ გავიგოთ თქვენი აზრი დღევანდელი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდზე?

— ქართველ კაცს ისეთი ხასიათი აქვს, სულ პირველობა უნდა. ალბათ ნიჭი და სულიერი შემართება გვაძლევს ამის საფუძველს. ხომ გვქონდა ჩავარდნები და, მერე უცებ ევროპის თასი მოვიპოვეთ... ეს სწორედ ჩვენი ნიჭის გაელვება იყო... ასევე იქნება სულ მალე, ოღონდ უნდა მოვითმინოთ (მხიარულად) ამას გეუბნებით მე — „ძველი ფეხბურთელი“ იასონ კვიციანელია, რომელსაც ცალი ფეხი დალუქული ჰქონდა...

— (შევეთამამე) გამიგია, ცალი ხელიც დალუქული ჰქონდაო, ერთხელ გაჯიუტებულ ცხენს ისე შემოჰკრა, დაარეტიანაო...

— ეჰ... რა ვიცი, აბა... ისე, ცხენის ამბავი სიმართლეა... „მაცი ხვითიას“ რომ ვიღებდით, ერთხელ ცხენი არაფრით არ დამემორჩილა... გავბრაზდი, ჩამოვხტი და შუბლში რომ დაეკარი, ჩაიჩოქა საცოდავმა... არა და, ცხოველები საოცრად მიყვარს და ვინანე კიდევ ასეთი სიფიცხე. სიტყვამ რაკი მოიტანა, თორემ ამ ამბის გახსენებაც კი გულს მტკენს...

— რომელ ქართველ კინორეჟისორთან არჩევთ ხოლმე მუშაობას?

— ძალიან მიყვარს ძმები შენგელაიები, ლანა ლოლობერიძე, ოთარ იოსელიანი, მერაბ კოკოჩაშვილი... ისინი არ გზღუდავენ, თავისუფალი მოქმედების საშუალებას გაძლევენ... ხუთ დღეში მოვუმზადე გიორგი შენგელაიას პოლიცმაისტერის როლი „ვერის უბნის მელოდიებში“.

— სცენაზე თამაში თუ გენატრებათ?

— არა. ხმა კი შემრჩა, მაგრამ გარეგნობა აღარა მაქვს ძველებური... საერთოდ, კინო უფრო მომწონს, მიუხედავად იმისა, რომ ფილმის გამოსვლის შემდეგ ჩემს როლებს აღარ ვნახულობ, ჩავლილ საქმეს აღარ ვუბრუნდები... ახალი მენატრება...

— და რა გაქვთ ახალი?

— მალე გამოვა კინორეჟისორ სერგო ფარაჯანოვის ფილმი „მზეჭაბუკი“, რომელსაც იგი ვაჟა გიგაშვილის სცენარით „სურამის ციხის“ ლეგენდის მიხედვით იღებდა „ქართულ ფილმში“. აქ ორ როლს ვთამაშობ, ოსმან აღასა და სიმონიკა მესტვირეს... კიდევ კინოდრამატურგი სულიკო ელენტი საგანგებოდ ჩემთვის აპირებს სცენარის დაწერას... ვნახოთ, რა გამოვა...

— ჩვენს ახალგაზრდობას რომ უყურებთ, რა აზრის ხართ მათზე?

— იცვლება დრო, დღევანდელი ახალგაზრდობა თავისი გაქანებითა და ინტელექტით უფრო მაღალ სფეროებს ეჭიდება, და ეს ასეც უნდა იყოს, მათი იმედი ნუ მოუშალოს საქართველოს... ახალგაზრდებმა მეტი უნდა იფიქრონ. სანამ

რაიმე ნაბიჯს გადადგამენ, გონებას უნდა დაუმორჩილონ ყვე-
ლაფერი, თვითკონტროლი და თავშეკავების მეტი გრძნობა
უნდა გამოიშუშაონ... უფრო მეტი ვაჟკაცური ელემენტება
შეითვისონ...

* * *

„გაფრენილა სიყმაწვილე შფოთიანი“... სანტიმენტალური
სათაურია, ოდნავ ნალვლიანი, მაგრამ თქვენ დამეთანხმებით,
შუახნის თბილისელებო, ამ სათაურს რა დანანებით წაიკით-
ხავს დოდო აბაშიძე...

მართლაც გაფრენილა შეუდარებელი სიყმაწვილე, მაგრამ
ყველა ასაკი ხომ თავისებურად ლამაზია. ჩვენმა გმირმა მართ-
ლაც კაცური ცხოვრებით იცხოვრა, ასეა დღესაც მშობელი
ხალხის, საყვარელი ხელოვნების სამსახურს გადაგებული, შე-
მართული და ახალ საქვეყნო საქმეთა გვერდით მდგარი.

ერთ დღეს კი, დამაშვრალს, თავისუფლად შეუძლია გაი-
მეოროს დიდი პოეტის სიტყვები: „მე არც წარსულის, არც
მომავლის არ მეშინია“.

1984 წ.

თქვა გართლისა...

წამოჩიტული ბიჭი გაფართოებული თვალებით აკვირდება, თუ როგორ აფრიალებს ქარი ხმელ ფოთლებს, ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში როგორ მიხვეტავს ნემოს... აგერ, მუსიკის ხმაც მოაქვს ქარს, ზევით-ქვევით არიალებს, ზოგჯერ მიწას გააკრავს, მტვერთან ერთად გააშრიალებს ქუჩაში...

ორმოცი წლის შემდეგ წამოტივტივდება გონებაში ბავშვობის მოგონებები, ორმოცი წლის შემდეგ შეიქმნება წიგნი „მუსიკა ქარში“, რომელიც ბავშვის ომისდროინდელ სევდანარევე ხალისს მოიტანს ჩვენამდე და დღეს ორმოცდაათი წლის მწერალი თავის „რომანს“, „ნოველების კრებულს“ თუ „მოგონებებს“ (სამივენაირად მონათლა ლიტერატურულმა კრიტიკამ), ასე დაასრულებს: „ის დღეები კი, ომის, ნგრევის, გაჭირვების, ადამიანთა აღზევების და სულმოკლეობის დღეები, ჩემი ყველაზე დიდი, თბილი და სანეტარო ზმანება იყო. როცა ეს უთავბოლო სიზმარიც დამთავრდება, ფარდების ჩამოშვების წინ, გაღვიძების უამს, ქარში გაფანტული მუსიკის ხმა რომ მოწვდება სმენას, როცა ლურჯი ფრინველი გააქეთებს ირაოს გლუვი გორის ზედაპირზე, ყორღანიდან განთავისუფლებული ჩრდილი როცა დაეცემა მიწას, მაშინაც მხოლოდ იმ დღეებს მოვიგონებ, გავიხსენებ მუდარით ჩემკენ მზირალ, ყელმოღრეცილ, თეთრ თიკანს, მშვიდი სახის ბიჭს. ხელში რომ მზით განათებული, გადაშლილი წიგნი ეჭირა“.

„ძმაო, რეზო! ამ წერილს შენი ქუთათური მეგობრები გწერთ. რას შობი, ხომ ხარ კაჟივით, წინეებზე ბენო ბიძია შეგვხვდა — მამაშენი. რეზო ორმოცდაათი წლის ხდებოა, გვითხრა. ვერ დავიჯერეთ, მაგრამ გურამ თუთბერიძემ დაგვარწმუნა: სწორია, რადიოში მოვისმინე რეზოზე გადაცემაო... ჰოდა, სანამ დედაქალაქში ჩამოვალთ და დაგამშვენებთ, წერილით გილოცავთ ნახევარი საუკუნის ბეჭებზე მოგდებას.

რას იზამ, ძმაო, გაირბინა წლებმა... შენი ახალი წიგნი ვნახეთ, ბაღში შემოიტანა რომელიღაცამ. იქვე წავიკითხეთ ზოგი ნოველა. ვიცინეთ, შიგადაშიგ ცრემლიც მოგვერია, ბავშვობა, ომის წლები გაგვახსენდა. ასე რამ დაგამახსოვრა მაინც ყველაფერი ბიჭო.

ჩვენ მწერლობის დიდი არაფერი გვესმის, მაგრამ კარგსა და ცუდს კი ვარჩევთ ჯერ. ჰოდა, იცი რატომ გვიყვარს შენი ნაწერები? მართალია რთა, იმიტომ. არა გვგონია ჩვენი ქუთაისის კოლორიტი ადრე ვინმეს ასე ჰქონდეს დახატული, როგორც, შენ ხატავ მადლიანი ენით.

გახსოვს, ერთხელ, აქ, ქუთაისში, სუფრაზე ერთმა მეგობარმა კრიტიკოსმა ჩვენი დროის დავით კლდიაშვილი რომ გიწოდა? იცი, შენ, ქართული სუფრა ერთმანეთის ქება-დიდებასაა (ზოგჯერ გადაჭარბებული ქება-დიდების), მაგრამ ნახევარი ხომ მაინც იქნებოდა მართალი იმ კრიტიკოსის სადღეგრძელოში (აბა, რაღა დავით კლდიაშვილი გაახსენდა იმ დალოცვილს), და თუ ასეა, მაშინ უბედნიერესი კაცი ხარ, ძმაო!

სიმართლის და ჭეშმარიტების ძიებაში გაგეცვიტოს კალამი. დანარჩენს თბილისში გეტყვით“...

— თუ ჩამოვიდნენ მაინც? — ვეკითხები ჩემს მასპინძელს და წერილს გვერდზე ვდებ.

— ვინ, ქუთაისელები? ჩამოვიდნენ რომელია, წუხელ პატარა დღეობასავით მქონდა და მართლაც დამამშვენეს. რას მღეროდნენ მაინც, ის უღმერთოები! აიტეხეს მერე, ამაღამვე უნდა გავბრუნდეთ მატარებლითო... წავიდნენ და ქეიფიც წაიღეს...

— ქუთაისში ვინ გყავთ?

— დედ-მამა, ახლობლები, ქვეყანა, რა ვიცო...

— და ბავშვობა, ამ წიგნში რომ აღწერეთ, არა?

— დიახ, მინდოდა დაკარგული ბავშვობის სევდა ყოფილიყო ამ წიგნში... ვეცადე კი... მალე რუსულადაც გამოვა „მუსიკა ქარში“. მოსკოვი სცემს...

* * *

მაგრამ ამ წიგნამდე, თქვენ იცით, რომ იყო მთელი სერია ნოველებისა, იყო ორი რომანი „ჩემი მეგობარი ნოდარი“ და „დალი“, რომლებმაც რეზო ჭეიშვილი თანამედროვე ქართული მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატთა რიგში ჩააყენა. მისი ნაწარმოებების მიხედვით იღებენ ფილმებს, დგამენ ტელე თუ რადიოსპექტაკლებს. და ყველაფერი ეს, წაკითხული ან ეკრანზე ნანახი, გაქლენთილია დიდი მწერლური სიმართლით, ათასგვარ ცხოვრებისეულ სიმახინჯეთა დაუფარავი მხილებით, ირონიით. ეს იუმორისტული სიტუაციები ხომ

ყოველდღეა ჩვენს გვერდით, ჩვენთვის... და ჭეშმარიტად გვიკვირს, რა მახვილი თვალით ხედავს მწერალი ამ სიტუაციათა თვით უმცირეს ნიუანსებსაც კი. ხედავს და ლბილი, უმეტესწილად ცრემლნარევი იუმორით აღწერს ყოველივეს.

— ყველას ჰყავს თავისი კერპი და მასწავლებელი, ასეთი ვინ არის თქვენთვის?

— დავით კლდიაშვილი. ბედნიერია ისე მწერალი, რომელიც „როსტომ მანველაძესთან“ ერთ მოთხრობას მაინც დაწერს...

ღმერთმა ნუ ქნას, ოდნავ პარალელს ვავლებდე ამ დიდ რეალისტსა და ჩემს შორის. უბრალოდ, იგი მასწავლის ვწერო იმაზე, რაც გულს მტკენს.

ვეთაყვანები ტოლსტოის გენიას, მის „ომსა და მშვიდობას“. ხომ ყველას აქვს თავისი ჰობი, რომელიც ზოგჯერ უცნაურობადაც კი გეჩვენება. იცით, მე რას ვაკეთებდი თავისუფალ დროს? (დგება და კარადიდან გამოაქვს თაბახის ფურცლები) დავჯექი და „ომი და მშვიდობა“ გადავწერე თავიდან ბოლომდე... გასაკვირია, ხომ? არ ვიცო...

წოდარ ღუმბაძის ნაუბარი:

„რეზო ჭეიშვილი ჩვენი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო მწერალია. მე, ასე თუ ისე, ვიცნობ ევროპულ ლიტერატურას, და რეზოს მსგავსი ნოველისტი, ალბათ, იქაც კი ძალზე ცოტაა.

მისი ახალი წიგნი „მუსიკა ქარში“ დღევანდელი ქართული პროზის უმნიშვნელოვანეს შენაძენად მიმაჩნია და საერთოდ, როგორც ნოველისტი, რეზო ჭეიშვილი შეუდარებელია. ზოგი პროზაიკოსი ორმოცდაათი წლის ასაკში იწყებს

წერას. რეზო ჭეიშვილი თავის ნახევარ საუკუნეს უკვე ხელ-
ხვაჯიანი ხვდება. და თვითონ განსაჯეთ, რამდენ საინტერესო
რამეს გვპირდება აწიცი, ეს ცინცხალი ნიჭის შემოქმედი“.

* * *

— გვითხარით, მართლაც რას გვპირდებით უახლოეს
ხანში?

— უახლოეს ხანში, ალბათ, არ იქნება, მაგრამ მასალებს
ვაგროვებ და დიდი სურვილი მაქვს დაწერო ისტორიული
რომანი ბაგრატი მეფეზე, ბაგრატის ტაძარზე... ვნახოთ რა
გამოვა...

— თქვენ კარგა ხანია მუშაობთ კინოსტუდია „ქართულ
ფილმში“, და რამდენიმე კინოსურათიც კი შეიქმნა თქვენი
სტენდარტით („სამანიშვილის დედინაცვალი“, „ბაკულას ღორე-
ბი“, „ყვარყვარე“..). როგორც მწერალს რა შეგმატათ კინე-
მატოგრაფმა?

— პირველ რიგში, — ჰონორარი, — სიცილით ამბობს
ჩემი მასპინძელი. — ისე, ხუმრობა იქით იყოს და, ცხოვრე-
ბისეული გამოცდილება მართლაც შევიძინე კინოსტუდიაში
ყოფნით, იქ მომუშავე ძალზე საინტერესო ფსიქოლოგიის
ხალხთან ურთიერთობით.

* * *

ამ რამდენიმე წლის წინათ რეზო ჭეიშვილმა გამოაქვეყნა
ნოველა „ცისფერი მთები“. ნაწარმოებმა უმაღლ დაინტერესა
კინორეჟისორი ელდარ შენგელაია. თქვენ იცით, რომ ადრე

მან სწორედ რეზო ჭეიშვილის სცენარის მიხედვით გადაიღო დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“.

შეუდგნენ „ცისფერი მთების“ სცენარზე მუშაობას, შეიქმნა სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოები და აი, ალბათ, შემოდგომაზე ფილმსაც უნდა ველოდოთ. ჯერ კი — გადაღების პროცესშია.

ელდარ შენგელაიას თბილისის ერთ-ერთ უბანში, გადასაღებ მოედანზე შევხვდი. რა თქმა უნდა, თქვენთვის საინტერესო იქნება კინორეჟისორის აზრი რეზო ჭეიშვილზე.

ელდარ შენგელაიას ნაუბარი:

—„მეგობრობა ათასნაირია, შეიძლება სკოლის, ინსტიტუტის, უბნის მეგობრები იყოს. რეზოსა და ჩემი მეგობრობა ცოტა სხვაგვარია. ჩვენ ერთი შვილის მშობლები ვართ, ერთად ვქმნით ფილმს; ამას კი, პირველ რიგში, ჩვენი სულიერი სიახლოვე, ერთნაირი მსოფლშეგრძნება განაპირობებს. იგი თვითონ ძალზე კეთილი, მართალი კაცია და მისი შემოქმედების საწყისიც ეს არის: სიკეთის, კაცთმოყვარეობის ქადაგება. საოცარი იუმორი აქვს, ხშირად სატირულია მოვლენების, ადამიანების მიმართ, მაგრამ არასდროს ზღვარს არ გადადის და ამიტომაც მისი ყოველი ნაწარმოები ცრემლნარევაა. არავითარი კომპრომისი და ტყუილი მის შემოქმედებაში არ არსებობს, ამიტომ დღეს რეზოს აღვიქვამთ, როგორც დავით კლდიაშვილის პრინციპების გამგრძელებელს. რეზო ჭეშმარიტი პატრიოტია, თანაც ჩუმი პატრიოტი, რომელიც მტკივნეულად განიცდის ყოველივე არასასიამოვნოს, რაც მის ხალხს, ქვეყანას შეეხება.“

თუ ხშირად სცენარის ავტორისა და რეჟისორის ურთიერთობა სცენარის წარმოებაში ჩაშვების დღეს მთავრდება, ჩვენ შორის პირიქითაა. ჩემთვის, როგორც რეჟისორისათვის, შემდეგშიაც დიდად მნიშვნელოვანია რეზოს აზრი მსახიობების შერჩევაზე, მასალის ნახვისას, მონტაჟზეც კი...

* * *

მოვიხმობთ ისევ მწერლის წიგნი „მუსიკა ქარში“: „მოგონებანი ფერმკრთალდება და ნაზდება დასასრულისკენ. დასასრულის შეგრძნება დასაწყისთან გაახლოვებს უჩვეულოდ. დასაწყისი და დასასრული კი თანაბარი აჩქარებით მიისწრაფიან ერთმანეთისკენ სიცოცხლის ერთ მონაკვეთში“. აი, აქ არის გამხელილი ყველაფერი, თუ რამ დააწერინა რეზო ჭეიშვილს მოგონებები ბავშვობაზე, მაგრამ დასასრულის შეგრძნება? მართალია, მზე გადაიწვერა, მაგრამ გასაკეთებელი კვლავაც ბევრი აქვს. ის კი, რაც უკვე შექმნა, მართალი პორტრეტი ჩვენი დროისა და, ბოლოს და ბოლოს, ჭეშმარიტი მწერლობის დანიშნულებაც ხომ ეს არის.

1983 წ.

ხარ თბილისის ტრუბადური

ანუ ასაკივი პორტრეტისათვის „ღიღი და პატარა გიორგი“

პორტრეტი ჯერ უფროსით — დიდი გიორგით — კომპოზიტორ გიორგი ცაბაძით უნდა დავიწყოთ. ის არის აქ მთავარი — მომღერალი, ტრუბადური ჩვენი დედაქალაქისა.

ხომ ბევრს უმღერია თბილისის ცისა და მიწისთვის. მისი სიმღერა მაინც განსაკუთრებულია. გიორგი ცაბაძის პიროვნება და შემოქმედება წარმოუდგენელია უთბილისოდ.

ახლაც, ალბათ. გაგახსენდათ კომპოზიტორის უამრავი მელოდიიდან რომელიმე — თბილისის ძველ ქუჩაბანდებში მორიალე, „ყოჩი, ქამრიანი ბიჭების“ მოსაგონარი, ანდა ახალ, მხრებფართო უბნებთან მოალერსე...

ყოველ „თბილისობას“ ხომ მირონივით ეცხება გიორგი ცაბაძის ესა თუ ის სიმღერა. ამჯერადაც ასე იყო. თვითონაც უმღერა ამ საფიცარ ადგილს...

* * *

უმცროსი გიორგი ვინლაა? იგი ეს-ესაა მოველინა ქვეყნიერებას, პაპის პორტრეტს უნებურად ამოუდგა გვერდით, რამეთუ მოწმე გავხდი ოჯახში მისი შემობრძანებისა. სიმღერით შეეგება ბედნიერი პაპა ერთ ციდა გიორგი ცაბაძეს, ამაღლდა, განათლა ჰერი.

და მერე, მოგვიანებით გაგვახსენდა ჩვენი საქმე. ის, რისთვისაც შევაწუხე მასპინძელი.

— ღმერთმა ჰქნას, თქვენი გენები გამოჰყვეს, ბატონო გიორგი...

— შეიძლება, რატომაც არა... მამაჩემი (ისიც გიორგი) კარგი მომღერალი იყო... ასე რომ, წინაპრებისგანაც მოსდგამს. მე, თავად, მამამ შემაყვარა სიმღერა, ჩამწვარი იყო ძველი თბილისის მუსიკალურ ფოლკლორში. თანაც, რა უბანი იყო, რა სიმღერებს არ მოისმენდი. გოგოლის ქუჩა, გუდასტვირიანი ილიკო ქურხული... მეფაიტონები... ახლა იშვიათად გაიგონებ იმგვარ დიალექტს...

— ასევე ძველი თბილისის უბნებში...

— რა თქმა უნდა, მიყვარს იქ გავლა. აგერ სამოცდაათს, ოთხმოცს გადაცილებული ბერიკაცი ეზოს წინ ჩამომჯდარა. შივესალმები, გავესაუბრები, მონდა გავიგო, ხომ არ დაიკარგა ის ვანუშეორებელი ინტონაცია ხმისა, ის სურნელი... რომ იცოდე, რა სიტყვაძვირები არიან. მოკლედ მოგიჭრიან სათქმელს. ხშირად მიფიქრია, რომ ჩვენ მაინც ვერ ვლაპარაკობთ მათებრ სუფთა ქართულს...

ჰო, იმას გაამბობდით... მამის სიმღერებმა, გარემომ თავისი ჰქნა. ესეც არ იყოს, ეტყობა, უნიჭოც არ ვიყავი — დაუზარებლად ვუსმენდი ფირფიტებს და თან ხელს ვაყოლებდი, ჩემთვის ვდირიჟორობდი. მშობლებმა ამას ყურადღება მიაქციეს, მალე პიანინოც მიყიდეს და ერთ მშვენიერ დღეს კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანთან მიმიყვანეს. მაჭავარიანმა მოისმინა. კმაყოფილი დარჩა, კომპოზიციის ალლო შემიქო, და კომპოზიტორ შალვა მშველიძესთან გამგზავნა. ბატონი შალვა იმ დროს კომპოზიციას ასწავლიდა კონსერვატორიასთან არსებულ პირველ მუსიკალურ სასწავლებელში. მიმიღეს ამ სასწავლებელში, მერე კონსერვატორიაც დავამთავრე შე-

სანიშნავი პედაგოგების ხელმძღვანელობით, მაგრამ გზაზე მაინც შალვა მშველიძემ და ალექსი მაჭავარიანმა დამაყენეს.

— ერთი ეს გავვანდეთ: მაინც როგორ მუშაობთ, როგორ იბადებიან თქვენი სიმღერები?

— კარგი ლექსი მაძლევს ბიძგს, მეხმარება ამა თუ იმ ინტონაციის მოძებნაში. ასეც ხდება: ტვინს იჭყლეტ და არაფერი გამოდის. ზოგჯერ თვეობით გადამიდვია ლექსი. აბა, ალექო შენგელიას „საქართველოს მანანებო“, დამიჭერეთ, მართლაც ერთი ამოსუნთქვით, ერთ საათში ავამღერე.

— თქვენივე ტექსტით თუ შეგიქმნიათ როდისმე სიმღერა?

— არა, ლექსი არასდროს დამიწერია, თუმცა უსაზღვროდ მიყვარს ქართული პოეზია. ისე, პეტრე გრუზინსკის და მორის ფოცხიშვილს (რა თქმა უნდა, ნებართვით) ხანდახან რიტმს ან რითმას შეევუსწორებ ხოლმე (სიმღერა როგორც მოიხდენს, იმის მიხედვით). წარმოიდგინეთ, ჯერ არ დაუწუნებიათ ჩემი შესწორებული...

— პოეტისა და კომპოზიტორის მეგობრობა-თანამშრომლობის ბევრი მაგალითი ვიცი, მაგრამ თქვენი და მორის ფოცხიშვილის ურთიერთობა მაინც განსაკუთრებულია, როგორ შეეწყვეთ ასე ერთმანეთს?

— იგი შესანიშნავი მოქალაქე და პოეტია, დაუზარელი სიმღერაზე მუშაობისას, თუ საჭირო იქნა, უცებ შექმნის ლექსის რამდენიმე ვარიანტს. საერთოდ კი, როგორც წესი, მისი ზედმიწევნით მელოდიური ლექსი, პირდაპირ მოერგება ხოლმე სასიმღერო მელოდიას. რახან ტექსტის ავტორებზე ვსაუბრობთ, აქ უეჭველად უნდა ვახსენოთ პეტრე გრუზინსკი, პოეტი, რომელიც ეტალონია ჩემთვის სასიმღერო ყანარში (ლილი-

ნებს) „სადაც გინდა, იქ ილოცე“... ეს მარტო პეტრეს შეეძლო დაეწერა, და ასეთი, რამდენი... ხოლო ვინც ქართული ლექსის სურნელი მაგრძნობინა, ეს ვაჟა-ფშაველა იყო. სხვაგვარად ნუ ჩამომართმევთ, ხომ კარგი სიმღერაა ოცდაათი წლის წინათ შექმნილი „მინდა გაკოცო, მაკოცო“, მე მგონია, მაინც ვაჟას ლექსია თავიდათავი.

მასპროზი—სიურპრიზი

იმ დღეს მორის ფოცხიშვილთან გახლდით. გიორგი ცაბაძეზე ვისაუბრეთ. მერე ერთი დღიური მაჩვენა პოეტმა, რომელშიც ორი შემოქმედის ძმობა-მეგობრობის, ურთიერთობის თითქმის ყველა საინტერესო მომენტი აღნუსხული — იყოს, ზოგჯერ რაიმეს გავიხსენებთ, ანდა, იქნებ ვინმეს გამოადგეს... — მითხრა მორისმა, — აი, ნახეთ, ეს ლექსი ექსპრომტად ჩავწერე გუშინწინ დღიურში, თან ტელევიზორს ვუყურებდი, გოგინზე იყო გადაცემა „თბილისური სერენადა“... ჯერ თვითონაც არ წაუკითხავს...

— მაშინ, სიურპრიზი მოეუწყოთ...

— სიამოვნებით, თუ რედაქცია თანახმა იქნება... აი, ნახეთ:

მუსიკაა, რაც ინთება,
რაც სინათლედ იღვრება;
საქართველოს სადიდებლად
ცოცხლობს შენი სიმღერა.
გულით ძლებ და გიჟღერს

გული,

ყურს ვინ გიგდებს უგულოდ, —
ხარ თბილისის ტრუბადური,

თბილისელი ბუღბუღო!
ცა სანოტე რვეულია,
ვინ ინატრა სხვა ჰერი, —
შენი ამღერებულია
მთელი იმერ-ამერი!

— მეტი რალა უნდა მითხრათ გიორგი ცაბაძეზე...
— რა ვიცი...

* * *

— ჩემი აზრით, ჰემმარტი სიმღერის ავტორი არა მარტო კომპოზიტორი, პოეტი და სიმღერის შემსრულებელიც არის. რად უნდა მტკიცება, რომ კარგი ლექსი უფრო ამშვენებს და აკეთილშობილებს მელოდიას. ანდა, რით არ არიან ავტორები ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე, ანსამბლები „ორერა“ და „ივე-რია“ ჩემი ზოგიერთი სიმღერისა? „უკანასკნელ მეფაიტონეს“ ლექსიც მოუხდა და მომღერალიც, ანდა „საქართველოს მანანებო“...

— ნანი ბრეგვაძემ მითხრა, გოგის ამ სიმღერაზე, არ ვიცი, რა შემართება, სულ მეტირებაო...

(ღიმილით) — ეგ ყველაფერზე ტირის, რასაც მიუუტან... ერთხელ მითხრა: შენ რომ მღერი, ვტირიო... აბა, ამას კაცი დაიჭერებს?

ინტერვიუ ნანი ბრეგვაძესთან:

— როგორ შეხვდით კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს?

— პირველად პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრთან ერთად ვიმღერე მისი რამდენიმე სიმღერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და დღეს უკვე წარმოუდგენელია

ჩემი რეპერტუარი გოგის სიმღერების გარეშე. ისინი იმდენია, შეიძლება ერთი მოზრდილი სოლო კონცერტი გამოვიდეს. მასში ზოგი ნამდვილი მარგალიტია. მაგალითად, ფილმ „ვერის უბნის მელოდიებიდან“, „სიმღერა მთვარეზე“ გოგის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად მიმაჩნია.

საერთოდ კი, მე ბედნიერი ხანა შემხვდა — ვასრულებდი და ვასრულებ ქართული საესტრადო მუსიკის ისეთი ცნობილი ოსტატების ნაწარმოებებს, როგორებიც არიან რევაზ ლალიძე, გიორგი ცაბაძე, შოთა მილორავა, გაია ყანჩელი, ბიძინა კვერნაძე, ვაჟა აზარაშვილი და სხვები...

— რა გამოარჩევს მათგან გიორგი ცაბაძეს?

— არაჩვეულებრივი ქალაქური კოლორიტი, საკუთარი მელოდია...

* * *

— თქვენი შემოქმედება ამტკიცებს, რომ ჰემსმარიტ მუსიკალურ ნაწარმოებს, აღმოცენებულს ეროვნულ მელოსზე. თუნდაც მსუბუქი ჟანრისა იყოს, დაბერება არ უწერია, ახლაც როდესაც ამდენი საესტრადო ანსამბლი შეგვეძინა, იქნებ რაიმეს ურჩევდით ახალგაზრდა კომპოზიტორებს, მუსიკოს შემსრულებლებს?

— ეროვნულ ნიადაგს უნდა დაეყრდნონ, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სასიმღერო ტრადიციებიდან უნდა ამოვიდნენ. ეს არის სიმღერის უბერებლობის პირველწყარო. ლექსს, სასიმღერო ტექსტს უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება. ამას ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს დარიგება, უპირ-

ველესად, ჩემს ბიჭს — კახასაც ეკუთვნის. მან შარშან დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის კომპოზიციის ფაკულტეტი პროფესორ ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით. სერიოზული ყმაწვილია და ვნახოთ...

— ცნობილია თქვენი ღვაწლი ქართული საოპერეტო მუსიკის მიმართ, „თოვლიანი მთების მელოდოები“, „ჩემი შეშლილი ძმა“, „კურკას ქორწილი“... უკვე აღიარებული ოპერეტებია. რაიმე ახალს თუ გვპირდებით ამ უნარში?

— მუსიკალური კომედიის თეატრთან ერთად ამჟამად ვმუშაობ ახალ ქართულ მიუზიკლზე „მეტეხის ჩრდილში“... ალბათ, გახსოვთ ოთარ მამფორიას ეს გახმაურებული პიესა.

— ო, რას თამაშობდა ძია შაქროს სერგო ზაქარაძე?!

— დიახ. ახლა რესპუბლიკის სახალხო არტისტ ვახტანგ სალარიძეს ვიხილავთ ამ როლში. დამდგმელი რეჟისორია თეიმურაზ აბაშიძე. ოპერეტაში იქნება ანსამბლები, კორდებალეტი, ძველი თბილისის კოლორიტი.

— ბატონო გიორგი, საინტერესოა, როგორ განმარტავთ გამოთქმას: „ჭეშმარიტი თბილისელი?“

— ზოგს ჰგონია, მხოლოდ თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცია ჭეშმარიტი თბილისელი... რა მნიშვნელობა აქვს, ოღონდ ნამუსიანი იყოს, როგორც დედის სახელს, ისე უფროთხილდებოდეს თბილისის ღირსებას, ისე იქცეოდეს, რომ უცხომ არავინ შეუგინოს დედაქალაქი. თბილისი უძველესი კულტურის ქალაქია, აქ გაიზარდნენ და იზრდებიან დიდი შემოქმედნი, სასიქადულო პოეტები, მხატვრები, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები და ის უბრალო მუშა ხალხი, რომლებიც თბილისის განუმეორებელ კოლორიტს ჰქმნიან. აღსანიშ-

ნავია, რომ ამ ხალხს ერთი დიდი სულიერი საერთო აქვთ: კეთილშობილება, პატიოსნება.

მატარებელში, უკვე გორიდან რომ ვემზადებით თბილისთან შესახვედრად, მოუთმენლობა გვიპყრობს და ფანჯარასთან ვდგებით, რომ მთაწმინდას შორიდან თვალი ვკიდოთ, აი, ამ გრძნობას უნდა მოფრთხილება, ნათელი გულითა და თვალებით უნდა ვუყურებდეთ თბილისის აწმყოსა და მომავალს (ალბომში მწერალ გიორგი გელაშვილის სურათს მაჩვენებს) აი. ნაღდი თბილისელი ვინ იყო... უსპეტაკესი კაცი, უზომოდ შეეყვარებული თავის ქალაქზე... ასე მინდა გაიზარდოს ჩემი შეიღწევილი — პატარა გიორგი. ნამუსიანი კაცის სახელი ახლდეს ყველგან...



რომ დავემშვიდობე და წამოვედი, უკვე ბინდი იყო. ოქტომბრის ბოლოს საგრძნობი სუსხი ახლდა. ერთმა მადლიანმა მსუბუქი მანქანა გამიჩერა და, როდესაც მის გვერდით მოვკალათდი, მაგნიტოფონიდან გადმოღვრილ მელოდიას მივაყურადე. გიორგი ცაბაძე მღეროდა თავის სიმღერას „ჩემო ღმერთო, ერთადერთო, ჩემო თბილისო“, უგალობდა ბინდში ჩაძირულ თბილის-ქალაქს კომპოზიტორი.

ახალგაზრდა მძღოლს, ალბათ, საუბრის გაბმა სურდა, გადმომხედა და მაგნიტოფონისკენ მანიშნა:

— ჯიგარია, არა?

რალა უნდა მეტქვა, თავი დაუქნიე.

მთელ საქართველოს რომ უმღეროდა „შენი მრავალეამერიო“, აი, მაშინ უმტყუნა გულმა და სცენაზე გათავდა ჩვენი ხალხის საყვარელი კომპოზიტორი.

უკვე ერთი წელი გასულა. დიდუბის პანთეონში, მწვანე კონინდრიან საფლავზე მოწიწებით აწყობენ ვარდებსა და მიხაკებს მშვენიერი თბილისელი ქალბატონები, და, თითქოს, ამ წუთებისთვის შეექმნას კომპოზიტორს გულში ჩამწვდომი მელოდია, სიმღერა, რეპროდუქტორიდან რომ იღვრება და სასაფლაოს სევდიან მდუმარებას არღვევს:

„თუ ღავეცე, ნუ მიტირებთ დანანებით,
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი,
საქართველოს ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები“.

დღე არ გავა, მისმა შეუდარებელმა მელოდიამ არ დაამშვენოს რადიო თუ ტელეგადაცემები, საესტრადო კონცერტები. აი, თვითონაც მღერის იშვიათი კოლორიტული ხმით „ჩემო თბილის-ქალაქო, შენმა დარმა იდარა“... ამ დროს სიცოცხლე ნაღდად გამარჯვებულია სიკვდილზე, ამ დროს შეუძლებელია იფიქრო, რომ გიორგი ცაბაძე ჩვენ შორის აღარ არის, რომ ამ მელოდიებს ახალი აღარაფერი მიემატება. მაგრამ, რაც დატოვა? „ეს არის უნიჭიერესი კაცის ამოთქმული, შეუდარებელი ქართული სიმღერები... წავიდა „დიდი სამეულა“: რევაზ ლალიძე, არჩილ კერესელიძე, გოგი ცაბაძე... და მე არ ვიცი კიდევ რამდენ ხანს არ შეივსება ის სიცარიელე, მათი წასვლით რომ წარმოიქმნა ქართულ მუსიკაში. რა თქმა

უნდა, ვგულისხმობ ჭეშმარიტ სასიმღერო მუსიკას“ — ეს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა, კომპოზიტორმა ბიძინა კვერნაძემ მითხრა, ხოლო ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ლეაწლმოსილმა მსახიობმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვახტანგ სალარიძემ დაუმატა: „გოგის არ უმუშავია საოპერო და სიმფონიურ ჟანრებში, მისი სტიქია სიმღერა იყო... ვეტყვოდით: „საიდან მოგაქვს კაცო, ეს ერთიმეორეზე უკეთესი მელოდიები?“ — გაიღიმებდა თავისებურად—ბებიჩემის დანატოვარი სკივრიდან ამომაქვს ნელ-ნელაო. ცნობილია, თუ რა დიდი ამაგი დასდო გოგიმ ქართულ ოპერეტას, ბედნიერი ვარ, რომ მის ბოლო ნამუშევარში — „მეტეხის ჩრდილში“ — ოთარ მამფორიას ცნობილი პიესის მიხედვით რომ შექმნა, მეც მომიწია თამაში“...

...მოელმა საქართველომ დაიტირა „გოგოლის ქუჩელი“ თბილისის ტრუბადური. პოეტი ოთარ მამფორია ასე გამოეთხოვა ნაადრევად წასულ ძმას და მეგობარს:

„დიღუბის მიწის კრილობა
ფეთქავს,
ღია სამარე გიციდის პირისპირ,
რაიც გიყვარდა ხომ დაჭჩით
ერთად:
შენ და თბილისი, შენ და
თბილისი“.

და დარჩა სიმღერა გაუხუნარი... ხოლო საფლავს, მწვანე-კოინდრიან საფლავს ქართული მიწის ყვავილებს აწყობენ ხოლმე მშვენიერი თბილისელი ქალბატონები.

ს ა რ ჩ ე ვ ი

სათაყენო	3
საესე ქართული პატიოსნებით	11
ნეტავი ვიყო პატარა ბავშვი	18
მამამთავარი „მერვე სასწაულისა“	29
ისევ ის ბიჭი ვარ	37
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს	43
პანგი — სიყვარულზე წმინდა	49
მე კიდევ დამრჩა შემოსაწირი	56
დგას მეციხოვნედ	64
კიდევ ბევრი სადღეგრძელო	73
მამულს გული	79
ფერები ქალაქში	85
ქეშმარიტების ძიება	92
მრავალსახეობა მსახიობისა	101
„მაშ, კიდევ ერთხელ გამიზაფხულდი“	110
კინობიექტივით ნაფერები წარსული და აწმყო	116
შენ პირს შექარი!	123
უნარი სხვისი გახარებისა	129
შუადღის მზე	137
გაზაფხული ისევ მოდის იორზე	144
მწვერვალისკენ ძნელი გზაა	150
მწვანე მოლი	158
გაფრენილა სიყმაწვილე შფოთიანი	166
თქმა მართლისა	173
ხარ თბილისის ტრუბადურა	180

რედაქტორი რ. ლოლაძე
მხატვარი ნ. ნარიშკინიძე
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ო. კახანაძე
კორექტორები: რ. გოცირიძე, ნ. ლოლაძე
გამომშვები ნ. რაშოევია

ს. ბ. 4233

ჩაბარდა წარმოებას 02. 02. 88. ხელმოწერილია საბეჭდად 23. 03. 88. უე 06729. ფორმატი 70×108¹/₃₂. ქალაქი საწიგნე-საეურნალო. გაა-
ნიტურა ჩვეულებრივი, ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცე-
ლი 7,74. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 6,0. პირობითი
სადებაგატარება 7,98, ტირაჟი 20.000; შეკვეთა №309.

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“ რუსთაველის პროსპექტი № 42,
თბილისი, 1988.